პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 თებერვალი **ოთხშაბათი** 2013
№041 (13 957) ფასი 80 თეთრი

# FOOTBALL'S LEAVING HOME!

## ბაიერნმა ლონდონი დაადუმა, ვენგერი გააოგნა...




4

# დებიუტი დუბლით!

## დვალიშვილმა ლეგიაში კარგად დაიწყო



2

# ანანიძემ ბულგარელებს გაუტანა

მარბელაზე მყოფმა მოსკოვის "სპარტაკმა" ბულგარულ "ლუდოგორეცთან" საკონტროლო მატჩი 1:2 წააგო, თუმცა **ჯანო ანანიძისთვის** ეს მატჩი მხოლოდ და მხოლოდ დადებითი ემოციებით აღინიშნა.

მოსკოველთა ქართველმა ნახევარმცველმა, რომელმაც ტრავმისა და ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდი ახლახან დაასრულა, შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა და 45-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. ჯანოს გატანა მეორე ტაიმშიც შეეძლო, მაგრამ მის დარტყმას მეტოქის მეკარე გაუმკლავდა.

რუსეთის ჩემპიონატი 8 მარტს განახლდება და ანანიძის ბოლოდროინდელი შედეგიანი თამაში იმის იმედს გვაძლევს, რომ "სპარტაკის" სასტარტო შემადგენლობაში იგი მყარად დაიმკვიდრებს ადგილს. იმედი გვაქვს, ჩვენი და ჯანოს სურვილი რეალობად იქცევა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



# გაუძლებს მილანი ბარსას?

## ფავორიტი ცხადია, მაგრამ ბურთი მრგვალია!




# შალკე გალას ჯოჯოხეთში

5

# მოგება მინიმალური, ქულა მაქსიმალური

## მარკოიშვილი გალას სნაიპერიაცაა

თურქულმა „გალათასარაიმ" ევროთასზე ბოლო მატჩი ჩაატარა, სერბულ „ცრვენა ზვეზდას" უმასპინძლა და მინიმალური სხვაობით, 85:84 დაამარცხა.

**მანჩარ მარკოიშვილი** სასტარტო ხუთეულში იყო და საწყის 7 წუთში 10 ქულა ჰქონდა. იგი საბოლოოდ **არსლანთან** ერთად „გალას" ბომბარდირი გახდა - 17-17 ქულა. მანუმ სულ 29 წუთი ითამაშა, 9-დან 4 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი და 3-დან 3 საჯარიმო გამოიყენა.

„გალათასარაიმ" ჯგუფური ეტაპი 3-3 მოგება წაგებით დაასრულა. ასეთივე შედეგი ჰქონდა გერმანულ „ულმს", მაგრამ ურთიერთშეხვედრაში ნაჩვენები უკეთესი შედეგის წყალობით მეოთხედფინალში „ულმი" გავიდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# გია გეგუჩაძე: ევროპელების კომპლექსი გვაქვს

**გია გეგუჩაძეს ქუთაისის "ტორპედოს" ესპანური შეკრების შეჯამება ვთხოვეთ. "ტორპედოს" მთავარ მწვრთნელთან სხვა თემებსაც შევეხეთ და ვფიქრობთ, გეგუჩაძის ინტერვიუ დაგაინტერესებთ:**



- ესპანეთში ყველაფერი კარგი იყო: სასტუმრო, savarjiშო პირობები, სპარინგები. მოგეხსენებათ, რომ ჩვენთ გუნდში ბევრი ახალწვეულია და ამ შეკრებაზე ევროპულ გუნდებთან დაპირისპირებებით მათ ფასდაუდებელი გამოცდილება მიიღეს. სამწუხაროდ, ჩვენ ევროპელების კომპლექსი გვაქვს და მათთან ამიტომაც ვაგებთ თამაშის დაწყებამდე. ეს შეკრებაც, "მარბელას თასზე" მონაწილეობაც და, საერთოდ, ძლიერ მეტოქეებთან სპარინგები სწორედ ამ კომპლექსებისგან გათავისუფლებას ემსახურებოდა.

**- რომელ თამაშს გამოარჩევდით?**

- კიევის "დინამოსთან" და ნორვეგიულ "სტრომსგოდსეტთან" შეხვედრებს. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება ამ უკანასკნელმა დატოვა. მიახლოებით ვიცოდი, რომ ნორვეგიელებს ძლიერი გუნდი ჰყავდათ, ქვეყნის ვიცე-ჩემპიონია, მაგრამ ასეთ სოლიდურ მეტოქეს ნამდვილად არ ველოდი. ხისტი, კარგად ორგანიზებული და საკმაოდ ტექნიკური გუნდია, ლეგიონერების ხარჯზე იმპროვიზაციაც არ უჭირდა.

გამიხარდა, რომ ნორვეგიელებთან ფსიქოლოგიური ორთაბრძოლა მოვიგეთ და შეხვედრა ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა. იმედგაცრუებული ბუქარესტის "დინამოსთან" მატჩით დავრჩი, რადგან ბიჭები გვიან მიხვდნენ, რომ დაუმარცხებელი მეტოქე არ იყო. ნორვეგიელებთან კი საკუთარი ძალების ირწმუნეს. მთლიანობაში, მიმაჩნია, რომ ესპანური შეკრებით გუნდმა ერთი ნაბიჯი წინ გადადგა.

**- თქვენს გუნდებს უცხოელთა შიში ნაკლებად ახასიათებდათ. "ტორპედომ" ეს კომპლექსი თუ მოიშორა?**

- ჯერ ვერ მოიხსნა, რადგან ეს მუდმივი საერთაშორისო პრაქტიკით არის შესაძლებელი და მერე ევროპელებთან თავისუფლად ითამაშებენ.

**- მართლა გჯერათ, რომ ქართული გუნდი დღეს კიევის "დინამოსთან" ტოლ-სწორად და კომპლექსის გარეშე ითამაშებს?**

- მჯერა, რომ ეს შესაძლებელია. რეალობას არ ვშორდები და მესმის, რომ დღეს კიევის "დინამო" კლასით და ფინანსურად ჩვენზე მაღლა დგას. მაგრამ ჩვენ დავიწყეთ პროცესი და მოთამაშეები მაღალ მოთხოვნებს უნდა შეეგუონ. გუნდი ეროვნული ჩემპიონატიდან პირდაპირ ევროთასებზე არ უნდა ხვდებოდეს, რადგან უცხო გარემოსთან შეუჩვეველი და გამოუცდელი მოთამაშეები ყოველთვის ამ პრობლემას წააწყდებიან.

სამწუხაროდ, საერთაშორისო მატჩებში გამოუცდელობა არა მხოლოდ საკლუბო დონეზე იგრძნობა, არამედ ასაკობრივ ნაკრებებშიც. ამის გამო მოთამაშეებს რაღაც კომპლექსები უჩნდებათ.

**- საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება ახსენეთ. ამ პრობლემის მოსაგვარებლად შემოდგომაზე "ტრაბზონს" ესტუმრეთ. უახლოეს მომავალში რაიმე სიახლეს ხომ არ უნდა ველოდოთ?**

- საერთაშორისო შეხვედრები ჰაერივით გვჭირდება, ევროტურნირებზე მაქსიმალურად მომზადებულები რომ გავიდეთ და თამაში გაგვიადვილდეს. ამ საკითხზე დღესაც ვმუშაობთ. გამორიცხული არ არის, მარტში, სანაკრებო პაუზის დროს "ტრაბზონი" გვესტუმროს. მოლაპარაკება გვაქვს დონეცკის "შახტართან", თურქულ და ბულგარულ კლუბებთან.

**- მესამე წამყვან ქართულ კლუბში მუშაობთ. კარგად გააანალიზებდით, ამჟამად ჩვენი საკლუბო ფეხბურთი რა დონეზეა.**

- წინსვლის მისწრაფება არის, მაგრამ ეს ზოგჯერ არასაკმარისია. მაგალითად, ჩემპიონთა ლიგაში "შახტარისა" და "ბორუსიას" თამაში გამოგვადგება. დონეცკელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ, შესაძლოა, ბიუჯეტით "ბორუსიას" ალემატებიან კიდეც, მაგრამ გერმანელებს საკუთარი ჩემპიონატის გამო ვერ მოუგეს. "შახტარი" უკრაინაში უფრო სუსტ მეტოქეებს ხვდება, "ბორუსია" კი უკეთეს ჩემპიონატში თამაშობს და ეს საერთო მდგომარეობასა და დონეზე გავლენას ახდენს. ამ მატჩში ეს ფაქტორი აშკარად გამოჩნდა. ამიტომ არის აუცილებელი ჩემპიონატის დონის გაზრდა, რომ საერთო საკლუბო დონე გაიზარდოს.

**- "ტორპედო" უმაღლეს ლიგაში ლამის ერთადერთი გუნდია, სადაც ლეგიონერი არ თამაშობს. მათ ჩამოყვანას ეწინააღმდეგებით?**

- მე არ ვეწინააღმდეგები, მაგრამ ამ ეტაპზე ვცდილობ, რომ ადგილობრივი რესურსი გამოვიყენოთ. ლეგიონერის ჩამოყვანა ახლაც შესაძლებელია, მაგრამ ეს ხელოვნური პროცესი იქნება. ლეგიონერებს აქ ის დატვირთვა არ აქვთ, რაც ევროპულ ლიგებში და უნებლიეთ, ჩვენს დონემდე ჩამოდიან. ამიტომ მირჩევნია, ჩვენი კადრები გავზარდოთ. და თუ ადგილობრივი რესურსი ამოიწურება და გუნდს უფრო მაღალი მიზნების შესასრულებლად უკეთესი მოთამაშეები დასჭირდება, ლეგიონერების მოწვევა მერე შეიძლება.

**- თუმცა, გულშემატკივარი მაინც მომთხოვნია, უყვარს სიახლე და ხმაურიანი ტრანსფერი.**

- გეთანხმებით, მაგრამ გუნდის ზრდა პროცესია, სადაც საჭიროა თანამიმდევრულობა და იმ გზიდან გადახვევა არ გვარგებს. ეს ხელოვნური ჩარევა იქნება. ახლა "ტორპედოში" სხვა სამუშაოებია ჩასატარებელი. ადგილობრივი სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა კი ისევ გუნდს აზარალებს. გულშემატკივრის მესმის, მას ყველაფერი სწრაფად სურს და შედეგსაც დაუყოვნებლივ ითხოვს, მაგრამ გუნდი უნდა გაიზარდოს.

მეტი თვალსაჩინოებისთვის ბუქარესტის "დინამოს" მაგალითს მოვიყვან. ეს არის საკმაოდ მდიდარი კლუბი, სადაც მოთამაშეები მინიმუმ 15 ათას ევროს იღებენ. არადა, გულწრფელად გეუბნებით, ამ გუნდში ჩემთვის სასურველი მოთამაშე ვერ შევნიშნე. მეტიც, მიმაჩნია, რომ "ტორპედოში" რამდენიმე უფრო პერსპექტიული ფეხბურთელი გვყავს.

მაგრამ გამოცდილი რუმინელი მოთამაშე რომ ჩამოვიყვანოთ, ის დიდ ხელფასსაც მოითხოვს, რაც გუნდში დისბალანსს გამოიწვევს - ადგილობრივი კლასში დიდ სხვაობას რომ ვერ დაინახავს, თავადაც ხელფასის გაზრდას მოითხოვს.

ვიმეორებ, ეს არალოგიკური განვითარება იქნებოდა, ჩვენ სხვა გზას უნდა დავადგეთ, რომელიც ჩვენივე მოთამაშეების გაზრდას გულისხმობს. ასეთია ჩემი ხედვა. ძლიერი ლეგიონერების ჩამოსაყვანად არც კლუბებია მზად, არც ჩვენი ინფრასტრუქტურა და არც მთლიანად, საქართველო.

**- საკლუბო დონეზე სტაგნაცია შეჩერდა, მაგრამ წინსვლა არ არის. ევროპის ლიგის ბოლო გათამაშებამაც ზღვარი გვაჩვენა, დღეისათვის მეტზე გადახტომა შეუძლებელი რომ აღმოჩნდა.**

- აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ უკუსვლა შეჩერებულია, მაგრამ, წინსვლა ძალიან ნელ ტემპში მიმდინარეობს. მე მგონია, რომ ესეც კარგია, რამდენიმე მცდელობა აუცილებელიცაა, ჩვენი გუნდები ევროპის ჯგუფურის ეტაპისთვის რომ მომწიფდნენ.

მაგრამ მეორე მხარეა: როდესაც თბილისის "დინამო" უეფას ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, გუნდი 9 წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, სათანადო შემცვლელები კი ვერ მოვძებნეთ და გუნდი მკვეთრად დასუსტდა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ არა მხოლოდ წინსვლაზე, არამედ, წინსვლის შემთხვევისთვისაც პრევენციაც უნდა შევძლოთ, რომ წამყვანი მოთამაშეების შემცვლელები დროულად მოვძებნოთ.

**- ვერც "დინამოში" და ვერც "ზესტაფონში" ეს ვერ მოხერხდა.**

- არადა, მიმაჩნია, რომ ამის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო.

**- სეზონი მალე იწყება, გუნდმა შეკრება დაასრულა – სელექციაც შეაჩერეთ?**

- ესპანეთში ბევრი სუსტი წერტილი გამოჩნდა და კიდევ უნდა გავძლიერდეთ. შესაძლოა, რამდენიმე მოთამაშე დავიმატოთ, მაგრამ ახლა თუ ზაფხულში, ვერ გეტყვით. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ესპანეთში ჩატარებულმა შეხვედრებმა კარგად გვაჩვენა, რომ სრულყოფილი გუნდი არ გვყავს.

**- თქვენს "დინამოსა" და "ზესტაფონს" მკვეთრად გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდა. "ტორპედოში" ასეთი ჯერ არ ჩანს.**

- ლიდერი აუცილებლად გამოჩნდება. საამისოდ დრო გვჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი



ლადო დვალიშვილმა სადებიუტო მატჩში ორი გოლი გაიტანა

# დებიუტიც ასეთი უნდა

## დვალიშვილმა ტრანსფერი დუბლით აღნიშნა

გუშინ **ლადო დვალიშვილმა** "ლეგიაში" ჩინებული სადებიუტო მატჩი ჩაატარა. ვარშაველებმა ჩემპიონატის მეორე წრემდე ბოლო საკონტროლო შეხვედრა პოლონეთის რანგით მესამე ლიგის "რაკოვთან" ჩაატარეს და 3:1 გაიმარჯვეს.

ლადო მოედანზე 46-ე წუთზე გამოჩნდა და ცნობილი სერბი ფორვარდი **დანიელ ლუბოჟა** შეცვალა. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა 81-ე და 84-ე წუთებზე გატანილი გოლებით "ლეგიას" გამარჯვება განაპირობა.

პოლონეთიის ექსტრაკლასაში სეზონი ამ უქმეებზე განახლდება: "ლეგია" სტუმრად "კორონას" შეხვდება.

**მერაბ მამულაშვილი**

საკონტროლო მატჩი

# დინამოს ზოოვეგთან არაფერი გასჭირვებია

გუშინ თურქული შეკრებიდან დაბრუნებული თბილისის "დინამო" საკუთარ ბაზაზე ამხანაგურად ქვედალიგელ "ზოოვეტს" გაეჯიბრა და მეტოქეს ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანა.

მატჩის მე-15 წუთზე ანგარიში შორეული დარტყმით **გიორგი მერებაშვილმა** გახსნა, მე-19 წუთზე **კარლეს კოტოს** პასით მეორე ესპანელმა **ჩისკომ** დალაშქრა მოწინააღმდეგის კარი, 47-ე წუთზე ჩისკომ პენალტით დუბლი შეასრულა, 55-ეზე თავი **ჯაბა დვალმა** გამოიჩინა, **დავით ხოჭოლავამ** კი შეხვედრის 84-ე წუთზე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 5:0.

ჩისკოს 78-ე წუთზე ჰეთთრიქის შესრულება შეეძლო, მაგრამ მეორე თერთმეტმეტრიანი ველარ გამოიყენა.

**"დინამო"**: ლორია (62. ზარქუა) – მენდი (46. სეთურიძე), კვარაცხელია (81. გველესიანი), შაშიაშვილი, მილხრაუმი (69. გლიშიჩი) – კოტო (81. ტატანაშვილი), პაპავა, გრაიციარი (81. ჯიღაური), მერებაშვილი – ჩისკო (81. ხოჭოლავა), დვალი (66. შინდაგორიძე).

როგორც ხედავთ, "დინამოს" შემადგენლობაში არ უთამაშიათ **გიორგი რეხვიაშვილს, ირაკლი ძარიასა** და **ლევან ხმალაძეს**, რომლებიც დედაქალაქელთა თავკაცმა **დუშან უჰრინმა** ძირითად გუნდს ჩამოაშორა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი



# პროფესია პრესატაშე

სეზონის განახლებისთვის მწვრთნელებისა და ფეხბურთელების გარდა პრესატაშეებიც ემზადებიან. თავის დროზე მეც გახლდით ერთ-ერთი ქართული კლუბის პრესატაშე და სეზონის დაწყება თუ განახლება ჩემთვისაც თავისებურ პასუხისმგებლობას ნიშნავდა. მოკლედ, პრესატაშე არ არის ისეთი იოლი ხელობა, როგორც გარედან ჩანს.

უეფას საკლუბო ლიცენზირებაში ამ პროფესიას მედიაოფიცერი ჰქვია. საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში არის ისეთი გუნდიც, რომელსაც არ ჰყავს მედიაოფიცერი, ან თუ ჰყავს, მხოლოდ ფორმალურად, მაგრამ გუნდი მაინც არის უმაღლეს ლიგაში.

პრესატაშეს მოვალეობა ის არის, რომ ურჩიოს თავის დამქირავებელს, როგორ მოიქცეს მედიასთან, რათა მისმა დაწესებულებამ შეინარჩუნოს პოზიტიური დამოკიდებულება ჟურნალისტებთან.

კარგი დამოკიდებულება კი მოაქვს იმას, რომ ჟურნალისტებს გაუადვილდეთ მუშაობა ამა თუ იმ დაწესებულებასთან, ჩვენს შემთხვევაში კი საფეხბურთო კლუბებთან.

დასრულდა ამ სეზონის პირველი ეტაპი, ვუკავშირდები ერთ-ერთი კლუბის პრესატაშეს, რადგან მსურს მისი კლუბის ერთ-ერთ ფეხბურთელთან ინტერვიუ. პრესატაშე მეუბნება, რომ შვებულების შემდეგ ალბათ შესაძლებელი იქნება ამ ინტერვიუს გაკეთება. მთავრდება შვებულება, პრესატაშე მეუბნება, რომ ინტერვიუს გაკეთება, სავარაუდოდ, პირველი შეკრების შემდეგ იქნება შესაძლებელი. დასრულდა პირველი შეკრება, პრესატაშე მეუბნება, რომ ინტერვიუ მეორე შეკრების მერე თუ მოხერხდება. დასრულდა მეორე შეკრებაც, პრესატაშე ამბობს, რომ ინტერვიუ მოხერხდება თუ არა, ხვალ გაირკვევა...

ცხადია, ამ სასაცილო ისტორიაში პატივცემული პრესატაშე სრულიად უბრალოა, რადგან ის პირველ რიგში საკუთარი კლუბის ხელმძღვანელობასთან არის ვალდებული და პასუხისმგებელი. კლუბს კი, როგორც ჩანს, არ ესმის, რომ ჟურნალისტს საქმე უნდა გაუადვილოს, თუ საპირისპიროს აკეთებს, ამით პოზიტიურ დამოკიდებულებას ვერ შეიქმნის მედიასთან.

არის კიდევ ერთი გუნდი, რომლის პრესატაშეს დავურეკე და მასაც ფეხბურთელთან ინტერვიუსთვის დახმარება ვთხოვე. ხელმძღვანელობასთან გავარკვევო, მითხრა პრესატაშემ. რამდენიმე დღის შემდეგ ხელმეორედ დავრეკე მასთან იმავე თხოვნით და მითხრა, მწვრთნელის გადაწყვეტილებით, ამ ეტაპზე ინტერვიუ არ გამოვა, მეტად საპასუხისმგებლო მატჩი გველის და მანამდე ინტერვიუ ვერ იქნებაო.

ახლა ვიკითხოთ, მკითხველისთვის ფეხბურთელთან ინტერვიუ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩის წინ უფრო საინტერესოა, თუ სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი მატჩის წინ. პასუხი ამ კითხვაზე ნათელია, ოღონდაც კლუბი სხვანაირად ფიქრობს.

ჟურნალისტისთვის საქმის გაადვილება - ეს არის კლუბის პრესსამსახურის მთავარი დანიშნულება. მქონდა იმის ბედნიერება, რომ რამდენჯერმე დავესწარი ევროპის კლუბების ასოციაციის გენერალურ ასამბლეას. ვესაუბრე არაერთი კლუბის წარმომადგენელს და ყველამ ის მითხრა, პრესსამსახური ჟურნალისტებთან ურთიერთობაში გვეხმარება, მედია ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია და პარტნიორს საქმე უნდა გავუადვილოთ, პრობლემები არ უნდა მოვიგონოთო.

აქეთაც შესაძლებელია შემოდავება - ჟურნალისტიკის დონე ჩვენთან მაღალი არ არის, ჟურნალისტებს ბევრი რამე არ გესმით, ჟურნალისტთა უმეტესობას ამ ხელობით არ შეუძლია ღირსეულად ცხოვრება, ზოგი ჟურნალისტი გამორჩენას ელის ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისგან და ასე შემდეგ...

ერთი სიტყვით, ვითარება მარტივი არ არის. თუ იმას ველოდებით, როდის გახდება საქართველო კარგად დავარცხნილ-დალაგებული ქვეყანა, მაშინ მცონარები უნდა გავხდეთ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დავარცხნილ-დალაგებული სამყარო იმაზე ზრუნავს, ადამიანებს როგორ გაუადვილდეთ ცხოვრება და რაღა ჩვენ უნდა ვიყოთ ყველასგან მოგლეჯილი.

ჩვენთან ყველაფერი რთულად ხდება ხოლმე, ქართველები თითქოს ლაღი ხალხი არ ვართ...

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

## აკაკი ხუბუტია:
# რუსეთის პრემიერლიგა წინგადადგმული ნაბიჯია

რამდენიმე დღის წინ **აკაკი ხუბუტიამ** რუსეთის პრემიერლიგის ბინადარ "მორდოვიასთან" გააფორმა კონტრაქტი. ცნობისთვის, სარანსკული კლუბი რუსეთის პრემიერლიგაში 9 ქულით ბოლო, მე-16 ადგილზეა და ჩემპიონატის დასრულებამდე 11 ტურით ადრე "სამშვიდობომდე" 7 ქულა აშორებს. საქართველოს ნაკრების 26 წლის მცველს იმედი აქვს, რომ მისი ახალი გუნდი ამ ჩამორჩენის აღმოფხვრას შეძლებს.

*"გუნდში ყველა ოპტიმისტურად არის განწყობილი და მეც მიმაჩნია, რომ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება სრულიად რეალურია. თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ ეს მეტად რთული ამოცანაა. ბოლო ტურამდე თავგანწირულად ვიბრძოლებთ. "მორდოვიაში" ფინანსური კუთხით იდეალურთან მიახლოებული მდგომარეობაა და კლუბის ხელმძღვანელობასა და სამწვრთნელო შტაბს ეს ძალიან აიმედებს"*, - ამბობს ხუბუტია.

რაც შეეხება მის არჩევანს, ხუბუტიას კარიერის დასავლეთ ევროპაში გაგრძელების იმედი ჰქონდა, მაგრამ რიგი მიზეზების გამო, ეს არ გამოვიდა. საბოლოოდ, არჩევანი ყველაზე რეალურ ვარიანტზე შეაჩერა.

*"დასაკარგი დრო არ მქონდა და რაკი "მორდოვიამ" ყოველგვარი სინჯების გარეშე გამზადებული კონტრაქტი შემომთავაზა, დიდხანს აღარ მიყოყმანია. ამ კლუბს ჩემი შეძენა ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში სურდა. მათ ჩემ შესახებ ბევრი რამ იცოდნენ და სწორედ ამიტომ შემეხმიანნენ ზამთარშიც".*

ხუბუტიამ "მორდოვიასთან" წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის პირობებითაც კმაყოფილია. სარანსკში ჯერ არ ყოფილა, მაგრამ იმედოვნებს, რომ სავიზო პრობლემებს მალე მოაგვარებს, რასაც თავისთავად მოჰყვება მისი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაც.

შეკრებაზე გამართულ რამდენიმე საკონტროლო მატჩში აკაკიმ მონაწილეობა უკვე მიიღო და მიაჩნია, რომ ახალ გუნდთან შეგუების პროცესი უმტკივნეულოდ მიმდინარეობს: *"კარგად მიმიღეს, მწვრთნელისა და თანაგუნდელების მხრიდან სრულ თანადგომას ვგრძნობ და ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. "მორდოვიასთან" ბოლომდე შესათამაშებლად ბევრი დრო აღარ დამჭირდება, პრემიერლიგაში დებიუტს მოუთმენლად ველი".*

"მორდოვიას" ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **დორინელ მუნტეანუ** წვრთნის. როგორც იცით, ხუბუტია წლების განმავლობაში რუმინეთში ასპარეზობდა და სწორედ ამიტომ მუნტეანუს მასზე ცნობების შეგროვება არ გასჭირვებია.

რაც შეეხება "მორდოვიას" დამრიგებლის სტილს: *"მუნტეანუ აქცენტს, უპირველესად, დისციპლინაზე აკეთებს*



აკაკი ხუბუტია

*და ამის საშუალებით გუნდს ეფექტურად მართავს. კარიერის უდიდესი ნაწილი გერმანიაში გაატარა და იქაური წესრიგი სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი. ჩემთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ასეთ გარემოში თავს კომფორტულად ვგრძნობ. "მორდოვია" 4-2-3-1 განლაგებით თამაშობს და ვერ ვიტყვი, რომ გამოკვეთილად შემტევი ან დაცვითი სტილი აქვს. მუნტეანუ ცდილობს, გუნდი ყველა რგოლში დააბალანსოს. მასთან დადებითი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. აშკარად მცოდნე სპეციალისტია და მასთან მუშაობით მოხარული ვარ".*

რა თქმა უნდა, აკაკის ახალ გუნდშიც ცენტრალურ მცველად განიხილავენ. ხუბუტიას თქმით, "მორდოვიას" დაცვის ცენტრში საკმაო კონკურენციაა. მის პოზიციაზე რუსი და სერბი ფეხბურთელები აცხადებენ პრეტენზიას.

რა გზას დაადგება ხუბუტია, თუ "მორდოვია" პრემიერლიგიდან გავარდება? *"ამაზე ფიქრი ჯერ არ მინდა, რადგან დაკარგული არაფერია და თანაგუნდელებთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ პრემიერლიგაში დავრჩეთ. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. ახლა იმის თქმა შემიძლია, რომ რუსეთის პრემიერლიგაში მოხვედრა ჩემი კარიერისთვის წინგადადგმულ ნაბიჯად და ახალ პერსპექტივად მიმაჩნია. ბევრი ძლიერი კლუბისა და ფეხბურთელის წინააღმდეგ მომიწევს თამაში და ეს ჩემთვის ძალიან დიდი გამოწვევაა".*

პირველი დიდი ვარსკვლავი, რომლის განეიტრალებაც შეიძლება ხუბუტიას მოუწიოს, კამერუნელი **სამუელ ეტოოა**, რომლის "ანჟისაც" "მორდოვია" 10 მარტს უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია

# ლიტვური კლუბის შეძენა ქართველებს სურდათ?



ირაკლი ღერკენაშვილი

ორი ქართველი ახალგაზრდა ფეხბურთელი, **ირაკლი ღერკენაშვილი** და **გიორგი ქავთარაშვილი** კარიერას ლიტვის A ლიგის" გარგჟდაის "ბანგაში" გააგრძელებენ.

18 წლის ნახევარმცველი ღერკენაშვილი შარშან კიევის "ობოლონის" დუბლშემადგენლობაში თამაშობდა, წელიწადი კი "გაგრას" ფორმით დაასრულა. ის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში **კახა კაჭარავამ** რამდენჯერმე მიიწვია, მაგრამ ხორვატიაში გამართულ შესარჩევი ციკლის შეხვედრებზე აღარ წაუყვანია.

გუშინ ფეხბურთელის ოჯახში გვითხრეს, რომ ირაკლი ლიტვურ კლუბში ჩაირიცხა. ხელშეკრულება კი ოფციონის (1+1) სისტემით გააფორმა. მას ლიტვურ კლუბში 4 თებერვლიდან აკვირდებოდნენ, პირველ შეხვედრაში "ვილნიუსთან" 2 გოლი გაიტანა და კონტრაქტის გაფორმება ამ მატჩის დასრულებისთანავე შესთავაზეს.

ინფორმაცია "ბანგას" ვებგვერდზე დადასტურდა. აღმოჩნდა, რომ გუნდში მეორე ქართველიც ჩაირიცხა, გიორგი ქავთარაშვილი, რომელზეც მხოლოდ ის ვიცით, რომ მცველია, 1990 წელს არის დაბადებული და თბილისის "ნორჩ დინამოში" თამაშობდა.

მანამდე კლუბის ხელმძღვანელებმა ნახევარმცველ **თამაზ ჩარგეიშვილის** დამატება გადაწყვიტეს, რომელსაც კლუბში ცენტრალური მცველი **ნიკა მგელაძე** დახვდა. 2012 წლის დეკემბერს კი კლუბი თავდამსხმელებმა, **გიორგი ალავერდაშვილმა** და **გიორგი ნიქაბაძემ** დატოვეს – პირველი რუმინულ "პანდურიიში" გადავიდა, მეორე კი რუსეთის პირველი ლიგის "ხიმკიში" ისინჯებოდა.

დაბოლოს: ლიტვური გუნდის გულშემატკივრები იმასაც ამტკიცებენ, რომ "ბანგას" შესყიდვით უცნობი ქართველი ბიზნესმენი დაინტერესებულა. ოღონდ, ჭორია ეს თუ მართალი, ჩვენთვის უცნობია.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# გია გურული:
# მეტალურგის გარდა, გარანტია არავის აქვს
## ჯერ დავრჩეთ, მომავალზე მერე ვიფიქრებთ

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ქვედა ექვსეულში შმაგი ბრძოლა იქნება. თუ რუსთავის „მეტალურგს" არ ჩავთვლით, არგავარდნაზე ზრუნვა ყველა დანარჩენ გუნდს მოუწევს. ცხრილის ფსკერზე მოქცეული ფოთის „კოლხეთის" მდგომარეობა ძალიან მძიმეა, სხვებზე კი ამას ვერ ვიტყოდით. ბათუმის „დინამო" ბოლოდან მეორე ადგილზეა და მის წინ მყოფ ბოლნისის „სიონს" მხოლოდ ხუთი ქულით ჩამორჩება.

ბათუმელები სერიოზულად ემზადებიან და თურქეთშიც იყვნენ შეკრებაზე. ამ გუნდს ნამდვილად ეტყობა ის პოტენციალი, რომლითაც ქვედა ექვსეულში ნებისმიერ მეტოქეს შეუქმნის პრობლემებს. ბათუმის „დინამოს" მთავარ მწვრთნელს გია გურულს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- თურქულმა შეკრებამ უპრობლემოდ ჩაიარა?**

- შეკრებით კმაყოფილი ვარ, ანტალიასთან ახლოს ვიყავით და კარგი პირობები გვქონდა, უბრალოდ, მეოთხე საკონტროლო მატჩის ჩატარება ვერ მოხერხდა.

**- აქცენტი რაზე გქონდათ გადატანილი? რა იყო ყველაზე პრიორიტეტული თურქულ შეკრებაზე?**

- აქცენტი გუნდის შეთამაშებაზე გავაკეთეთ, მართალია, გამოცდილი ფეხბურთელები დავიმატეთ, ყველამ თავისი საქმე იცის, მაგრამ შეთამაშება ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია. დაცვაში — ტყეშელაშვილი, ჟვანია და გაბუნია, ნახევარდაცვაში — კოშკაძე, თავდასხმაში — ჩიმაკაძე, — დარწმუნებული ვარ, ეს ფეხბურთელები მნიშვნელოვნად გააძლიერებენ ჩვენს გუნდს.

**- ახალგაზრდა ფეხბურთელები არ აგიყვანიათ?**

- „ზესტაფონიდან" იჯარით ავიყვანეთ ახალგაზრდა მარცხენა ნახევარმცველი კიკნაველიძე.

**- კიდევ აპირებდით რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას...**

- შალამბერიძე და ქუცურუა - სამწუხაროდ, ვერ დავინახე ის, რასაც მათგან ველოდი.

**- ნიკა დიასამიძე „დინამო თბილისში" რომ გაუშვით, დუშან უჰრინის გუნდიდან ორი ფეხბურთელი უნდა წამოგეყვანათ იჯარით - ამ საქმეზე ახალი არაფერია?**

- კლუბებს შორის მიდის ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკება, გააჩნია, „დინამო" რომელ ფეხბურთელებს შემოგვთავაზებს. თუ კიდევ ერთ-ორ კარგ ფეხბურთელს დავიმატებთ, ამას რა სჯობს?! გუნდში ჯანსალი კონკურენცია აუცილებელია.

**- თურქულ შეკრებას ტრავმიანობა ხომ არ მოჰყოლია?**

- ჯორბენაძეს საზარდულის ტრავმამ შეახსენა თავი, ეს თავდამსხმელი სავარაუდოდ ათ დღეში ჩადგება მწყობრში.

**- ანთალიაში ბევრი ფეხბურთელი ჩადის გასინჯვაზე - ლეგიონერების სელექცია არ შედიოდა თქვენს გეგმებში?**

- იყო ერთი ახალგაზრდა ხორვატი გარემარბი, მაგრამ ამ ეტაპზე ბათუმის „დინამოს" არ ულხინს, სამომავლო გეგმებზე უფრო სხვა რამეა ჩვენთვის აქტუალური - უმაღლეს ლიგაში დარჩენა. თუ ამ ამოცანის გადაჭრას მოვახერხებთ, მერე უკვე სხვანაირად მივუდგებით საქმეს. ორი კოტდიუვარელი ფეხბურთელიც გამოვცადეთ, მაგრამ როცა ლეგიონერის აყვანაზე ფიქრობ, უცხოელი აქაურზე ერთი-ორი თავით მაღლა უნდა იდგეს, ეს კოტდიუვარელები კი ასეთები არ იყვნენ.



**- კლუბში უკრაინელი ინვესტორების მოსვლაზე რომ იყო ლაპარაკი, ამ მხრივ რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

- არა, გუნდს ისევ ქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს, ყველაფერი ნორმალურადაა, ამ მხრივ პრობლემები არ გვაქვს.

**- არგავარდნისთვის ბრძოლაში თქვენი მთავარი კონკურენტი ბოლნისის „სიონი" უნდა იყოს. ალბათ, თვალყურს ადევნებთ, თუ როგორ ძლიერდებიან თქვენი კონკურენტები...**

- „სიონს" ხუთი ქულით ჩამოვრჩებით, ეს სხვაობა, შესაძლოა, ბევრიც იყოს, შესაძლოა, არცთუ ისე ბევრიც, რადგან მოგებაზე სამი ქულაა. ხუთი თუ რვაქულიანი სხვაობის აღმოფხვრა შეუძლებელი ნამდვილად არ არის თუ იმ თამაშებს მოვიგებთ, დაგეგმილი რაც გვაქვს. ჩვენთან ყველაზე ახლოს „სიონია", თუმცა რუსთავის „მეტალურგის" გარდა უმაღლეს ლიგაში დარჩენა გარანტირებული არავის აქვს. კონკურენტ გუნდებში მომხდარ ცვლილებებს თვალყურს ვადევნებ, თუმცა ყველაზე უფრო ჩემი გუნდი მაინტერესებს - რომელი ფეხბურთელები მოვლენ და როგორ დაგვეხმარებიან...

**დავით თავართქილაძე**

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები



# ბაიერნი უკეთესია
## იბერიულ დუელში ინტრიგა დარჩა

**არსენალი-ბაიერნი 1:3**

**გოლები:** 0:1 კროოსი (7), 0:2 მიულერი (21), 1:2 პოდოლსკი (55), 1:3 მანჯუკიჩი (77).

**არსენალი** (4-3-2-1): შჩესნი – სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, ვერმაელენი – არტეტა, უილშირი, კასორლა – რემსი (71. როსიცკი), პოდოლსკი (72. ჟირუ) – უოლკოტი.

**ბაიერნი** (4-2-3-1): ნოიერი – ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა – ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი – მიულერი, კროოსი (73. ლუის გუსტავო), რიბერი (63. რობენი) – მანჯუკიჩი (79. გომესი).

**გაფრთხილება:** ვერმაელენი, სანია, არტეტა, პოდოლსკი, რემსი – შვაინშტაიგერი, მიულერი, ლამი.

**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 11-16 (9-8); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 59 974

**პორტუ-მალაგა 1:0**

**გოლი:** 1:0 ჟოაო მოუტინიო (56).

**პორტუ** (4-3-3): ელტონი – დანილო, ოტამენდი, მანგალა, ალექს სანდრო – ფერნანდო, ლუჩო გონსალესი (90. კასტრო), ჟოაო მოუტინიო – იზმაილოვი (70. ატსუ), ვარელა (58. ჯ. როდრიგესი), ჯ. მარტინესი.

**მალაგა** (4-2-2-2): კაბალიერო – ს. სანჩესი, დემიკელისი, ველიგტონი, ანტუნეში – ტულალანი, იტურა (78. კამაჩო) – ხოაკინი (63. პორტილიო), ისკო – ბაპტიშტა (78. პიაზონი), სანტა კრუსი.

**გაფრთხილება:** - იტურა.

**კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 17-1 (10-1); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 42 209

გუშინდელი დღის ცენტრალურ შეხვედრაში გამოჩნდა, რომ მიუნხენის „ბაიერნი" აშკარად უკეთესი გუნდია. **არსენ ვენგერმა** შედარებით ფრთხილი ტაქტიკა აირჩია, რის გამოც ძალიან მალე დაისაჯა. „ბაიერნმა" შეხვედრის ბედი პირველ 21 წუთში გადაწყვიტა, როდესაც ჯერ **კროოსმა**, შემდეგ კი **მიულერმა ვოიცეხ შჩესნის** კარი ორჯერ აიღეს. მეორე ტაიმში, გამოსვლაზე შეცდა **მანუელ ნოიერი**, რითაც **ლუკას პოდოლსკიმ** ისარგებლა და ყოფილი გუნდის კარში გაიტანა, მაგრამ „არსენალმა" არამარტო ანგარიში ვერ გაათანაბრა, მესამე გოლი გაუშვა , რომელიც ანგარიშზე **მარიო მანჯუკიჩმა** ჩაიწერა. საბოლოოდ, შეხვედრა 1:3 დასრულდა და ამ წყვილში, ალბათ ყველაფერი გარკვეულია.

სამაგიეროდ, ინტრიგა შერჩა მეორე დაპირისპირებას. „პორტუმ", მიუხედავად უდიდესი უპირატესობისა, რაზეც სტატისტიკაც მეტყველებს, „მალაგას" კარში მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა და მინიმალური სხვაობით მოიგო. საპასუხო შეხვედრა 13 მარტს ანდალუსიაში გაიმართება და **მანუელ პელეგრინის** გუნდი უშანსოდ ნამდვილად არ ჩანს.

**ტატო ბაციკაძე**



ლეგიონერები



შოთა არველაძე

# ქასიმფაშა კვლავ ელიტაში ტრიალებს

თურქეთის სუპერლიგაში **შოთა არველაძის** მიერ გაწვრთნილმა "ქასიმფაშამ" "სივასფორს" უმასპინძლა და ნიგერიელი **კალუ უჩეს** მიერ 62-ე წუთზე გატანილი გოლით 1:0 დაამარცხა. ამ გამარჯვებით "ქასიმფაშამ" 33 ქულას მოუყარა თავი და სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა. არველაძის გუნდს აქვს როგორც ევროპის ლიგაზე, ასევე ჩემპიონთა ლიგაზე გასვლის შანსი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართული ტრანსფერები

# რა მიიღეს და რა გასცეს ლიდერებმა?

არახალია, საქართველოში სატრანსფერო გარიგებებს ხშირად ადევს გრიფი "საკლუბო საიდუმლო". ისევე როგორც ზოგადად სხვა სახის ფინანსური ოპერაციები, ჩვენში ამის გასაჯაროებაც იშვიათი მოვლენაა, რადგანაც ფეხბურთელების გარიგების ფინანსურ მხარეზე, როგორც წესი, დუმილს ამჯობინებენ.

ამიტომაც იწერება ამ საკითხზე ჩვენთან ნაკლებად, ვიდრე ევროპაში, სადაც ეს თანხები, ფაქტობრივად, გასაჯაროებულია. რას ვიზამთ, ჩვენ ჯერ კიდევ პოსტსაბჭოური ქვეყანა ვართ და, ყველაზე უცნაური ის არის, რომ ჩვენთან ბევრი კლუბი სახელმწიფოს საკუთრებაშია, რომლის სახსრების განკარგვაც დასამალი არ შეიძლება იყოს.

არადა, საიდუმლო რა არის? და თუ ჩვენ გვიმალავენ, საერთაშორისო სააგენტოები დახურულ ინფორმაციებს უფრო ადვილად მოიპოვებენ.

ასე მაგალითად, საინტერესო სტატისტიკაა გერმანულ ინტერნეტსააგენტო "ტრანსფერმარკტზე". თუ მის ადმინისტრაციას ვენდობით, ზაფხულის ბოლოს გორის "დილამ" დანიური "ორჰუსიდან" **მათე ვაწაძის** ტრანსფერში 300 000 ევრო მიიღო, ხოლო ვლადიკავკაზის "ალანიადან" **შოთა გრიგალაშვილის** გადასვლაში - 450 000 ევრო.

აქვე კიდევ რამდენიმე საინტერესო შიდა ტრანსფერის ამბავი შევიტყვეთ: შარშან თბილისის "დინამომ" "ზესტაფონს" **ჯაბა დვალის** კონტრაქტში 400 ათასი ევრო გადაუხადა, გორში **გოგიტა გოგუას** გაშვებისთვის კი "დილამ" თბილისელებს — 170 ათასი ევრო.

დავინტერესდით და აღმოვაჩინეთ, რომ ვარშავის "ლეგიამ" თანაქალაქელ "პოლონიას" საქართველოს ნაკრების თავდამსხმელის, **ლადო დვალიშვილის** ტრანსფერში 500 ათასი ევრო ჩაურიცხა.

მხოლოდ თბილისის "დინამოს", "ზესტაფონსა" და გორის "დილას" აქვთ შემოსავალი დაფიქსირებული, 12-დან 9 გუნდს კი სატრანსფერო გარიგებების გრაფაში არც შემოსავალი უწერიათ და არც გასავალი. ვერ გეტყვით, ეს რამდენად შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ უცხოელები ამას რომ ნახავენ, სულ მცირე, ჩვენი კლუბების ფინანსური გამჭვირვალობის თაობაზე კითხვები ისევე დაებადებათ, როგორც თითოეულ ჩვენგანს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების წინ

# ბარსა ფავორიტია, მაგრამ ბურთი ხომ მრგვალია?!

## ალეგრი: მთავარია, სიმშვიდე, რწმენა და კონცენტრაცია!

**წესით,** ამ წყვილში ფავორიტის დასახელება მინიმუმ რთული და მაქსიმუმ შეუძლებელი უნდა იყოს, მაგრამ დღეს სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე. დღეს „ბარსელონა“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო (თუ ყველაზე საუკეთესო არა) გუნდია, „მილანს“ კი მხოლოდ სახელი აქვს ასეთი. შესაბამისად, საყოველთაო აზრით, „ბარსა“ „მილანთან“ უპირობო ფავორიტია - საფეხბურთო მსოფლიო კატალონიურ გრანდს „სან სიროზეც“ კი იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს. მაგრამ, მოგეხსენებათ, „ბურთი მრგვალია“ და თანაც, მილანი, თუნდაც სუსტი შემადგენლობი, მაინც „მილანია“. და შეუძლია თუ არა ამ „მილანს“ საკუთარი პუბლიკის სასიამოვნოდ გაოცება, ამ კითხვაზე პასუხს დღეს შევიტყობთ.

**მილანი-ბარსელონა 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, საპატა, მექსე, კონსტანტი - ნოჩერინო, მონტოლივო, ამბროზინი - კ.-პ. ბოატენგი - პაცინი, ელ შაარავი.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვესი, პიკე, პუიოლი, ხორდი ალბა - ფაბრეგასი, ბუსკეტსი, ჩავი - პედრო, მესი, ინიესტა.

**არბიტრი:** კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

**ურთიერთშეხვედრები**

**03.04.2012**

**ბარსელონა-მილანი 3:1**

**გოლები:** 1:0 მესი (11-პენ), 1:1 ნოჩერინო (32), 2:1 მესი (41-პენ), 3:1 ინიესტა (53)

**28.03.2012**

**მილანი-ბარსელონა 0:0**

**23.11.2011**

**მილანი-ბარსელონა 2:3**

**გოლები:** 0:1 ვან ბომელი (14-საკ. კარში), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (20), 1:2 მესი (31-პენ), 2:2 კ.-პ. ბოატენგი (54), 2:3 ჩავი (63)

**13.09.2011**

**ბარსელონა-მილანი 2:2**

**გოლები:** 0:1 პატო (1), 1:1 პედრო (36), 2:1 ვილია (50), 2:2 ტიაგო სილვა (92)

**26.04.2006**

**ბარსელონა-მილანი 0:0**

**18.04.2006**

**მილანი-ბარსელონა 0:1**

**გოლი:** 0:1 ჟიული (57)

**02.11.2004**

**ბარსელონა-მილანი 2:1**

**გოლები:** 0:1 შევჩენკო (17), 1:1 ეტო'ო (37), 2:1 რონალდინიო (88)

**20.10.2004**

**მილანი-ბარსელონა 1:0**

**გოლი:** 1:0 შევჩენკო (31)

**18.10.2000**

**მილანი-ბარსელონა 3:3**

**გოლები:** 0:1 რივალდო (18), 1:1 ალბერტინი (25), 2:1 ალბერტინი (39), 2:2 რივალდო (42), 3:2 ხოსე მარი (45), 3:3 რივალდო (69)

**26.09.2000**

**ბარსელონა-მილანი 0:2**

**გოლები:** 0:1 კოკო (45), 0:2 ბირჰოფი (71)

**18.05.1994**

**მილანი-ბარსელონა 4:0**

**გოლები:** 1:0 მასარო (22), 2:0 მასარო (45), 3:0 სავიჩევიჩი (47), 4:0 დესაი (58)

**1959/60**

**ბარსელონა-მილანი 5:1**

**1959/60**

**მილანი-ბარსელონა 0:2**

ამბობენ, თუ „ბარსელონამ“ მოინდომა, დღევანდელ „მილანს“ მისსავე სტადიონზე შავ დღეს დააყრისო, მაგრამ, უმჯობესია, ამ „თუებისა“ და „თუმცების“ წალმა-უკულმა ხსენებას შევეშვათ და უშუალოდ თამაშს დაველოდოთ, რადგან, შემადგენლობებს თავი რომ დავანებოთ, ეს ისეთი თამაშია, რომელზეც წინასწარი ვარაუდებით არ უნდა იმსჯელო. ვთქვათ მხოლოდ ის, რომ ნეიტრალური ქომაგებისთვის უმჯობესი იქნება, „ბარსამ“ მეოთხედფინალში თამაში მილანშივე არ გაინაღდოს, რათა საპასუხო მატჩითაც სრულყოფილად ვისიამოვნოთ.

### ბარსა საუკეთესო შემადგენლობით, მილანს პრობლემები აქვს

„ბარსელონას“ სერიოზული საკადრო პრობლემები არ აქვს. კატალონიელებს მხოლოდ **ადრიანო, ერიკ აბიდალი** და **დავიდ ვილია** აკლიათ. ცხადია, დანაკლისია მთავარი მწვრთნელის, **ტიტო ვილანოვას** არყოფნაც - კატალონიურ გრანდს დღეს მისი ასისტენტი **ჟორდი როურა** უხელმძღვანელებს. **ჩავიმ** ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და დღეს მას ძირითად შემადგენლობაში უნდა ველოდოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბარსა“ „სან სიროზე“ ფაქტობრივად საუკეთესო შემადგენლობით ითამაშებს. კატალონიელთა 4-3-3 ტაქტიკურ სქემაში, ჩავისთან ერთად, ნახევარდაცვაში **სესკ ფაბრეგასი** იმოქმედებს და წინა ხაზზე, **პედროს, ლეო მესისა** და **ანდრეს ინიესტას** პასებით მომარაგება სწორედ მათ დაევალებათ, **ბუსკეტსი** კი ორივეს დააზღვევს.



შარშან, 28 მარტს, მილანი-ბარსელონა 0:0: ლეო მესიმ კრისტიან აბიატის კარი ვერ დალაშქრა

„მილანს“ საუკეთესო შემადგენლობითაც რომ შეეძლოს თამაში, ასეთ შემთხვევაშიც აუტსაიდერად შევრაცხავდით, ახლა კი, ისედაც პრობლემატურ „როსონერის“ საკადრო პრობლემებიც აქვს. „მილანში“ ახლა პირზე ყველას **მარიო ბალოტელი** აკერია, რომელიც „როსონერიმ“ „მანჩესტერ სიტიდან“ იანვარში გადაიბირა და რომელმაც თავისი მილანური კარიერა იდეალურად დაიწყო (4 გოლი 3 თამაშში), მაგრამ ბალოს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ აქვს, რადგან ჯგუფურ ეტაპზე „სიტის“ ეხმარებოდა. ბალოტელის არყოფნაში „მილანისთვის“ ორმაგად მტკივნეული იქნება, თუ **მასიმილიანო ალეგრი** ვერც **სტეფან ელ შაარავის** გამოიყენებს. ამ უკანასკნელს ტრავმა აწუხებს და მისი თამაში გუშინ გვიან ღამემდე საეჭვო იყო. მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ 20 წლის ელ შაარავიმ (15 გოლი მიმდინარე სეზონის 24 მატჩში) დღეს საღამომდე მწყობრში ჩადგომა მოასწროს და „ბარსასთან“ იასპარეზოს.

მილანელები იმედს არ კარგავენ, რომ ელ შაარავი ითამაშებს, ბალოტელი კი **ჯამპაოლო პაცინიმ** უნდა შეცვალოს. აქვე ვთქვათ, რომ კითხვის ნიშნის ქვეშაა **დანიელე ბონერასა** და **რობინიოს** თამაშიც. **ნაიჯელ დე იონგის** ასპარეზობა კი გამორიცხულია. ამრიგად, „მილანის“ დაცვის ცენტრში კოლუმბიელი **კრისტიან საპატას** და ფრანგი **ფილიპ მექსეს** ტანდემს ვიხილავთ.

### მიეცემა ბოიანს შანსი?

„მილანი“ იტალიის ჩემპიონატში ბოლო დროს დასტაბილურდა და შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ალეგრის ბიჭები „ბარსელონასთან“ დუელს კარგი განწყობით ხვდებიან. ამავდროულად, „როსონერის“ „სან სიროზე“ ბოლო 6 მატჩი მოგებული აქვს. „მილანმა“ ესპანურ კლუბებს სულ 23-ჯერ უმასპინძლა, რომელთაგან 11 მოიგო და 6 წააგო. აქვე ისიც უნდა შეგახსენოთ, რომ „მილანში“ ირიცხება 22 წლის **ბოიან კრკიჩი**, რომელიც 2007-დან 2011 წლამდე „ბარსელონას“ ღირსებას იცავდა, კატალონიელთა ფორმით 41 გოლი გაიტანა და მაშინ უდიდეს, მსოფლიო ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნეოდა. მიეცემა თუ არა კრკიჩს ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ თამაშის შანსი, ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა ალეგრიმ გუშინ არ ისურვა. სამაგიეროდ, მან სიამოვნებით ისაუბრა იმაზე, რომ ფავორიტი შეიძლება „ბარსელონაა“, მაგრამ „მილანი“ იოლად არ დანებდება და ბოლომდე იბრძოლებს.

### ალეგრი: მთავარი რწმენაა!

*„არ მსიამოვნებს, ყველასაგან მსხვერპლად მიჩნევა იმის გამო, რომ ბედმა მეტოქედ „ბარსელონა“ გვარგუნა. თუ ოთხშაბათამდე რეგლამენტს არ შეცვლიან და არა მგონია, შეცვალონ, თამაში 0:0-დან დაიწყება. ცხადია, „ბარსელონა“ მსოფლიოში საუკეთესო გუნდია, მაგრამ ჩვენ უნდა გვჯეროდეს ჩვენი შესაძლებლობების და იმის, რომ ამ თამაშის მოგება შეგვიძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოედანზე გასვლას აზრი არ აქვს!* - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე „მილანის“ თავკაცმა, - *მშვიდები უნდა ვიყოთ და ერთი წამითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, ვის ვეთამაშებით. თუ „ბარსა“ ყველაზე ძლიერია, „მილანი“ ყველაზე ტიტულოვანია. შარშან „ბარსელონასთან“ ორივე შეხვედრაში კარგად ვიბრძოლეთ. როცა ისეთ გუნდს ეთამაშები, რომლის ბურთის ფლობა ყველა მატჩში მინიმუმ 65 პროცენტია, ყველანაირად უნდა ეცადო, რომ ეს მაჩვენებელი შეამცირო. ეს ისეთი თამაშია, რომელიც უდიდეს ფიზიკურ და მორალურ დანახარჯს მოითხოვს. თუ მაქსიმალურად კონცენტრირებულები ვიქნებით და ცოტათი გაგვიმართლებს კიდეც, ყველაფერი კარგად იქნება.“*

ამასთან, ალეგრიმ გუშინვე თქვა, რომ დაცვის ცენტრში საპატასა და მექსეს გაამწესებს, დაცვის მარჯვენა ფლანგზე აბატეს ათამაშებს, ხოლო მარცხნივ კი - **კევინ კონსტანტს**.

*„როცა ამ „ბარსელონასთან“ თამაში ორ სეზონში ექვსჯერ მოგიწევს, ბედს დიახაც უნდა ეწუწუნო, მაგრამ „მილანი“ თავდახრილი არასდროს ყოფილა და არც ახლა იქნება. იმედი გვაქვს, რომ ელ შაარავი გამოჯანმრთელებას მოასწრებს,“* - ეს კი „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** სიტყვებია.

ბოლო ხუთი წელია, „ბარსა“ ჩემპიონთა ლიგაში მინიმუმ მეოთხედფინალში გადის, უშუალოდ „მილანთან“ კი შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და საერთოდ, კატალონიელებმა იტალიაში სულ 18-ჯერ იასპარეზეს და მხოლოდ ხუთჯერ დამარცხდნენ. მესი კი მორიგ რეკორდს უმიზნებს - არგენტინელს ჩემპიონთა ლიგაში 56 გოლი აქვს გატანილი, რითაც **რუუდ ვან ნისტელროის** გაუთანაბრდა. და ახლა მხოლოდ **რაულს** (71 გოლი) ჩამორჩება.

# შალკე გალას ჯოჯოხეთში

**როცა** მერვედფინალის წილისყრა შედგა, ყველამ ერთხმად აღნიშნა, „შალკეს“ გაუმართლაო. მაშინ თვით გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელებიც ასეთ კომენტარებს აკეთებდნენ, მაგრამ მას მერე ბევრი რამ შეიცვალა - „შალკემ“ სეზონის მეორე ნახევარი ამაზრზენად დაიწყო და ღრმა კრიზისშია, „გალათასარაი“ კი უკეთეს ფორმაშია და თან, დიდიე დროგბათი და ვესლი სნეიდერით გაძლიერდა...

**გალათასარაი-შალკე 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**გალათასარაი (4-3-1-2):** მუსლერა - საბრი სარიოღლუ, ნოუნკეუ, სემი კაია, რიერა - ჰამით ალთინთოფი, სელჩუკ ინანი, ფელიპე მელო - სნეიდერი - ბ. ილმაზი, დროგბა.

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - ჰიოგერი, ჰიოვედესი, მატიპი, ფუხსი - ჯონსი, ნოიშტედტერი - ბარნეტა, დრაქსლერი, მიშელ ბასტოსი - ფარფანი.

**არბიტრი:** ვილიამ კოლუმი (შოტლანდია)

**ურთიერთშეხვედრები**

**ჩემპიონთა ლიგაში არ უთამაშიათ**

**სნეიდერითა** და **დროგბათი** გაძლიერებულ „გალათასარაის“ „შალკესთან“ უკვე ბევრი მიიჩნევს ფავორიტად, რაც იმის დამსახურებაცაა, რომ გერმანული კლუბიც აღარ ჰგავს თავის თავს. თავად განსაჯეთ: იმ დროს, როცა **ფატიჰ თერიმის** გუნდი თურქეთის ჩემპიონატში ერთპიროვნულად ლიდერობს, „შალკე“ ბუნდესლიგაში 22 ტურის შემდეგ მე-9 ადგილზეა. თანაც, სნეიდერმა და დროგბამ თავიანთი თურქული კარიერა შესანიშნავად დაიწყეს - კოტ დ'ივუარელმა დებიუტი (ახიშართან 2:1) სულაც გოლით აღნიშნა.

თერიმი დღეს მხოლოდ მცველ **ტომაშ უიფალუშის** და თავდამსხმელ **იოჰან ელმანდერს** მოისაკლისებს, თუმცა „იმპერატორი“ ამ უკანასკნელს ისედაც იშვიათად ათამაშებს ხოლმე. სეზონის პირველ ნახევარში „გალას“ თავდასხმაში **ბურაქ ილმაზი** და **უმუთ ბულუთი** ბრწყინავდნენ, ახლა კი მათ დროგბაც შეემატა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს „შალკეს“ დროგბასა და ილმაზის მართლაც შესანიშნავი ტანდემი შეუტევს.

### ჰამითი მშობლიური გუნდის წინააღმდეგ

სხვათა შორის, დროგბას თანამემამულე **ემანუელ ებუეც** გამოჯანმრთელდა და მოედანზე გასვლა შეუძლია. ძირითადში ითამაშებს სნეიდერიც, რომელსაც უკნიდან **ჰამით ალთინთოფი**, „თურქ ჩავი ერნანდესად“ წოდებული **სელჩუკ ინანი** და **ფელიპე მელო** მიეხმარებიან. ალთინთოფი ამ შემთხვევაში ცალკე აღნიშვნის ღირსია, რადგან ჰამითი გელზენკირხენში დაიბადა, გაიზარდა და საფეხბურთო მსოფლიომ ის სწორედ „შალკედან“ (2003-2007) გაიცნო. შესაბამისად, დღევანდელი მატჩი ჰამითისთვის განსაკუთრებული და ემოციური იქნება.



ვესლი სნეიდერმა და დიდიე დროგბამ თურქული კარიერა შესანიშნავად დაიწყეს

„შალკეს“ სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. **კლაას-იან ჰუნტელაარმა** გამოჯანმრთელება მოასწრო და თუ გელზენკირხენელთა დროებითმა მწვრთნელმა **იენს კელერმა** ჰოლანდიელი გოლეადორის ძირითად შემადგენლობაში გამწესება ვერ გარისკა, შეცვლაზე მაინც ათამაშებს. სამაგიეროდ, გერმანელებმა სტამბოლში სხვადასხვა მიზეზთა გამო ექვსი ფეხბურთელი ვერ წაიყვანეს: **აცუტო უჩიდა, იბრაჰიმ აფელაი, კირიაკოს პაპადოპულოსი, ჩიპრიან მარიკა, კრისტოფ მორიტცი** და **ლარს უნერშტალი** ტრავმირებულები არიან. კელერი დღეს ვერც კიევის „დინამოდან“ არენდით აყვანილ **რაფაელს** გამოიყენებს, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში სწორედ უკრაინული კლუბის ფორმით აქვს ნათამაშები. სამაგიეროდ, მოედანზე გასვლა შეუძლია „ლიონიდან“ ნათხოვარ **მიშელ ბასტოსს**, რომელმაც გელზენკირხენული კარიერა ძალიან კარგად დაიწყო.

„გალათასარაიმ“ გერმანულ კლუბებს სულ 11-ჯერ უმასპინძლა და მხოლოდ 2-ჯერ მოუგო (7 ფრე, 2 მარცხი)! გერმანულმა კლუბმა თურქეთში ბოლოს 20 წლის წინ წააგო და ეს ფრანკფურტის „აინტრახტი“ გახლდათ, რომელიც მაშინ სწორედ „გალასთან“ (უეფას თასზე) დამარცხდა.

გვერდიმოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

უცხოური ფეხბურთი

● არგენტინა. ტორნეო ფინალი. II ტური

# მოუგებელი სერიების დასასრული



დავიდ ტრეზეგემ გოლის გემო გაიხსენა

**რასინგი–არ. ხუნიორსი 2:0**

**გოლები:** 1:0 ვიეტო (33), 2:0 პელეტიერი (75).

**გოდოი კრუსი–უნიონი 2:1**

**გოლები:** 0:1 ფრანსოია (2), 1:1 ნ. კასტრო (29), 2:1 სალინასი (89).

**გაძევება:** ემანუელ ინსუა (26. გოდოი კრუსი), სარმიენტო (69. უნიონი).

**კოლონი–სან მარტინი 1:1**

**გოლები:** 0:1 ხ. ლუნა (8), 1:1 ჟიგლიოტი (59-პენ).

**ველესი–ინდეპენდიენტე 0:1**

**გოლი:** 0:1 ტულა (45).

**გაძევება:** ველასკესი (22. ინდეპენდიენტე).

**კილმესი–ოლ ბოისი 2:1**

**გოლები:** 1:0 კობო (7), 2:0 მანსილია (61), 2:1 აპუმადა (84).

**ნიუელსი–ლანუსი 0:3**

**გოლები:** 0:1 რომერო (14), 0:2 მ. კასერესი (42-საკ. კარში), 0:3 რეგეირო (48-პენ).

**რივერი–ესტუდიანტესი 1:0**

**გოლი:** 1:0 ტრეზეგე (32).

| | |
|---|---|
| **სან ლორენსო-ბელგრანო** | 0:0 |
| **ტიგრე-ბოკა** | 0:0 |
| **არსენალი-ატლ. რაფაელა** | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლანუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| 2. რივერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 3. ატლ. რაფაელა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 4. ტიგრე | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 5. ბოკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6. გოდოი კრუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7. კილმესი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 8. ველესი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 9. ნიუელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 10. ინდეპენდიენ. | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 11. რასინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 12. არსენალი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 13. სან მარტინი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 14. სან ლორენსო | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 15. უნიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 16. ოლ ბოისი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 17. ბელგრანო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 18. კოლონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| 19. ესტუდიანტესი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 20. არ. ხუნიორსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**ბომბარდირები:** 2 – აპუმადა (ოლ ბოისი), გ. ბურდისო (ბოკა ხუნიორსი), რეგეირო (ლანუსი), რომერო (ლანუსი), სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი), ტულა (ინდეპენდიენტე).

**სარელეგაციო ცხრილი**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 14. არ. ხუნიორსი | 97 | 122 | 1.258 |
| 15. ატლ. რაფაელა | 59 | 74 | 1.254 |
| 16. სან ლორენსო | 97 | 119 | 1.127 |
| 17. სან მარტინი | 59 | 67 | 1.136 |
| 18. ინდეპენდიენტე | 97 | 110 | 1.134 |
| 19. კილმესი | 21 | 22 | 1.048 |
| 20. უნიონი | 59 | 58 | 0.983 |

## ლიდერები

არგენტინის ჩემპიონატის მეორე ტურის ცენტრალური შეხვედრა „მონუმენტალზე" გაიმართა, სადაც „რივერ პლეიტმა" „ესტუდიანტესს" უმასპინძლა. სტუმრებს ცუდი პერიოდი უდგათ და ეს ამ თამაშშიც გამოჩნდა – **დიეგო კანიას** გუნდს რეალური საგოლე მომენტის შექმნა გაუჭირდა და ლოგიკურადაც დამარცხდა. ერთადერთი გოლი შეხვედრის 32-ე წუთზე **დავიდ ტრეზეგემ** გაიტანა, რომლისთვისაც ეს პრიმერა დივიზიონში მეორე გოლი იყო. პირველი ბურთი საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა შარშან, „ნიუელსს" (3:3) გაუტანა და ალსანიშნავია, რომ ეს ორი გოლი ერთმანეთს ძალიან ჰგავდა.

გუნდიდან **მატიას ალმეიდას** წასვლის შემდეგ, „რივერ პლეიტმა" 4 თამაში ჩაატარა და ოთხივე მოიგო. სულ კი „ლოს მილიონარიოსის" დაუმარცხებელი სერია უკვე 10 შეხვედრას მოიცავს – უკანასკნელად „რივერმა" 21 ოქტომბერს, „კილმესთან" წააგო. „ესტუდიანტესი" 0 ქულით მე-19 ადგილზეა, ხოლო **რამონ დიასის** გუნდი 6 ქულით მეორე პოზიციას იკავებს.

„რივერის" გარდა, 6 ქულა ასევე „ლანუსს" აქვს, რომელიც შთამბეჭდავი ბურთების სხვაობის გამო, ჩემპიონატის ლიდერია. **გილერმო ბაროს შელოტოს** ბიჭებმა, წინა ტურში „კოლონი" გაანადგურეს (4:0), ამჯერად კი ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი „ნიუელს ოლდ ბოისი" იმსხვერპლეს. სტუმართა მხრიდან გოლები **სილვიო რომერომ** და **მარიო რეგეირომ** გაიტანეს, პარაგვაელმა **მარკოს კასერესმა** კი ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ალსანიშნავია, რომ ამ მოგებით, „ლანუსმა" „ნიუელსთან" 7-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა, ხოლო სტუმრად „ლანუსს" „ძველი ბიჭები" ბოლოს 2006 წელს ჰყავდა დამარცხებული.

## ლიბერტადორესის თასის გავლენა

მოგეხსენებათ, არგენტინიდან ლიბერტადორესის თასზე ხუთი კლუბი („ველესი", „ბოკა ხუნიორსი", „ტიგრე", „არსენალი" და „ნიუელსი") მონაწილეობს. ტორნეო ინისიალის მეორე ტურში, ამ ხუთმა გუნდმა ჯამში ერთი მატჩიც ვერ მოიგო. „ნიუელსის" მარცხზე უკვე ვისაუბრეთ, „ტიგრემ" და „ბოკამ" კარგად დაისვენეს და მშვიდად, 0:0 ითამაშეს. ანალოგიურად, გატანილი გოლების გარეშე დასრულდა „არსენალის" მატჩი, ხოლო „ველესმა" შინ „ინდეპენდიენტესთან" წააგო. როგორც ხედავთ, ლიბერტადორესის თასის მონაწილე გუნდებმა არა მარტო თამაში ვერ მოიგეს, გოლიც კი ვერ გაიტანეს!

„ტიგრე"-"ბოკა ხუნიორსის" მატჩზე სათქმელი თითქმის არაფერი გვაქვს. მხოლოდ ერთი ფაქტიც საკმარისია: 90 წუთის განმავლობაში, „ბოკამ" მეტოქის კარისკენ ზუსტად ერთხელაც (!) ვერ დაარტყა. ძალიან ძნელი გასახსენებელია, ბოლოს როდის დასრულდა თამაში ისე, რომ „ბოკას" კარში ერთი ზუსტი დარტყმაც არ ჰქონდა. თავი არც მასპინძლებს მოუკლავთ და საბოლოოდ, შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა.

ზედიზედ ოთხი მატჩის მოგების შემდეგ (წინა ჩემპიონატის ჩათვლით), წააგო „ველეს სარსფილდმა", თანაც გუნდთან, რომელსაც ხანგრძლივი წარუმატებელი სერია ჰქონდა და რომელთანაც „ველესს" 2007 წლის შემდეგ არ წაეგო. „ინდეპენდიენტეს", რომელიც გასავარდნ ზონაშია, ბოლო გამარჯვება 20 ოქტომბერს ჰქონდა მოპოვებული და მას შემდეგ ზედიზედ 9 შეხვედრაში არ ემარჯვა. რა თქმა უნდა, ამ წყვილში ფავორიტად ყველას მოქმედი ჩემპიონი მიაჩნდა, თანაც თამაში სტუმრებისთვის ძალიან ცუდად დაიწყო და უკვე 22-ე წუთზე, „ინდეპენდიენტე" მოედანზე 10 კაცით დარჩა – **ხულიან ველასკესმა** ამ პერიოდში ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო. მიუხედავად ამისა, ტაიმის ბოლო წუთზე, მარჯვენა მცველმა **კრისტიან ტულამ** მასპინძლების კარი აიღო და საკუთარი გუნდი დააწინაურა. მეორე ტაიმში, ბევრი მცდელობის მიუხედავად, **რიკარდო გარეკას** გუნდმა ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხა და დამარცხდა.

## გაჭირვებულები

„კილმესმა", „ინდეპენდიენტეს" მსგავსად, 9-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და შინ „ოლ ბოისს" სძლია. ამ მოგების წყალობით, **ომარ დე ფილიპეს** გუნდი გასავარდნი ზონის ბოლოსწინა პოზიციაზე გადავიდა, თუმცა ჯერ მაინც მძიმე მდგომარეობაშია.

სამაგიეროდ, განწირულია „უნიონი", რომლის საცოდაობასაც ბოლო არ უჩანს. ამ ტურში, „უნიონი" მენდოსას ეწვია, სადაც ბოლო დროს საშინელ ფორმაში მყოფი „გოდოი კრუსი" დაუხვდა (ბოლო 11 მატჩიდან, „გოდოი კრუსს" 5 ფრედ ჰქონდა დასრულებული და 6 წაგებული). თითქოს, ამაზე უკეთეს მეტოქეს „უნიონი" ვერც ინატრებდა. გარდა ამისა, სტუმრები უკვე მეორე წუთზე დაწინაურდნენ, ხოლო 26-ე წუთზე მასპინძლებს **ემანუელ ინსუა** გაუძევეს. მიუხედავად იდეალური სიტუაციისა (საშინელ ფორმაში მყოფი მეტოქე, რომელიც მოედანზე 10 კაცით იყო და თანაც აგებდა), სანტა ფეს გუნდმა მოახერხა და ეს მატჩიც წააგო. მასპინძლებმა ანგარიში პირველივე ტაიმში გაათანაბრეს. შეხვედრის მეორე ნახევარში კაცი უკვე „უნიონს" გაუძევეს, ხოლო ბოლოსწინა წუთზე, ცვლილებაზე შემოსულმა **როდრიგო სალინასმა** გამარჯვება მენდოსელებს მოუტანა, რითაც კიდევ ერთი მოუგებელი სერია დასრულდა.

რაც შეეხება „უნიონს": გუნდი გასავარდნ ზონაში ბოლო ადგილზეა და უიმედო სიტუაციაშია. სასწაული უნდა მოხდეს, რომ ამ გუნდმა ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ამ გუნდს უკვე 25 (!) მატჩია არ მოუგია.

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXV ტურის სტატისტიკური შეჯამება

# დიმიტრი პაიემ სიჩქარე აკრიფა

**დიმიტრი პაიე შესანიშნავ ფორმაშია; „ლიონმა" ამ ტურში „ბორდო" გაანადგურა, კლემან გრენიემ კი კარიერაში პირველი დუბლი შეასრულა; „სოშომ" სენსაციურად სძლია „პარი სენ ჟერმენს" და ლიდერებთან წარმატებული საშინაო სვლა განაგრძო...**

**მთავარი:**

**11** – **დიმიტრი პაიემ** „რენთან" მოგებულ (2:0) შეხვედრაში მორიგი გოლი გაიტანა. 25 წლის ფეხბურთელი შესანიშნავ ფორმაშია და საკუთარი გუნდის ნამდვილი ლიდერია. „ლილის" მიერ გატანილი ბოლო 16 გოლიდან, პაიემ უშუალო მონაწილეობა 11-ში მიიღო. ახლა მის ანგარიშზე 8 გატანილი ბურთია, 10 საგოლე პასით კი ლიგა 1-ში საუკეთესოა. მე-16 ტურიდან მოყოლებული, პაიემ 5 გოლი გაიტანა და 6 საგოლე პასი გააკეთა. „ძაღლებს" „რენთან" შინ უკვე 26 მატჩია არ წაუგიათ (17 მოგება და 9 ფრე). ბრეტონულმა გუნდმა ლილში ბოლოს 47 წლის წინ, 1966 წლის 14 მაისს მოიგო (3:1).

**გუნდური მიღწევები:**

**4** – **როდ ფანის** მიერ „ვალანსიენის" კარში გატანილი გამარჯვების მომტანი გოლი, „მარსელისთვის" მსაჯის მიერ დამატებულ დროში გატანილი მეოთხე ბურთი იყო. 90 წუთის გასვლის შემდეგ, მათზე მეტი მხოლოდ „ბრესტს" აქვს გატანილი (6 გოლი). ამ ოთხი გოლის წყალობით, „ოლიმპიკმა" ჯამში 6 ქულის მოგროვება მოახერხა.

**3** – „ლიონმა" ბორდოში 4:0 იმარჯვა და ბოლო 4 გასვლითი მატჩიდან მესამე მოიგო, თუმცა ასეთი ანგარიშით „ლიონს" 2010 წლის 21 თებერვლის შემდეგ არ ემარჯვა – მაშინ, „ოლიმპიკმა" „სოშო" დაამარცხა.

**3** – „სოშომ" ამ ტურში პსჟ-ს მოუგო (3:2) და შინ სამეულის წევრ გუნდთან მესამედ არ დამარცხდა. მე-12 ტურში „ბოკვერებმა" „ლიონთან" 1:1 ითამაშეს, ხოლო მე-20 ტურში „მარსელს" 3:1 მოუგეს.

**ინდივიდუალური მიღწევები:**

**1** – **კლემან გრენიემ** ლიგა 1-ში დუბლი პირველად შეასრულა. 22 წლის ფეხბურთელს, ამ სეზონამდე საფრანგეთის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში გოლი გატანილი არ ჰქონდა (44 შეხვედრაში), წელს კი მის ანგარიშზე 3 ბურთია. საინტერესოა, რომ აქედან ორი გოლი გრენიემ **ბაფეტიმბი გომისის** საგოლე პასების შემდეგ გაიტანა.




2010/11 სეზონის საუკეთესო ასისტენტი მარვენ მარტენი და მიმდინარე სეზონის ლიდერი დიმიტრი პაიე

**10** – **ედენ ბენ ბასატმა** სეზონში მე-10 გოლი გაიტანა, თუმცა „ტრუას" კარში გატანილი ბურთი მისთვის „ტულუზის" რიგებში პირველი იყო. მოგეხსენებათ, ისრაელის ნაკრების ფეხბურთელი ამ გუნდში იანვარში გადავიდა. ალსანიშნავია, რომ ბენ ბასატმა „ტრუა" ამ სეზონზე უკვე მესამედ დაამწუხრა: ამ ტურის გარდა, 26 წლის ფორვარდმა „ტრუას" მე-4 და 22-ე ტურებში გაუტანა, როდესაც ჯერ კიდევ „ბრესტში" თამაშობდა.

**6** – „მონპელიემ" შაბათს „ნანსის" 1:0 მოუგო, ერთადერთი გოლი კი **ემანუელ ერერას** ანგარიშზეა, რომლისთვისაც ეს გოლი სეზონში მე-6 იყო. არგენტინელმა, ექვსივე ბურთი საჯარიმოს შიგნიდან განხორციელებული დარტყმის შემდეგ გაიტანა, თუმცა ეს ბურთი მაინც გამორჩეული გამოვიდა, რადგან ერერამ ის თავური დარტყმით გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასოციაციის თასი. V ეტაპი

# კიდევ ერთი პლუსი

**მანჩესტერ იუნ.-რედინგი 2:1**

**გოლები:** 1:0 ნანი (69), 2:0 ერნანდესი (72), 2:1 მაკანუფი (81)

**მანჩესტერ იუნაიტედი:** დე ხეა, სმოლინგი, ვიდიჩი, ჯონსი (43. ნანი), ბიუტნერი, ანდერსონი (83. კერიკი), კლევერლი, იანგი (64. ვან პერსი), ვალენსია, ერნანდესი, უელბეკი

**რედინგი:** ფედერიჩი, კელი, მორისონი, მარიაპა, შორი, ლიგერტვუდი (63. გატრი), კარაჯანი, მაკანუფი, მაკლირი (71. რობსონ-კანუ), ჰანტი, ლე ფონდრე



ლუიშ ნანიმ „იუნაიტედს“ ასოციაციის თასის 1/4-ფინალის საგზური მოუტანა

მასპინძელმა თავიდანვე უზარმაზარი უპირატესობა იგდო ხელთ. ანგარიშის გახსნა სასტარტო ხუთ წუთში „იუნაიტედს“, მინიმუმ, ორჯერ შეეძლო, მაგრამ მცველებმა თავგანწირვით ითამაშეს. საბოლოო დარტყმა კი თავით **ვალენსიას** არ გამოუვიდა. მე-12 წუთზე უსიამოვნო ეპიზოდი მოხდა. **ნემანია ვიდიჩი სტივენ ჰანტს** თავით დაეტაკა. სერბს წარბი გაუსკდა, ირლანდიელს – თავი და თანაც სერიოზული სისხლდენა დაეწყო. საბედნიეროდ თამაში ორივემ განაგრძო. ნაკლებად გაუმართლა **ფილ ჯონსს**, ვინც ტაიმის მიწურულს მიღებული ტრავმის გამო მოედნიდან გაიყვანეს. მის ნაცვლად თამაშში **ნანი** ჩაერთო. 26 წლის პორტუგალიელმა გადამწყვეტი როლი ითამაშა „იუნაიტედის“ წარმატებაში. მეორე ტაიმში მან ჯერ ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში (რაშიც მცირე რიკოშეტიც დაეხმარა), სამ წუთში კი მარჯვენა ფლანგიდან **ხავიერ ერნანდესს** ბურთი თავზე „დაასვა“. მექსიკელს მეტად ეფექტური გოლი გამოუვიდა. „რედინგმა“ ანგარიშში სხვაობა „იუნაიტედის“ დაცვის შეცდომის წყალობით შეამცირა.

1/4-ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან: „ბლექბერნი“-“მილუოლი“, „მანჩესტერ სიტი“-“ბარნსლი“, „უიგანი“-“ოლდჰემი“/“ევერტონის“ გამარჯვებული, „მანჩესტერ იუნაიტედი“-“მიდლსბრო“/“ჩელსის“ გამარჯვებული. წყვილები, რომელთა შორის 1/4-ფინალისტი გამოვლენილი ჯერ არ არის, 27 თებერვალს შეხვდებიან ერთმანეთს.

**მატჩის შემდგომ**

**ალექს ფერგიუსონი:** „რუნი სერიოზულად არის გაციებული. ის კვირას ბაზაზე გამოცხადდა, მაგრამ უკან გავუშვი და მას შემდეგ სახლიდან ფეხი არ გამოუდგამს. ჯონსის მდგომარეობას რაც შეეხება, მას მუხლი აწუხებს. ფილს ამ დღეებში კიდევ დავაკვირდებით, მაგრამ, ვეჭვობ, რომ შაბათს „ქუინზ პარკთან“ შეხვედრისთვის მზად არ იქნება. ნანი აუცილებლად უნდა შევაქო. ის გამოსვლისთანავე აქტიურად ჩაერთო თამაშში და პირველივე შეხებით სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ძელს მოარტყა, მეორედ კი მას მეკარემ აული დარტყმა. ნანის როლი დღევანდელ წარმატებაში განუზომელი იყო. ის რომ ფორმაში შევიდა, ჩვენთვის კიდევ ერთი დიდი პლუსია“.

**ლუიშ ნანი:** „ჩემი აზრით, ფეხბურთელები ყოველთვის მზად არიან თავიანთი გუნდის დასახმარებლად. მე ნამდვილად ასე ვარ. როცა ამის შანსი მეძლევა, მინდორზე გამოვდივარ და რაც შემიძლია იმას ვაკეთებ. ამჯერად ყველაფერი კარგად გამომივიდა, რაც ძალიან მიხარია. იცით, რომ ტრავმები დიდხანს მაწუხებდა. ასეთ დროს კი ნორმალურ რიტმში დაბრუნება რთულია. იმისთვის, რაც დღეს მოედანზე ვაჩვენე, ძალიან ბევრი ვიშრომე“.

არსენალი

# ჰილ-ვუდი: ყველანი ვენგერის მხარდამხარ

„არსენალის“ დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელმა, 77 წლის ბიზნესმენმა **პიტერ ჰილ-ვუდმა არსენ ვენგერის** მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დააფიქსირა სახალხოდ. მისი თქმით, კლუბში ფრანგ სპეციალისტს მოკავშირეები არც მენეჯმენტში აკლია და არც აქციონერებში. უმთავრესი კი „მეთოფეთა“ მესაკუთრის, ამერიკელი **სტენ კროენკეს** პოზიციაა. „ალმაფრენისა და დაცემის პერიოდები ყველას ცხოვრებაშია. ამ ეტაპზე „არსენალს“ მცირე კრიზისი აქვს, რაზეც ვილაცებს გაუგებარი ისტერიული რეაქცია აქვთ. ჩვენს ადგილას სხვას, შესაძლო იყო, მწვრთნელი პოსტიდან გაეთავისუფლებინა, მაგრამ ჩვენ ამას არ ვაპირებთ, რადგან პატივს ვცემთ იმ 16 წელიწადს, რაც არსენმა ჩვენ გვერდით გაატარა. ახალი მწვრთნელის მოყვანა გამოსავალი არ არის. მოკრძალებით შევახსენებთ, რომ მე თავად ვარ „არსენალის“ დიდი ხნის გულშემატკივარი. ალბათ უფრო დიდი ხნის, ვიდრე ჩვენი კრიტიკოსების უმრავლესობა. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ მე მესმის მათი გაორებული გრძნობების, რადგან ბოლოდროინდელი შედეგებით მათსავით მეც უკმაყოფილო ვარ. ძალიან ნერვიულობს მწვრთნელიც, მაგრამ ის დიპლომატია და თავისი გრძნობებზე ხმამაღლა არ საუბრობს. „არსენალში“ მხოლოდ მე არ მაქვს ასეთი პოზიცია. ვენგერის კანდიდატურას მხარს უჭერს სტენ კროენკეც,“ – აცხადებს ჰილ-ვუდი.



„არსენალის“ ხელმძღვანელები: გენერალური მენეჯერი ივან გაზიდისი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე პიტერ ჰილ-ვუდი

„ბაიერნთან“ წუხანდელი დაპირისპირების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ვენგერი რამდენიმე საინტერესო თემას შეეხო. მათ შორის პრესაში მომავალთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს: „ბოლო პერიოდში კრიტიკის ქარ-ცეცხლში გამხვიეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როცა „არსენალიდან“ წავალ, აუცილებლად მოგენატრებით. „ბლექბერნთან“ დამარცხების შემდეგ მეგონა, რომ პირველ რიგში ამის გამო შეწუხდებოდით, მაგრამ... ჩემს ხელშეკრულებას ვადა 2014 წელს გასდის. რაც იმას ნიშნავს, რომ სამწვრთნელო კარიერის 30 წელი შემისრულდება. მოვა დრო, როცა გეტყვით ყველა იმ კლუბის სახელს, ვისთვისაც ოდესმე უარი მითქვამს და მერე მიხვდებით, რამდენი რამე დავთმე „არსენალის“ გამო. რამდენიც გნებავთ იმდენი შეგიძლიათ წეროთ ჩემზე, რომ ცუდი მწვრთნელი ვარ. როდესაც ჩემპიონატში ჩვენს ამჟამინდელ პოზიციას აკრიტიკებთ, მართლები ხართ, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედს“ უკვე უიმედოდ ჩამოვრჩით. დიახ, ამისთვის კრიტიკას ვიმსახურებთ, მაგრამ ვიმსახურებთ არა მხოლოდ ჩვენ. ზოგიერთმა კლუბმა ჩვენზე ბევრად მეტი ფული დახარჯა, მაგრამ მაინც ჩვენზე უკან არიან. ვიმეორებ, შეგიძლიათ წეროთ ის, რაც გინდათ, თუმცა ლონდონში 16-წლიანი მუშაობის შემდეგ ჩემ მიმართ ცოტა მეტ პატივისცემას მოველოდი“.

სკანდალი

# ოცდაცამეტი სამუდამო

 იურისტები დაგვეთანხმებიან, რომ ჩინური სისხლის სამართლის კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელია მთელ მსოფლიოში. როგორც ჩანს, ჰუმანურობით არც საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები გამოირჩევიან. ჩინეთის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად გაავრცელა ინფორმაცია ქვეყნის 2003 წლის ჩემპიონატში გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული გამოძიების დასრულების შესახებ. სკანდალი ოთხი წლის წინ გასკდა და მას შემდეგ ზვავივით მოგორავს. ამ ხნის განმავლობაში ბინძურ გარიგებებში ჩართული სულ უფრო მეტი ადამიანის ვინაობა ხდებოდა ცნობილი. მათ შორის ფიგურირებენ ფედერაციის უმაღლესი თანამდებობის პირებიც, ექსპრეზიდენტები **ნან იუნი** და **ქსი იალონგი**. სასამართლომ გასული წლის ივნისში ორივეს 10,5-10,5 წლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა. გარდა უკანონო გარიგებებში მონაწილეობისა, მათ ქრთამის აღებაშიც დაედოთ მსჯავრი. პირველმა ამ გზით 237 ათასი დოლარი იშოვა, მეორემ ცოტა უფრო მეტი. იალონს თემიდამ დამატებით 3 200 დოლარის ჯარიმის გადახდაც დააკისრა.



2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის არბიტრი ლი ცზიუნი

ფეხბურთის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ საბოლოო ჯამში 58 ადამიანი დასაჯა, მათ შორის 33-ს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიეცა. მათგან უმრავლესობა „შანხაი შენხუასა“ და „ტიანჯინ ტედასთან“ არის დაკავშირებული. კლუბები 120 ათასი ევროთი დაჯარიმდნენ. ამას გარდა ახალ სეზონს ისინი -6 ქულით დაიწყებენ. კლუბების წარმომადგენელთა გარდა არიან ფედერაციის ფუნქციონერები, ნაკრების ფეხბურთელები (**შენ ცი, ცი ჰუნი, ცზიან ცზინი, ლი მანი**) მსაჯები (2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის არბიტრ **ლი ცზიუნს** 5,5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია მიესაჯა). **ნიკოლა ანელკასა** და **დიდიე დროგბას** ყოფილ გუნდს 2003 წლის ჩემპიონის ტიტული უკვე ჩამოერთვა. საფეხბურთო მალალჩინოსნები აცხადებენ, რომ მათ ქვეყანაში ბრძოლა გარიგებულ თამაშებთან ამით არ დასრულებულა.

ამბები

## ორი წელი ნარკოტიკების გამო

„სანდერლენდის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 17-წლამდელთა გუნდის წევრმა **ლუის გიბსონმა** ასტონვილელ თანატოლებთან შეხვედრის შემდეგ დოპინგტესტი ჩააგდო. მას ექსპერტიზამ სისხლში ნარკოტიკების კვალი აღმოუჩინა. გასული წლის დეკემბერში საფეხბურთო ასოციაციის მიერ მიღებული დისციპლინარული კოდექსის თანახმად, ფეხბურთელს 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. კლუბმა უკვე აცნობა მოთამაშის ოჯახს, რომ ის გარიცხულია აკადემიიდან. ახალგაზრდა ფეხბურთელმა აპელაციის წესით სცადა თავის დაცვა, მაგრამ ასოციაციის შესაბამისმა კომიტეტმა მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა.

## ბენ არფა ბრუნდება

„ნიუკასლის“ 25 წლის უნივერსალმა ფრანგმა ნახევარმცველმა **ატემ ბენ არფამ** მუხლის მყესების ტრავმა მოირჩინა და უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. შეგახსენებთ, რომ „კაჭკაჭების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ტრავმა 11 დეკემბერს პრემიერლიგის XVI ტურში „ფულჰემთან“ შეხვედრაში მიიღო. გამორიცხული არც ის არის, რომ ბენ არფა ხვალ, 21 თებერვალს ხარკოვის „მეტალისტთან“ ევროპა ლიგის 1/16-ფინალურ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე ვიხილოთ.

## მაკფადენი შოტლანდიაში დაბრუნდა

შოტლანდიის ნაკრების 29 წლის ყოფილმა თავდამსხმელმა **ჯეიმს მაკფადენმა** ინგლისში კარიერა 2003 წლის შემოდგომაზე დაიწყო და 9,5 წლის თავზელა დაბრუნდა სამშობლოში. ნისლიან ალბიონზე სხვადასხვა დროს ის „ევერტონის“ (ორჯერ), „ბირმინგემისა“ და „სანდერლენდის“ ღირსებას იცავდა. „შავმა კატებმა“ მასთან, როგორც თავისუფალ აგენტთან, 3-თვიანი კონტრაქტი გასული წლის 26 ოქტომბერს გააფორმეს, მაგრამ ის მოედანზე სულ სამჯერ გამოჩნდა. ესე იგი **მარტინ ონილს** თავი ვერაფრით მოაწონა. იანვრის ბოლოს შოტლანდიელი ისევ თავისუფალი აგენტი გახდა, ამ დღეებში კი სეზონის ბოლომდე თანამშრომლობაზე „მოზერველს“ შეუთანხმდა.

## არსენალმა ამორებიეტა შეითანხმა

როგორც ირკვევა, ბილბაოს „ატლეტიკის“ ცენტრალური მცველის, 27 წლის **ფერნანდო ამორებიეტას** გადაბირებას ზაფხულზე „არსენალი“ გეგმავს. ვენესუელის ნაკრების წევრის წარმომადგენლის **ხინეს კარბახალის** თქმით, მისი კლიენტი „სან მამესზე“ დარჩენას არ აპირებს. ბასკური კლუბი ფეხბურთელს ლონდონში გადასვლაში ხელს ველარ შეუშლის, რადგან ივლისში ის თავისუფალი აგენტი ხდება. ფერნანდოს კარიერის გაგრძელებას მახაჩყალის „ანჟიც“ სთავაზობდა, მაგრამ მან ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების წინადადება თავაზიანად უარყო. „ჩემს კლიენტს კარიერის გაგრძელება ინგლისში უნდა. „ანჟის“ უარი ამიტომაც ვუთხარით. ვადასტურებ, „არსენალთან“ მოლაპარაკებებს ვაწარმოებ. ივნისში ფერნანდო ალბათ პირადად ეწვევა ლონდონს,“ – აცხადებს კარბახალი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

იტალ. სერია A. XXV ტურის შეჯამება

# ლაციომ მილანს დაუხატა

**XXV ტურის უკანასკნელი შეხვედრა ტოსკანაში გაიმართა, „სიენამ“ „ლაციოს“ უმასპინძლა და ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს სამი უპასუხო ბურთი გაუტანა. „ბიანკონერიმ“ ყველა კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის...**

## გაჩერებული ლაციო

„ლაციო“ მთელი 90 წუთის განმავლობაში იდგა, დგომით კი თამაშის მოგება წარმოუდგენელია. როგორც ჩანს, ევროპის ლიგამ და მიუნხენგლადბახურმა 3:3-მა გუნდს დიდი დაღი დაასვა. ამასთან, **ვლადიმირ პეტკოვიჩმა** უადგილო ექსპერიმენტებს მიმართა, რამაც აშკარად არ გაუმართლა. დიახ, მწვრთნელი, რომელიც სეზონის სტარტიდან მოყოლებული 4-5-1 ტაქტიკას ეყრდნობა, უცებ გარდაისახა და 3-4-3 სქემა აირჩია - ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ლიბორ კოზაკი** გაამწესა, ფლანგებიდან კი **სერჯო ფლოკარი** და **ანტონიო კანდრევა** დაახმარა. ასეთმა ავანტიურამ შედეგი არ გამოიღო, რომაელთა დაცვა გაირღვა და ჯერ კიდევ პირველ 25 წუთში მასპინძლებმა 2-ბურთიანი უპირატესობა მოიპოვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ სამიდან ორი გოლი ნიგერიული წარმოშობის შვეიცარიელმა ლეგიონერმა **ინოკენტი ემეგარამ** გაიტანა, რომელსაც ოთხი თამაში აქვს „სიენას“ შემადგენლობაში ჩატარებული და ამდენივე გოლი გატანილი. როგორც ჩანს, ემეგარას სახით, „სიენას“ კარგი გოლეადორი დაემატა, რაც შეიძლება გადამწყვეტიც კი გამოდგეს გადარჩენისთვის ბრძოლაში.

„ლაციომ“ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში დაკარგა ქულები და მესამე ადგილი „მილანს“ დაუტოვა, გუნდს, რომელზეც ქვემოთ ვიტყვით ორიოდე სიტყვას...

## დიდი ნახტომი

XXV ტური თუ ვინმესი გამოდგა, პირველ რიგში, ეს „მილანია“. თავად განსაჯეთ, „იუვენტუსმა“ წააგო, „ნაპოლიმ“ „სამპდორიას“ ქულები გაუყო, „ინტერი“ ფლორენციაში შერცხვა, „ლაციო“ კი ტოსკანაში განადგურდა... შედეგად, „მილანმა“ მკვეთრად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა და მეხუთე ადგილიდან მესამეზე აღზევდა. ზემოთ „იუვე“ შემთხვევით არ გვიხსენებია, აქა-იქ ლომბარდიის დედაქალაქში სკუდეტოზეც ლაპარაკობენ...

მართალია, „როსონერის“ თამაში აღფრთოვანებას არ იწვევს, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდი ქულებს სტაბილურად აგროვებს და ცხრილშიც ზემოთ მიიწევს. სადამდე გაგრძელდება ეს პროგრესი? - ამ თემაზე ჟურნალისტებს **მასიმილიანო ალეგრი** გაესაუბრა: *„ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა და იმის იქით უკვე აღარ ვიყურებით. ფანტასტიკური იქნება თუ მეორე ადგილს დავიკავებთ და საკვალიფიკაციო ეტაპს ავცდებით, მაგრამ დღეს ამაზე ფიქრი ცოტა ადრეა. მართალია, მესამეზე ვართ, მაგრამ კონკურენტებიც აქვე არიან. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ საუკეთესო „მილანი“ ჯერ არ გინახავთ, მარტიდან კიდევ უფრო მოვუმატებთ და გადამწყვეტ შეხვედრებს 100%-ით მომზადებულნი შევხვდებით“.*

„მილანმა“ სეზონი კატასტროფულად დაიწყო, გუნდი გასავარდნ ზონასაც კი მიუახლოვდა, თუმცა შემდეგ გამოასწორა ვითარება და დღეს სამეულშია... ეს უდავოდ დიდი ნახტომია, ტური კი მართლაც „მილანის“ გამოდგა.

## ტურის გმირი

ტურის გმირი **ფრანჩესკო ტოტია**, რომელმაც „იუვენტუსს“ ულამაზესი გოლი გაუტანა და „რომას“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. „ჯალოროსის“ კაპიტანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ასაკის მიუხედავად თავისი გუნდის ნამდვილი ლიდერი, სული და გულია...

იტალიური სპორტული პრესა კიდევ ერთხელ აჭრელდა ჩესკოს ფოტოებით და ცნობილმა პერსონებმაც კიდევ ერთხელ გამოხატეს აღფრთოვანება ტოტის მიმართ. ლეგენდარული **ჯანი რივერა** უფრო შორსაც წავიდა, ტოტი თვით **რობერტო ბაჯოს** შეადარა და განაცხადა, რომ ბევრ კომპონენტში ფრანჩესკო რობიზე უკეთესია... რივერამ იქვე დაამატა, რომ ტოტი ბოლო 20-წლეულის საუკეთესო 10-იანი და **ალესანდრო დელ პიეროს** ცალსახად ჯობია. მოკლედ, ტოტი არ ბერდება, ის ისევ ყურადღების ცენტრშია.

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ამბები

## ჩერჩიმ პრანდელი გააოცა
### იკარდიმ არგენტინა აირჩია

გასულ კვირას, **ჩეზარე პრანდელი** „ტორინო“-„ატალანტას“ შეხვედრას დაესწრო, რამაც ბევრი გააკვირვა, რადგან პარალელურად სერია A-ს ეგიდით უფრო საინტერესო მატჩებიც იმართებოდა, თუნდაც „სკუადრა აძურას“ კანდიდატთა სიმრავლის გადასახედიდან. მოკლედ, სენიორ ჩეზარე მოულოდნელად ტურინს ესტუმრა და „გრანატას“ გამარჯვების მოწმე გახდა, 2:1. პრანდელიმ ოლიმპიურ სტადიონზე სტუმრობის მიზეზი გუშინლა გაამხილა:

*„ბუნებრივია, ტურინში ეროვნული ნაკრების კანდიდატებს ვაკვირდებოდი, განსაკუთრებით კი ორ მოთამაშეს. ერთი ალესიო ჩერჩი გახლავთ, ხოლო მეორე ანჯელო ოგბონა. ეს უკანასკნელი ახალი გამოჯანმრთელებულია და საუკეთესო ფორმისგან შორსაა, აი ჩერჩიმ კი მართლაც გამაოცა... შესანიშნავად ითამაშა, კარგი გოლი გაიტანა და უბურთოდაც დაუღალავად ირბინა. თუ ასე გააგრძელა, ალესიო აუცილებლად მოხვდება ნაკრებში“.*


ჩეზარე პრანდელი ალესიო ჩერჩის თამაშმა აღაფრთოვანა

ჟურნალისტები 25 წლის ჩერჩისაც შეეხმიანენ და მისგან შემდეგი მოისმინეს: *„თამაშამდე მითხრეს, რომ სტადიონზე პრანდელი მოვიდა და მაშინვე ვიყნოსე, რომ დაკვირვების სუბიექტი ვიქნებოდი. გამოგიტყდებით და ასეთი მონდომებით არასდროს მითამაშია. თავდაუზოგავად ვირბინე და დაღლა არც კი მიგრძნია. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სენიორ ჩეზარე გამადიდებელი შუშით მაკვირდებოდა - ნაკრებში თამაში ჩემი ოცნებაა“.*

ამასობაში, პრესას 19 წლის **მაურო იკარდიც** გაესაუბრა და განაცხადა, რომ მისი ოცნება არა იტალიის, არამედ არგენტინის ნაკრებში თამაშია: *„დიდი მადლობა ჩეზარე პრანდელის ყურადღებისთვის და მთლიანად, იტალიას, მაგრამ მე არგენტინელი ვარ. შესაბამისად, ჩემი ქვეყნის ეროვნულ გუნდში მსურს თამაში და ამის დიდი იმედიც მაქვს. მოსაფიქრებლად დრო ვითხოვე და საბოლოოდ მივხვდი, რომ ჩემი ადგილი იმ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშია, სადაც დავიბადე და გავიზარდე“.*

შეგახსენებთ, რომ მაურო იკარდიმ სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში რამდენჯერმე გაიბრწყინა და უმალ მოექცა ყურადღების ცენტრში. მაუროს იტალიური პასპორტი აქვს და მისი მომავალი „სკუადრა აძურას“ დაუკავშირეს - თუმცა, ამას მყისვე გამოეხმაურნენ არგენტინელები და კონტრზომებიც მიიღეს... გენუაში „ალბისელესტეს“ მთავარი მწვრთნელი ჩავიდა, ფეხბურთელს პირადად გაესაუბრა და როგორც ჩანს, გადაიბირა კიდეც.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ესპანეთი. ლა ლიგა. XXIV ტურის შეჯამება

# ცაში ფრენა და თავი კუნძზე

## მესის საოცარი ციფრები: 301 გოლი, მე-14 გოლი ზედიზედ და მე-18 მოხვედრა ლელოს სიმბოლურში

**პირველი** მწვრთნელი „ესპანიოლმა“ გაუშვა - მაურისიო პოჩეტინო, ამას მოჰყვა მაურისიო პელეგრინოს, ხოსე ლუის ოლტრას, მიჩელის, ხუან ანტონიო ანკელას, ხოაკინ კაპაროსის და დომინგუშ პასიენსიას განთავისუფლება. 24-ე ტურმა კიდევ ერთი სპეციალისტი იმსხვერპლა - „სელტამ“ პაკო ერერა გაუშვა - ლა ლიგამ უკვე 8 მწვრთნელი შეიწირა. ვინ იქნება შემდეგი?

### მესი VS რონი

**ლიონელ მესიმ** 90 წუთი ითამაშა „გრანადასთან“ 2:1 მოგებულ მატჩში. მან 2-ჯერ დაარტყა კარში ზუსტად და 2 გოლი გაიტანა.

**კრიშტიანო რონალდომ** 90 წუთი ითამაშა „რაიო ვალეკანოსთან“ 2:0 მოგებულ მატჩში. ის ერთხელ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში.

ჩვენს „ტურნირში“ მესი 10:6-ს იგებდა, ახლა კი არგენტინელი კიდევ უფრო დაწინაურდა - 11:6.

### ტურის ფრაზები

**პაკო ერერა:** *„ასპასი ცაში დაფრინავს, რეალობის შეგრძნება დაკარგა. ამიტომაც შევცვალე“*, - თქვა „სელტას“ თავკაცმა და რამდენიმე საათში თავადვე შეცვალეს.

**მარსელო ბიელსა:** *„კარგად ვითამაშეთ, ერთადერთი, რაც ხელს არ მაძლევს ამ თამაშში, ანგარიშია“*, - „ბილბაოს“ მწვრთნელიც მოხსნის კანდიდატია.

**ლუკას ალკარასი:** *„ვაიძულეთ „ბარსა“ საუკეთესო ფეხბურთელებით ეთამაშა ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ და ვაიძულეთ ის ბოლომდე დახარჯულიყო“*, - „გრანადას“ თავკაცს ნამდვილად აქვს საამაყოდ საქმე.

**ჟორდი როურა:** *„გაგვიჭირდა ფიზიკურად კარგად მომზადებული მეტოქის წინააღმდეგ და აქ თავისი სიტყვა მესიმ თქვა“*, - „ბარსელონას“ დროებითი თავკაცი.

**ხოსე ლუის მენდილიბარი:** *„ბევრს არ მოსწონს ჩვენი თამაშის სტილი, მაგრამ მათი აზრი ნაკლებად მაინტერესებს - შედეგი სახეზეა“*, - „ოსასუნას“ მწვრთნელი სხვების აზრზე არ გაივლის.

**სერხიო რამოსი:** *„ჩემი გაძევება ძალიან იოლი რამ გახდა და ეს ძალიან მაშფოთებს. ეს არ არის ნორმალური, როცა ფეხბურთელს ორ წუთში ორ ყვითელ ბარათს აძლევენ“*, - „რეალის“ მცველმა 18 წუთში ძალიან ბევრი რამ მოასწრო.

#### ტურის მსხვერპლ(ნ)ი

**ადრიანო (ბარსელონა)**

„ბარსელონას“ ბრაზილიელი მცველი პირველივე ტაიმში გახდა შესაცვლელი.

#### ტურის საუკეთესო გოლი

**ლიონელ მესი** (ბარსელონა) საჯარიმო დარტყმით „გრანადას“ კარში.

#### ტურის საუკეთესო პასი

**მორენო** (სევილია) საგოლე პასი **მედელს.**

#### ტურის სტატისტიკა

23 გოლი ტურში (2,3 მატჩში). 7 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 1 ფრედ დასრულდა და 2 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 58 ყვითელი ბარათი და 3 წითელი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი: **არავინ**

დუბლი: **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **გარი მედელი** (სევილია).

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **სანტი მინა** (სელტა, 17 წლის).

ყველაზე მეტი მაყურებელი: **63 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ“**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **9 000 - „ალფონსო პერეს კოლისეუმი“**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **20 - მალიორკა**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **8 - სევილია**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **24 - ოსასუნა**

ყველაზე მეტი კუთხური: **11 - რეალ სოსიედადი**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **6 - ბილბაო, ბარსელონა**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **74% - ბარსელონა**

#### მომდევნო ტური

22 თებერვალი: ბილბაო-რეალ სოსიედადი.

23 თებერვალი: მალიორკა-ხეტაფე, სარაგოსა-ვალენსია, დეპორტივო-რეალი, ბარსელონა-სევილია.

24 თებერვალი: რაიო ვალეკანო-ვალიადოლიდი, სელტა-გრანადა, ატლეტიკო-ესპანიოლი, ბეტისი-მალაგა.

25 თებერვალი: ლევანტე-ოსასუნა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

#### ტურის გმირი

**ლიონელ მესი (ბარსელონა)**




ხშირად ამბობენ, რომ „ბარსელონა“ მხოლოდ ლეო მესი არ არის, მაგრამ ნელნელა ამ მოსაზრებაში საფუძვლიანი ეჭვის შეტანის დრო მოვიდა. თავად ჟორდი როურამ აღიარა, რომ „ბარსა“ მარცხისგან მესიმ იხსნა.

#### ბომბარდირები

37 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
24- კრიშტიანო რონალდო (რეალი)
20 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

#### ასისტენტები

13 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)
9 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)

#### გოლი+პასი

46 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
21 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

#### მე-12 ფეხბურთელი

**სერხიო გარსია (ესპანიოლი)**

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




მთავარი წიგნი
რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ!
25 თებერვლიდან 4 მარტამდე „კვირის პალიტრასთან“ ერთად




წიგნის სპეციალური ფასი 14 ლარი
გაზეთთან ერთად 15 ლარი

პროექტი გრძელდება...




100 წიგნი თქვენს თაროზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი დანიშვნა

# ჰაინკესი უარს არ ამბობს!

## დონ იუპი შალკეში რეალურია, იდეა ბეკენბაუერსაც მოსწონს



იუპ ჰაინკესი

გუშინ ვწერდით, რომ „ბილდის“ ინფორმაციით, „შალკეს“ ხელმძღვანელები „ბაიერნის“ თავკაც **იუპ ჰაინკესს** უმიზნებენ და მიუხედავად იმისა, რომ 67 წლის სპეციალისტს მთელი საფეხბურთო გერმანია პენსიაზე გასვლას უწინასწარმეტყველებს, გელზენკირხენელები „დონ იუპისთვის“ ახლო მომავალში კონკრეტულ წინადადებას ამზადებენ. მას მერე, რაც გაირკვა, რომ რეკორდმაისტერს ზაფხულიდან **ხოსეპ გვარდიოლა** მიხედავს, ყველა დარწმუნებულია, რომ იუპი პენსიაზე გავა, მაგრამ თავად ჰაინკესს ასეთი რამ არ უთქვამს!

„შალკეში“ შესაძლო დანიშვნის შესახებ ჰაინკესმა კომენტარი გუშინ, ლონდონში, „არსენალთან“ მატჩის წინ გააკეთა: *„საკმარისად გამოცდილი ვარ იმისათვის, რომ ასეთ ცნობებს მშვიდად შევხვდე. ჩემთვის სიურპრიზს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კლუბში, რომლის ხელმძღვანელებსაც მომავალი სეზონისთვის ახალი მწვრთნელი ჰყავთ საპოვნელი, ჩემს გვარს ახსენებენ. თუ „შალკე“ მართლაც დაინტერესებულია ჩემი სამსახურით, ალბათ იმიტომ, რომ ყველა ხედავს, როგორ ვმუშაობ „ბაიერნში“. ჩემი სამწვრთნელო კარიერის მომავლის შესახებ ამაზე კონკრეტულ კომენტარს სეზონის ბოლოს გავაკეთებ,“* - უთხრა იუპმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

იმ დროს, როცა „ბაიერნის“ პრეზიდენტ **ული ჰიონესს** ჰაინკესის „შალკეში“ შესაძლო დანიშვნა ხუმრობა ეგონა, რეკორდმაისტერის საპატიო პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი** იუპის გელზენკირხენში გადასვლის იდეით აღფრთოვანებულია. *„ძალიან მინდა, რომ ჰაინკესი დიდ ფეხბურთში დარჩეს. მნიშვნელობა არა აქვს, მწვრთნელი იქნება, თუ სხვა თანამდებობაზე დასაქმდება - იუპი ჯერ არაა საპენსიო ასაკში. დარწმუნებული ვარ, რომ სადაც უნდა წავიდეს, წარმატებებს მიაღწევს,“* - აღნიშნა გუშინ „კაიზერ-ფრანცმა“.

„ბილდის“ ცნობით, „შალკეს“ მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** ჰაინკესთან შეხვედრას ახლო მომავალში გეგმავს.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# რა ბედი ეწევა გომესს?

## ამბობენ, მარიოს ლევანდოვსკიში გაცვლიანო, ატლეტიკოც დაინტერესებულია

თუ „ბაიერნი“ **რობერტ ლევანდოვსკის** მართლაც გადაიბირებს (ამაში კი ეჭვი თითქმის აღარავის ეპარება), საინტერესოა, რა ელის **მარიო გომესს**, რომელიც სათადარიგოთა სკამზე ჯდომის პერსპექტივას, დარწმუნებულები ვართ, არ შეეგუება. ლევერკუზენის „ბაიერის“ გენერალური მენეჯერის, **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერის** თქმით, ბავარიელები სერიოზულად ფიქრობენ იმაზე, რომ გომესი „დორტმუნდს“ შესთავაზონ.

*„ჩემი ინფორმაციით, „ბაიერნი“ „ბორუსიას“ ლევანდოვსკის გომესში გაცვლას შესთავაზებს. რაკი გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ მიუნხენელები რობერტს უკვე ყველაფერზე შეუთანხმდნენ, „დორტმუნდი“ შებოჭილია და გარიგებაზე უარის თქმა გაუჭირდება. ახლა საინტერესო ისაა, რამდენად მოსწონს „ბორუსიას“ იურგენ კლოპს გომესი,“* - უთხრა ჰოლცჰოიზერმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ამრიგად, გამორიცხული არაა, რომ 27 წლის მარიო სწორედ „დორტმუნდში“ ამოჩნდეს, თუმცა მას სხვა ვარიანტებიც ექნება. უახლესი ინფორმაციით, გომესის გადაბირებით მადრიდის „ატლეტიკოც“ დაინტერესებულია. ეს ცნობა ესპანურმა გაზეთმა AS-მა გაავრცელა. მადრიდელებს გერმანიის ნაკრების გოლეადორი **რადამელ ფალკაოს** შემცვლელად ესახებათ. როგორც იცით, ფალკაოს მთხოვნელთა უდიდესი რიგი უდგას, მის გადაბირებას „რეალი“, „ჩელსი“ და „მანჩესტერ სიტი“ ცდილობენ და ფაქტია, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრფორვარდს „ატლეტიკოში“ დიდხანს აღარავინ გააჩერებს.

### დორტმუნდში გომესს გომისი ურჩევნიათ?

ამასობაში, გერმანული პრესა იმასაც იუწყება, რომ დორტმუნდელთა თავკაც **იურგენ კლოპს** ლევანდოვსკის შემცვლელად არა მარიო გომესი, არამედ საფრანგეთის ნაკრებისა და „ლიონის“ თავდამსხმელი **ბაფეტიმბი გომისი** ესახება. 27 წლის გომისი იურგენის ტაქტიკურ სქემაში იდეალურად ჯდება, რადგან რობუსტულია, კარგი დარტყმა აქვს, პასის გაკეთებაც შეუძლია და შესანიშნავად თამაშობს თავით. ამასთან, მან თავისი შესაძლებლობები მრავალგზის დაამტკიცა - ზედიზედ მეშვიდე წელია, სეზონში ათზე მეტ გოლს იტანს.

გომისს „ლიონთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს და დაახლოებით 12 მილიონ ევროდაა შეფასებული. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დორტმუნდელები გომისის გარდა **ედინ ჯეკოზე** (მანჩესტერ სიტი), **შტეფან კისლინგსა** (ლევერკუზენი) და **მამე დიუფზეც** (ჰანოვერი) ფიქრობენ.

**გოტფრიდ ლენცი**



მარიო გომესი შეიძლება ბაიერნიდან წავიდეს

ამბები

## ჰამშიკი დააყაჩაღეს

„ნაპოლის“ პლეიმეიქერმა **მარეკ ჰამშიკმა** განაცხადა, რომ „სამპდორიასთან“ 0:0 დასრულებული მატჩის შემდეგ ის შეიარაღებულმა მძარცველებმა დააყაჩაღეს.

მძარცველებმა მას „როლექსის“ ფირმის ძვირად ღირებული საათი მოხსნეს. ჰამშიკმა თქვა, რომ ის მაშინ დააყაჩაღეს, როცა აეროპორტში მიდიოდა. 25 წლის ფეხბურთელის მანქანის შუშები ორმა უცნობმა ჩაამსხვრია და საათი წაართვა: ფეხბურთელი უვნებელი გადარჩა, მძარცველები კი მიიმალნენ.

*„ძალიან შეწუხებული ვარ იმით, რაც თამაშის შემდეგ მოხდა. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ რაც იტალიაში ვთამაშობ უკვე მესამედ დამაყაჩაღეს. ნეაპოლში ცხოვრება ძალიან მიყვარს, მაგრამ კრიმინალის მაღალი საფრთხე ხანდახან მაშინებს ხოლმე - ეს არის ნეაპოლში ცხოვრების საზღაური“*, - განაცხადა ჰამშიკმა.

ჰამშიკი პირველი ნაპოლელი არ არის, რომელიც კრიმინალთა მსხვერპლი გახდა, ბოლო წლებში იგივე ბედი ეწიათ **ედინსონ კავანის, ვალონ ბერამის** და **ესეკილ ლავეცის**.

## ფიფამ ტექნოლოგიებს მწვანე შუქი აუნთო

ფიფამ გადაწყვეტილება მიიღო გოლის ამომცნობ ტექნოლოგიაზე - მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე ტესტირებამ წარმატებით ჩაიარა და უკვე კონფედერაციათა თასიდან ფიფა კარის ხაზზე გოლის ამომცნობ ტექნოლოგიას დანერგავს.

კარის ხაზზე გოლი დაფიქსირდება სპეციალური ტექნოლოგიების წყალობით 2014 წლის მუნდიალზეც.

რადგან ამ ორ დიდ ტურნირზე გლტ („გოლ ლაინ ტექნოლოჯი“) დაინერგა, ეს იმის საწინდარია, რომ მომავალში ყველა მნიშვნელოვანი ტურნირი იქნება ამ ტექნოლოგიით აღჭურვილი. სხვათა შორის, ორმა ფირმამ უკვე მიიღო ფიფას ლიცენზია და კიდევ რამდენიმე ლიცენზირების პროცესს გადის.

რამდენად შეეხება ეს სიახლე ევროპას, ჯერ გაურკვეველია, რადგან ცნობილია, რომ უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** ფეხბურთში ტექნოლოგიების დანერგვის სასტიკი წინააღმდეგია.

## არსენალი ვალდესში 11 მილიონს იხდის

ლონდონის „არსენალი“ ზაფხულში ახალი მეკარის შეძენას აპირებს. ინგლისურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „მეთოფეები“ „ბარსელონას“ მეკარის, 31 წლის **ვიქტორ ვალდესის** ყიდვას შეეცდებიან.

ვალდესმა ახლახან (ერთადერთმა კლუბში) უარი თქვა ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე. მიმდინარე კონტრაქტი კი მას 2014 წლის ზაფხულში ეწურება. ამიტომაც „ბარსელონასთვის“ ეს ზაფხული მეკარის სარფიანად გაყიდვის უკანასკნელი შანსია. ინგლისური გრანდი ვიქტორ ვალდესში 11 მილიონ ევროს იხდის. წყაროს ცნობით, **ვენგერს** „ლივერპულის“ კარის დარაჯი **პეპე რეინა** ერჩივნა, მაგრამ მასთან მოლაპარაკება ჩაიშალა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ. ლუკა კურტანიძე



ლუკა კურტანიძე

# ლობისტები ჭიდაობის ფედერაციაში?

## თურმე რას გვედავებოდა მარტინეტი

**ლუკა კურტანიძე ყოველთვის საზოგადოების უდიდეს ინტერესს იწვევდა, რაც პოლიტიკაში ჩართვამ და ჭიდაობის ფედერაციაში პრეზიდენტად მოსვლამ კიდევ უფრო გაზარდა. მით უფრო - ბოლო დღეებში მომხდარი დაპირისპირების შემდეგ. თუმცა ეს კონფლიქტი ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდიც აღმოჩნდა და ფედერაციაში არსებულ ხარვეზებზე სამინისტროშიც ალაპარაკდნენ და - ოლიმპიურ კომიტეტშიც. ნეგატიურ მოვლენებზე ალაპარაკდნენ თავად მოჭიდავეებიც, თუმცა, სამწუხაროდ, ღიად საუბარს კვლავაც ყველა ერიდება. სამაგიეროდ, არ მოერიდა თავად კურტანიძე, რომელმაც კონკრეტული ფაქტიც დაასახელა. ბუნებრივია, ჩვენ მოსამართლედ ვერ გამოვდგებით და არც არავის ვაბრალებთ რამეს. ამასთან, კვლავაც ვაღიარებთ პოსტებიდან მოხსნილი მწვრთნელების კვალიფიკაციას. მეტიც - ნამდვილად არ გვინდა, ისინი გარეული იყვნენ მთელ ამ თამაშებში, მაგრამ ნამდვილად შემაშფოთებელია, რომ ანალოგიური ბრალდებები უკვე მერამდენე ფედერაციის მისამართით გაისმის! მოკლედ, გთავაზობთ ინტერვიუს ლუკა კურტანიძესთან...**

**- გვინდა თუ არა, ფედერაციაში მომხდარ ჩხუბს გვერდს ვერ ავუვლით, რომელმაც საკმაოდ ბევრი პრობლემა წამოატივტივა...**

- მე მგონი, ეს თემა ინურება - მაგისი არც დროა და ვნებათაღელვაც ჩაცხრა. ახლა მთავარი ევროპის ჩემპიონატია, რომელიც კარს მოგვადგა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმაც განაცხადა, რომ 24-საათიან რეჟიმში უნდა ვიმუშაოთ და თამამად შეიძლება ითქვას, მართლაც ასეთ ტემპში ვართ. მაქსიმალურად ვიხარჯებით, რომ ამ პირველობას ღირსეულად ვუმასპინძლოთ. ეს ჩემპიონატი სცდება სპორტის საზღვრებს, რადგან 47 ევროპული ქვეყანა გვეწვევა, ტარდება ორდღიანი კონგრესი, გუნდები კი 15 მარტიდან უკვე იწყებენ ჩამოსვლას. მათი განთავსების თუ სხვაგვარი ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად სამთავრობო კომისია უნდა შეიქმნას და ამ ღონისძიების მასპინძლობაში რამდენიმე სამინისტრო უნდა ჩაერთოს. სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი უახლოეს დღეებში ხელისუფლებას სათანადო მონახაზს წარუდგენს. სადღეისოდ კომისია შექმნილია ფედერაციისა და სამინისტროს დონეზე, რომელმაც ეგრეთ წოდებული შავი სამუშაო უკვე მოაგვარა და ყიფიანმა ესეც უნდა გააცნოს მთავრობას.

პარალელურად გუნდსაც ვამზადებთ ამ შეჯიბრებისთვის, რომელიც სადღეისოდ შეკრებაზეა, თუმცა პერიოდულად სხვადასხვა ტურნირშიც მონაწილეობს. სასიხარულოა მათი კარგი გამოსვლა თურქეთში „დიდ პრიზზე“, სადაც 3 ოქრო და 1 ბრინჯაო მოიპოვეს - ასეთი მასშტაბური წარმატება იქ ჯერ არ გვქონია. მინდა, მადლობა ვუთხრა მწვრთნელებს. ეს ერთ-ერთი ტესტი იყო და მიხარია, რომ გამოცდის პირველი ეტაპი ასე წარმატებით გავიარეთ. ჩვენები კარგად გამოვიდნენ კიევის ტურნირშიც. ახლა გუნდი მეორე შეკრებაზეა ბორჯომში, სადაც საკონტროლო შეხვედრებს ჩემპიონთა კლუბის წევრებიც დაესწრებიან, გაკეთდება ანალიზი და ამის შემდეგ დაკომპლექტდება ნაკრები. პარალელურად, ახალგაზრდების საქართველოს პირველობაც უნდა ჩავატაროთ, გავმართეთ ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის ტურნირი და შეიძლება ითქვას, ნამდვილად 24-საათიან, შრომატევად რეჟიმში ვმუშაობთ. ამდენად, საქმემ სრულად გადაფარა ის ვნებათაღელვა, რაც ჭიდაობის ფედერაციაში იყო.

**- ამის მიუხედავად, მაინც რჩება უპასუხო კითხვები. მაგალითად, წესდებასთან დაკავშირებით, სადაც მერვე პუნქტი მწვრთნელთა მოხსნა-დანიშვნის საკითხის პრეზიდიუმთან შეთანხმებას გავალებთ და არ გაძლევთ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების უფლებას. მინისტრმაც განაცხადა, ორივე მხარემ გადააჭარბეთ უფლებებსო... ხომ არ ფიქრობთ, რომ ცოტა იჩქარეთ და სხვანაირი მიდგომა აჯობებდა?**

- ვერანაირად ვერ დავიცდიდი, რადგან მწვრთნელთა ამ ჯგუფმა დიდხანს იმუშავა და უამრავი შეცდომა დაუშვა. განსხვავებული ვითარებაა ბერძნულ-რომაულ ნაკრებთან დაკავშირებით, აქ კი წლების განმავლობაში მათი შეცდომების მსხვერპლი მეც ვიყავი, რაც ჩემს შედეგებზეც აისახა. 2004 წლის ოლიმპიადა კატასტროფა იყო, მაგრამ პასუხი არავის უგია. წინასაარჩევნო კამპანიისას პირდაპირ ვამბობდი, რომ ცვლილებებს აუცილებლად განვახორციელებდი და ეს დამალული არავისთვის ყოფილა. თან, ეს ჩემი მოწინააღმდეგე ხალხი აქტიურად მონაწილეობდა არჩევნებში, ისინი იდგნენ საარჩევნო ურნებთან და ლამის გადაჰყვნენ ამ ყუთებს. იყვნენ კომისიებშიც, რაც, ვფიქრობ, მათი პროფესიიდან გამომდინარე, არ ევალებოდათ. ასევე არ ევალებოდათ საარჩევნო ბატალიებში მონაწილეობა, მაგრამ ბოლომდე იბრძოლეს. მათიც მესმის, თუმცა მთელ მსოფლიოში აპრობირებულია - როცა ახალი გუნდი მოდის, ძველი მიდის.

**- ანუ ზონდერჯგუფების თემამდე მივდივართ, რაზეც კულისებში ასევე აქტიურად ლაპარაკობენ?**

- მთლად ასე ვერ ვიტყვი, მაგრამ ნებით თუ უნებლიე გადახვევებით, დუმილით, როცა, როგორც პროფესიონალებმა, ხმა არ აიმაღლეს და სუფთა სპორტული თვალსაზრისით დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობეს ის, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონი არ გვყოლია. ვგულისხმობ დუშეთის ბაზაზე მზადებას, როცა თითქოს იქაურობა სჯობდა ბორჯომს. დუშეთს რატომ არჩევდნენ, ყველამ კარგად იცის - ხელისუფლების წარმომადგენელთა პირადი ინტერესი იყო, რასაც ძალაუნებურად აძლიერებდა მწვრთნელების დუმილი, ამან კი სახელმწიფოს საკმაოდ დიდი ფინანსური რეზერვის არამიზნობრივ ხარჯვამდე მიგვიყვანა. ამაზე ხელს ვერ გადავუსვამთ ვერავის და ვერც წავახალისებთ. მათ თავიანთი შეცდომები უნდა გაიაზრონ, თორემ მწვრთნელებად მუშაობას არავინ უშლით. პირიქით - ყველა პირობას ვუქმნით საამისოდ. უბრალოდ, 20 წლის განმავლობაში ბევრი შეცდომაა დაშვებული, რაც უნდა გააანალიზონ.

>> მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-10 გვერდიდან

ნესდებას რაც შეეხება, 1989 წლიდან ის ოთხჯერაა შეცვლილი და მორგებულია იმ ადამიანებზე, ვინც ამ პერიოდში ფედერაციას მართავდა. 1995 წლის წესდება რომ ავიღოთ, ის ძალზე ნორმალურია, მაგრამ მერე, მაგალითად, პრეზიდიუმის წევრთა რაოდენობა 37-მდე გაიზარდა. ლუკა კურტანიძე ვერასოდეს შეეგუება ნაციონალებისგან მორგებულ წესდებას.

პრეზიდენტად მოსვლისას ვთქვი, რომ უნდა ავიღოთ სწორი მიმართულება, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად გააუმჯობესებს შედეგებს. როგორც კი ამ გზაზე პირველი ნაბიჯი გადავდგით, იაშარ დოგუს უძლიერეს ტურნირზე ერთბაშად 3 ოქრო მოვიპოვეთ, როცა ბოლო ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი გვქონდა. ამდენად, რეფორმამ შედეგი პირველი ცდაზე მოგვიტანა და მჯერა, რომ ევროპაზე კიდევ უფრო მეტი წარმატება გვექნება, რადგან დიდი რეზერვი გვაქვს.

**- იმავე პროფესიულ შეცდომებს ბერძენ-რომაელებიც ხომ უშვებდნენ ანუ ისინიც დუშეთის ბაზაზე ემზადებოდნენ, მაგრამ იქ მსგავსი პროცესი არ მომხდარა და, ალბათ, ევროპის ჩემპიონატამდე ცვლილებებს არც უნდა ველოდოთ...**

- ევროპის პირველობამდე მართლაც არ მოხდება, რადგან იქ განსხვავებული ვითარებაა - მწვრთნელებსა და სპორტსმენებს სამაგალითო ურთიერთობა აქვთ. „თავისუფალთა“ ნაკრებში მომხდარმა ცვლილებებმა სპორტსმენთა აღფრთოვანება გამოიწვია. დამოკიდებულება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ურთიერთპატივისცემის, თანხვედრის, თანადგომის გარეშე არაფერი გამოვა. დაძაბული, არაჯანსაღი ურთიერთობა ყველაფერზე აისახება.

**- კულუარებში ლაპარაკია ასევე ფინანსურ დარღვევებზე - პრემიების არასწორ განაწილებაზე, გაბერილ შტატებზე, ეგრეთ წოდებულ მკვდარ სულებზე და სხვა...**

- ფედერაციაში აუცილებლად მოვიწვევ აუდიტს, რომელმაც მთლიანი სურათი უნდა დამანახვოს. თუმცა უკვე გვქონდა ფაქტი, როცა ბათუმელ მწვრთნელ ხოზრევანიძის კუთვნილი პრემია გადანაწილებული იყო ფედერაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელსა და ნაკრების მწვრთნელს შორის. ხოზრევანიძემ ამაზე განცხადებით მოგვმართა, რაც განვიხილეთ და სამართალი აღვადგინეთ - მწვრთნელმა პრემია სრულად მიიღო.

პრემიებთან და ხელფასებთან დაკავშირებით ბევრია გამოსასწორებელი.

**- ასევე ლაპარაკია, რომ ფედერაციაში პარტიული ხაზით მოსულ თანამშრომლებს საკმაოდ მაღალი ხელფასები ჰქონდათ ცენტრალური თუ დედაქალაქის ბიუჯეტიდან...**

- მაღალი ხელფასების გარდა, ისინი კოორდინატორებად იყვნენ გაფორმებულები და ფულს „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტობაში იღებდნენ. ჭიდაობას არ გავცდები და პოლიტიკურ განცხადებებს არ გავაკეთებ, მაგრამ უზარმაზარი თანხა იხარჯებოდა მათზე, რათა დასწრებოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ შეკრებებს. თავის დროზე მივიღე საზოგადოებისგან დავალება, რომ ჭიდაობის ფედერაცია არსებული სიბინძურისგან გამეწმინდა. სპორტი და ჭიდაობა საზოგადოების გამაერთიანებელი უნდა იყოს, რადგან გამარჯვება ყველას თანაბრად უნდა და უხარია. ყველაფერს გავაკეთებ, რომ პოლიტიკა შორს იყოს ამ ფედერაციისგან და ჭიდაობა კვლავ გახდეს ის სახეობა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში აერთიანებდა საზოგადოებას. წლების განმავლობაში თვითონ ვიყავი ამ პროცესის მონაწილე და ძალიან კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს, როცა ყველასთვის მისაღები ხარ პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვაგვარი მრწამსის მიუხედავად.

**- ფინანსური გადაცდომები ასაკობრივ ნაკრებებშიც ხდებოდა? იმათ მწვრთნელებს რაღას ერჩოდით, მათ ხომ კარგი შედეგები ჰქონდათ?**

- ვაშლით სავსე ყუთში ერთი დაზიანებული ვაშლიც რომ ჩადო, ის მთელ ყუთს გააფუჭებს. წყლით სავსე ჭიქაში ერთი მღვრიე წვეთიც რომ ჩავარდეს, მთელ ჭიქას ამღვრევს. ვერავინ უარყოფს, რომ ეს სფერო მთლიანად იყო დაბინძურებული.

**- ბოლო დღეებში მსოფლიოს საჭიდაო სამყაროში მომხდარ არანაკლებ სკანდალურ ამბებს რა შეფასებას მისცემთ?**

- ამას წინათ პრესკონფერენციაზეც ვთქვი, რომ ეს იყო ძალიან მკაცრი დიპლომატიური მესიჯი, რათა საერთაშორისო ფედერაციას გამოესწორებინა დაგროვილი უამრავი ხარვეზი... სოკ-ის ამ მესიჯმა ბევრი რამე შეცვალა. მარტინეტის წასვლით ჭიდაობის ეროვნული ფედერაციები მთელ მსოფლიოში შვებით ამოისუნთქავენ. წესები ხომ დაიხვეწება და დალაგდება, ჭიდაობაც სანახაობრივი გახდება, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ საერთაშორისო ფედერაცია გაიწმინდება დაგროვილი სიბინძურისგან. მარტინეტი ურჩებს მკაცრად უხდიდა სამაგიეროს ტურნირებზე, სიმართლის აღსადგენად კი სად უნდა გეჩივლა? ერთადერთი შანსი სოკ-ის არბიტრაჟი იყო, მაგრამ ამასაც დიდი დრო და კიდევ უფრო მეტი ფული სჭირდებოდა... სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ არაერთხელ გააფრთხილა მარტინეტი, მაგრამ ამაოდ. ჩვენ რომ ამოგვეღო ხმა, ეს მყისვე აისახებოდა შედეგებზე. არადა, წარმოიდგინეთ - საქართველო თავისი ბიუჯეტიდან გამომდინარე, დიდ თანხას ხარჯავდა ჭიდაობაზე და შედეგი რომ არ ყოფილიყო, ამას რა რეაქცია ექნებოდა! მთელი ამ წლების განმავლობაში ალესილი დანის პირზე ვიარეთ.

**- ძალიან ბევრჯერ, თუნდაც სიდნეის ოლიმპიადაზე თქვენი გამოსვლის დროსაც, როცა საგიდ მურთაზალიევმა აშკარად არასპორტულ ბრძოლაში მოგიგოთ, იყო საუბრები რაღაც გადაუხდელ ვალებზე. რაზეა ლაპარაკი და რა ოდენობის თანხაზე, რას გვედავებოდა საერთაშორისო ფედერაცია?**

- გადასახდელი არავისთან არაფერი გვაქვს და ვერავინ მოგვედავება - ჩვენ ყველა დაკანონებულ გადასახდს ვიხდიდით, მაგრამ იყო რაღაც სხვა სახის, ასე ვთქვათ, გაოფიციალურებული არაოფიციალური გადასახადი, ვითომდა ჭიდაობის განვითარებისთვის. აი, ამაზე იყო ლაპარაკი, რაც სოკ-მა და სხვა საერთაშორისო სპორტულმა ორგანიზაციებმა სირცხვილის ლაქად შერაცხეს. თანხის ზუსტ ოდენობას ვერ გეტყვით, რადგან ამაში გარეული არ ვიყავი, თუმცა მარტინეტის რომ დასცლოდა, მეც მომიწევდა შეხება. მადლობა ღმერთს, ახლა ეს აღარ მომიწევს.

რაც შეეხება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მომავალს, ყველაზე უფრო აქტიურად განიხილავენ ალექსანდრ კარელინის კანდიდატურას. მოვლენებს წინ არ გავუსწრებ, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ მისი მოსვლა სასიკეთოდ წაადგება ჭიდაობას. ის სულით სპორტსმენია, თუმცა, ალბათ, სხვა კანდიდატურებიც იქნება. ყოველ შემთხვევაში, რაც იყო, იმაზე უარეს ვითარებას არ მივიღებთ, თუმცა გამოსავალი არც ესაა, ადრინდელზე ბევრად უკეთესი შედეგი თუ არ გვექნება.

**ირაკლი თავაძე**

არჩევნები

# ქართული ჭიდაობა ბერუაშვილს ჩააბარეს

2012 წლის აპრილიდან ქართული ჭიდაობის ფედერაციას **რამაზ ხატიაშვილი** ედგა სათავეში, მაგრამ ის საკუთარი სურვილით გადადგა. გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში ფედერაციის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა გაიმართა, რომელსაც ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულები და პრიზიორები, საქართველოს ფალავნები ესწრებოდნენ. პრეზიდენტობისთვის ხუთი კანდიდატი (**გელა ბერუაშვილი, უშანგი ყურაშვილი, აკაკი ბორცვაძე, ნოდარ სირბილაშვილი და პაატა ურიათმყოფელი**) იბრძოდა. საკუთარი პროგრამების წარდგენის შემდეგ ყურაშვილმა, ბორცვაძემ და ურიათმყოფელმა კანდიდატურები მოხსნეს. 47-დან 28 დელეგატმა ხმა გელა ბერუაშვილს მისცა, 19-მა - ნოდარ სირბილაშვილს. ახალმა პრეზიდენტმა გამგეობის შემადგენლობის ასარჩევად ერთკვირიანი შუალედი ითხოვა.

- დიდი მადლობა ყველას, ვინც ნდობა გამომიცხადა და მხარი დამიჭირა. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა და ვეცდები, ამ სახელოვანი ადამიანების ნდობა გავამართლო, - თქვა გელა ბერუაშვილმა.

ქართული ჭიდაობის ფედერაციის ყრილობას სპორტის მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძე** და სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი დოლაბერიძე** ესწრებოდნენ.

**ვაჟა დანელია**


გელა ბერუაშვილი

სამთო თხილამურობა

# ზამთრის ფესტივალზე

რუმინულ ბრაშოვში დაიწყო ევროპის ახალგაზრდობის მე-11 ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც საქართველოს შვიდი წარმომადგენელიც მოსინჯავს ძალებს. გუშინ ოთხმა მათგანმა გიგანტურ სლალომში იასპარეზა. 98 მონაწილეს შორის ჩვენი დელეგაციის მედრომე **ნიკოლოზ კოზანაშვილმა** 29-ე ადგილი (1.51,62) დაიკავა. **სოსო ჯაფარიძე** (1.52,22) 32-ე იყო, **შოთა ნათაძეს** (1.55,84) 44-ე ადგილი ერგო, ხოლო **სანდრო ოგბაიძემ** დისტანცია ვერ ჩაამთავრა. პირველ-მესამე ადგილებზე მანუელ ანევანტერი (1.45,9), ელმარ მატიას გრაფი (ორივე - ავსტრია, 1.46,41) და ელი გატიე (საფრანგეთი, 1.46,51) გავიდნენ.

**ვაჟა დანელია**

რეგიონი. დაბრუნება



იოსებ ფალელაშვილი

# სხვისი ეზოს ამაო ხიბლი

## ფალალაშვილი სამშობლოში დაბრუნდა

**ისრაელის სახელით მოასპარეზე ქართველი ძიუდოისტი იოსებ ფალელაშვილი (73 კგ) გულშემატკივრისთვის კარგადაა ცნობილი. ლონდონის ოლიმპიადაში გამოსვლის შემდეგ 26 წლის ფალელაშვილმა სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა და დეკემბრის მიწურულს ისრაელიდან საბოლოოდ წამოვიდა.**

- 6 წლის ვიყავი პაპამ, რომელიც ადრე თავადაც ჭიდაობდა, გორის ცენტრალური სასპორტო სკოლის ძიუდოს სექციაში ქართლოს პავლიაშვილთან რომ მიმიყვანა. მერე ვვარჯიშობდი ჭიდაობის კომპლექსურ სკოლაში. 2006 წლიდან კი ისრაელში გადავედი საცხოვრებლად და სავარჯიშოდ.

**- საქართველოში რა წარმატებები გქონდა?**

- ვიყავი ქვეყნის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის. ფინალში უშუალო კონკურენტს დავით ასუმბანს ვძლიე, თუმცა მომდევნო შეჯიბრებაზე თურქეთში უკვე მან მაჯობა და იმ წელს კონტინენტის ჩემპიონატზეც ის წავიდა. ცოტა ხანში კი გადავსახლდი ისრაელში.

**- საქართველო შენს წონაში კონკურენციის გამო ხომ არ დატოვე?**

- არა. მიმაჩნია, რომ კონკურენციას არ უნდა შეუშინდე. სამშობლო არასახარბიელო საცხოვრებელი პირობების გამო დავტოვე. ისრაელზე კი ოჯახთან ერთად არჩევანი იმიტომ გავაკეთე, რომ მეუღლის ბებია არის ებრაელი და იქ გადასვლა ყველაზე რეალური ჩანდა. ისრაელში მალევე დავიმკვიდრე ნაკრებში ადგილი. ჯერ ახალგაზრდებს შორის გავხდი ქვეყნის ჩემპიონი, დიდებში - სამჯერ, ერთხელაც ვერცხლის პრიზიორი ვიყავი. სხვათა შორის ნაკრების დაკომპლექტებისას ადგილობრივი ჩემპიონატის შედეგებს იქ ნაკლებად ითვალისწინებენ. თუმცა არც საერთაშორისო არენაზე შემირცხვენია თავი.

**- განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რომელი გამარჯვებები იყო?**

- შარშან პრაღის მსოფლიო თასზე ტიტულოვანი მონღოლი სპორტსმენი, მსოფლიოს ჩემპიონი ხაშბაატარ ცაგანბაატარი იპონით დავამარცხე. ევროპის ჩემპიონატზე ჩელიაბინსკში კი კონტინენტის ორგზის ჩემპიონს პორტუგალიელ ჟოაო პინას მოვუგე.

**- საკუთარი საჭიდაო სტილის შესახებ რას იტყვი?**

- ტექნიკურ - ტაქტიკურად და ფსიქოლოგიურად სათანადოდ მზად თუ არ არის სპორტსმენი, დიდ სპორტში ვერაფერს მიაღწევს. ამ თვალსაზრისით მგონია, რომ მოწოდების სიმაღლეზე ვარ, დანარჩენი გულშემატკივრის შესაფასებელია.

**- მიგაჩნია, რომ ისრაელში შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოავლინე?**

- რასაკვირველია არა, მაგრამ წამოსვლის გადაწყვეტილება მაინც მივიღე. ქართული გამოთქმაა - სხვისი ეზო შორიდან კარგად ჩანსო. არადა სულაც არაა ასე. უცხოეთიდან გაცილებით უკეთ გავიგე სამშობლოს ფასი. უცხო ქვეყანაში, განსხვავებული კულტურის, რელიგიის, მენტალიტეტის ფონზე თავს მაინც შებოჭილად ვგრძნობდი. ნაკრებშიც არ მაკლდა ყურადღება, მაგრამ რაღაცნაირად თითქოს მარტო ვიყავი. ამიტომ ვარ დღეს აქ.

**- ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლას როგორ შეაფასებ?**

- ბავშვობიდან მიზნად მქონდა დასახული, რომ ოლიმპიელი უნდა გავმხდარიყავი, იქ კი, აბსოლუტურად ყველაფერია მოსალოდნელი. პროგრამა მინიმუმი შევასრულე, თუმცა, სამწუხაროდ, მედალს ვერ შევწვდი. პირველი შეხვედრა თურქ სეზერ ჰუისუზს მოვუგე, მერე კი იაპონელ რიკი ნაკაიასთან დავმარცხდი. მოგეხსენებათ, ნაკაია საბოლოოდ ვერცხლის პრიზიორი გახდა - ფინალი დათმო რუს მანსურ ისაევთან, რომელიც ორიოდე თვით ადრე ევროპის ჩემპიონატზე მყავდა დამარცხებული.

**- ტატამზე შეხვედრიხარ კედელაშვილს, რეხვიაშვილს, ავალიანს, ტატალაშვილს. როგორი შეგრძნებაა თანამემამულესთან პაექრობა.**

- ვერ ვიტყვი, რომ სასიამოვნო იყო სხვა ქვეყნის სახელით ჩემი სამშობლოს დროშის ქვეშ მოასპარეზე ფალავნებთან ჭიდაობა, მით უფრო, რომ ბევრი მათგანი ჩემი მეგობარია, მაგრამ პროფესიონალი სპორტსმენის მოვალეობაა, ნებისმიერ შემთხვევაში იბრძოლოს გამარჯვებისათვის.

**- ახლა იძულებითი უქმობა რამდენ ხანს მოგიწევს...**

- ისრაელის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისი უკვე დაწყებული გვქონდა, მაგრამ ახლა რომ არ დავბრუნებულიყავი, ფაქტობრივად მომდევნო ოთხწლიანი ოლიმპიური ციკლი იქ უნდა გამელია. ეს კი მიუღებელი იყო ჩემთვის. ისრაელის ფედერაციას, რასაკვირველია, ჩემი გადაწყვეტილება არ მოეწონებოდა. ამის გამო ჩემი იძულებითი უქმობა შეიძლება ორი წელიც გაგრძელდეს. ჩამოსვლისთანავე გორის ჭიდაობის კომპლექსურ სკოლაში მწვრთნელობას შევუდექი. მომავალში კი ვნახოთ, როცა მომეცემა კარიერის გაგრძელების საშუალება და თუ მზად ვიქნები, ალბათ დავუბრუნდები კიდეც ასპარეზს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჩოგბურთი

# პირველი ბარიერი დასძლია

ქართველი ჩოგბურთელი **სოფიო შაფათავა** მოსკოვის ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) ჩაება. იგი ძირითად ბადეში მერვე ნომრადაა განთესილი. გუშინ პირველ წრეში საასპარეზოდ „ველური ბარათით“ მიწვეულ კსენია გაიდარჯის (რუსეთი) ორ სეტში სძლია - 6:4, 6:2 და მეორე წრეში ლესლი კერხოვესა (ჰოლანდია) და ანა კოვალს (რუსეთი) შორის გამარჯვებულს შეხვდება.

წყვილთა პაექრობაში შაფათავა რუს მარინა მელნიკოვას (ისინი მე-3 ნომრად არიან განთესილი) შეუამხანაგდა. ასპარეზობის სტარტზე **მაია კაციტაძის** (რუსეთი) და **დარია ლებეშევას** (ბელარუსი) დუეტს დაუპირისპირდება.

ანტალიის 10.000-იან ქალთა ტურნირში წინასწარი განაცხადით **ეკატერინე გორგოძეს** უნდა ეთამაშა, მაგრამ გუშინ იგი ძირითად ბადეში არ აღმოჩნდა.

**ვაჟა დანელია**


სოფიო შაფათავა

## მილოცვა

ოლიმპიური ჩემპიონი მზია ჯუღელი დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს პრემიერ-მინისტრს **ბიძინა ივანიშვილს**. უსურვებს მას დღეგრძელობას, დღემზეობას და წარმატებებს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ.

ჩიხი

# რევოლუცია მოდის!

## საქართველოს ნაკრები ევროლიგისა და NBA-ს კალათბურთელების გარეშე?

მსოფლიოსა და ევროპის საკალათბურთო მმართველ ორგანიზაციებს, ფიბასა და ფიბა-ევროპას შორის შესაძლოა დიდი ნაპრალი გაჩნდეს. მეტსაც გეტყვით: არც ისაა გამორიცხული, ევროპულმა ქვეყნებმა ფიბას მიერ მოწყობილ შეჯიბრებებს (მსოფლიოს ჩემპიონატებს) ბოიკოტი გამოუცხადონ.

პირველი აბზაცის შემდეგ გაჩენილ კითხვაზე ზოგადი პასუხი კალათბურთში კარგად ჩახედულ გულშემატკივარს უკვე აქვს, თუმცა მაინც დავაკონკრეტებთ. დავიწყოთ იმით, რომ ფიბას მიერ შეთავაზებული ახალი პროექტის (რომლის განხორციელებასაც 2017 წლიდან აპირებს) მიხედვით ევროპის ჩემპიონატები ორის ნაცვლად ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა გაიმართოს. შედეგად ოთხ წელიწადში არა ოთხი (როგორც ახლაა), არამედ სამი საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართება - ოლიმპიადა, მსოფლიოს პირველობა (მონაწილეთა რაოდენობა 24-დან 32-მდე გაიზრდება) და ევრობასკეტი. თუ ფიბას გადაწყვეტილებას ხელი არაფერმა შეუშალა, განახლებული მსოფლიოს პირველობა 2019 წელს ჩატარდება, ოლიმპიადა - 2020 წელს, ხოლო ევრობასკეტი - 2021-ში. 2022 დასვენების წელი იქნება.

■ ■ ■

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რა პრინციპით მოხვდებიან გუნდები ზემოთ ნახსენებ ფორუმებზე. დღევანდელი ფორმატით მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიადებზე ნაკრებები ევრობასკეტის შედეგების მიხედვით თამაშობენ. „გლეხურ" ენაზე რომ ვთქვათ, ევროპის პირველობა ზემოთ ნახსენები შეჯიბრებების შესარჩევი ეტაპია. ფიბას მიერ შემოთავაზებული ახალი სისტემით კი, ისევე როგორც ფეხბურთში, კალათბურთშიც ჩატარდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირები. მატჩები ორ წელიწადზე გადანაწილდება. მაგალითად: მსოფლიოს 2019 წლის პირველობის შესარჩევი ეტაპი 2017 წლის სექტემბერში დაიწყება და 2019-ის თებერვალში დასრულდება.

■ ■ ■

მივადექით მთავარს: ახალი ფორმატით, შესარჩევი დაახლოებით ორ თვეში ერთხელ, მიმოსვლითი სისტემით გაიმართება. გუნდები ჯგუფებად გაიყოფა, რომლებშიც 3 ან 4 ნაკრები მოხვდება. შეხვედრები ექვს თვეზე იქნება გადანაწილებული: ნოემბერი, თებერვალი, ივნისი, სექტემბერი, ნოემბერი, თებერვალი. დაახლოებით ისე, როგორც ფეხბურთში, მაგრამ...

„მაგრამს" მეორე მაგრამ მოსდევს და სერიოზულ წინააღმდეგობებს ვაწყდებით. მომდევნო ქვეთავში სწორედ მათზე გავამახვილებთ ყურადღებას.

**...მაგრამ**

ისევ თავიდან დავიწყოთ:

*- ფიბას გადაწყვეტილებით ევროპის ჩემპიონატები ორ წელიწადში ერთხელ აღარ გაიმართება - დრო ოთხ წლამდე გაიზრდება,* - ამბობს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი,** - *ამას თავიდანვე ვეწინააღმდეგებოდით და ახლაც არ ვემხრობით, რადგან ყველას კარგად მოეხსენება, რა სიხარულია ჩვენთვის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა და თამაში. ამასთან, ევრობასკეტების რაოდენობის შემცირება ევროპის ქვეყნებში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციაზე დადებითად ნამდვილად არ აისახება.*

*ვფიქრობთ, ყველაფერი გასაგებია და ჩვენთან ერთად კიდევ არაერთი ევროპული ქვეყნის ფედერაცია შეეწინააღმდეგება ფიბას გადაწყვეტილებას, რომელიც ერთი შეხედვით მიმართულია ფიბა-ევროპისთვის ფრთების შეკვეცისკენ.*

■ ■ ■

თითქოს საფეხბურთო ფორმატი მისაღები უნდა იყოს: წარმოიდგინეთ, **ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია, მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, გიორგი შერმადინი** საქართველოში სათამაშოდ სექტემბერშიც ჩამოვლენ, ნოემბერშიც, თებერვალშიც და ა.შ. ახლანდელი სისტემის მიხედვით ნაკრებები შესარჩევ ეტაპსაც და ევროპის ჩემპიონატსაც ერთ თვეში ამთავრებენ და მომდევნო თერთმეტი თვე ნაკრებისგან თავისუფლები არიან.

...მაგრამ ფიბამ თუ თავისი გაიტანა, დიდი ალბათობაა, საქართველოს ნაკრებს ევროლიგისა და NBA-ს ვარსკვლავების გარეშე მოუწიოს თამაშმა. სხვათა შორის, ამერიკულ გამოცემა ESPN-ში გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში სწორედ საქართველოს მაგალითია მოყვანილი: *„შესაძლოა, ზოგიერთ ნაკრებს ამერიკის ნაციონალურ ასოციაციაში მოასპარეზეთა დაკლება არც შეეტყოს, მაგრამ რა უნდა ქნას საქართველომ ზაზა ფაჩულიასა და მწვრთნელ* ***იგორ კოკოშკოვის*** *გარეშე? ისინი ხომ NBA-ში მოღვაწეობენ და ნოემბერსა და თებერვალში კავკასიაში კლუბები არ გაუშვებენ."*

იქნებ, იფიქროთ: რადგან ფიბამ შესარჩევი მატჩების ორ წელზე განაწილება გადაწყვიტა, NBA-სთანაც შეთანხმებულია და ევროლიგასთანაც. ლოგიკურად ასეც უნდა იყოს, მაგრამ პუბლიკაციის კითხვისას უკვე დარწმუნდებოდით, რომ ფიბას მოქმედებაში ლოგიკა არ არის. აი, რა თქვა ევროლიგის ხელმძღვანელმა **ჟორდი ბარტომეუმ:** *„უნდა გავიგოთ, რომ კლუბებს თავისი დრო აქვთ - ოქტომბრიდან ივნისამდე. დანარჩენი დრო ნაკრებებისაა. კლუბები კალათბურთელებს ხელფასებს უხდიან და ვალდებულები არ არიან შუა სეზონში სადმე გაუშვან".* იოლი წარმოსადგენია, ამ საკითხთან დაკავშირებით როგორ პოზიციაზე იდგება NBA-ს კომისარი **დევიდ სტერნი.**

თუ NBA-სა და ევროლიგასთან შეუთანხმებლად განახორციელა ფიბამ დაწყებული საქმე, ევროპული ფედერაციებისგან დიდ წინააღმდეგობას გადააწყდება.

უფრო სწორად, უკვე აწყდება:

*- შესაძლებელია დადგეს ბოიკოტის საკითხი, რადგან ევროპული ქვეყნების უმეტესობა ახალი ფორმატის წინააღმდეგია. თუმცა, საამისოდ აუცილებელია ფიბა-ევროპის პრეზიდენტიც იმავე პოზიციაზე იყოს, როგორზეც ფედერაციის ხელმძღვანელები. სწორედ ამიტომ დადგა მოქმედი პრეზიდენტისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი. ფიბა-ევროპის მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნები 2014 წელს იგეგმება, თუმცა შესაძლოა, გაზაფხულზევე ჩატარდეს არჩევნები. ამ საკითხზე იურისტები უკვე მუშაობენ,* - როგორც მიხვდით, ესეც ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელმა გვითხრა.

■ ■ ■

ბოლოსიტყვაობის ნაცვლად უნდა მოგახსენოთ, რომ ფიბა უკან დახევას არ აპირებს, რევოლუციური პროექტის განხორციელებას 2017 წლიდან გეგმავს. ალბათ, საუკუნისწინანდელი რევოლუციის მსგავსად სისხლიანი არ იქნება, მაგრამ საკმაოდ წონადი ორგანიზაციის, ფიბა-ევროპის წევრთა აზრის გათვალისწინება ნამდვილად მართებს. აზრი კი უხვად იქნება, რადგან ევროპაში სერიოზულად ფიქრობენ ახალ სანაკრებო ფორმატზე. როგორც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** გვითხრა, მაკედონელებს უკვე აქვთ პროექტი, რომელიც ფიბას გადაწყვეტილებას დიდად არ ეწინააღმდეგება და რომლის მიხედვით ევრობასკეტი კვლავ ორ წელიწადში ერთხელ გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ევრობასკეტი 2011. რუსეთთან მატჩში კლაიპედას დარბაზი ქართველებით იყო გავსებული

ვარაუდი



ზაზა ლეიკერსისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაჩულია ბრაიანტთან, ლეიკერსში?

NBA-ში სატრანსფერო ფანჯარა 21 იანვარს იხურება. ბოლო დღეებში არაერთი ხმაურიანი გაცვლა-ტრანსფერი შეიძლება განხორციელდეს, რომელთა შესახებაც უცხოური სპორტის გვერდებში წაიკითხავთ. აქ კი „ბლიჩერ რეპორტში" გამოქვეყნებულ ჩვენთვის საინტერესო ვარაუდს გაგაცნობთ. ჟურნალისტ **ტომ შრეიერის** თქმით, მოსალოდნელია „ატლანტა ჰოქსსა" და „ლეიკერსს" შორის ხმაურიანი გაცვლა განხორციელდეს: ჯორჯიის შტატიდან ლოს ანჯელესში ფორვარდი **ჯოშ სმიტი** და **ზაზა ფაჩულია** გადავიდნენ, ხოლო სანაცვლოდ ატლანტაში მეფარე **დუაით ჰოვარდი** ჩაირიცხოს.

ჟურნალისტი იქვე დასძენს, რომ ამ ტრანსფერით „ჰოქსი" მეტად იხეირებს. ასევე დიდ სარგებელს მიიღებს „ლეიკერსი", რომლის წინახაზელთა (სმიტი, ფაჩულია) სარგებლიანობა **სტივ ნეშის** ასისტენტობით კიდევ უფრო გაიზრდება.

საქართველო. U 18

**15 თებერვალი**

**რუსთავი 2–აკადემია 39:63**

6:25, 12:15, 10:7, 11:16

**რუსთავი 2:** ბაქრაძე, მეტრეველი (6ქ), ღვალაძე, ჩიჩუა (6ქ), წიქარიშვილი (8ქ, 13მ), ტაბალუა (5ქ, 5მ), გიგაური (4ქ), გოგობერიშვილი (6ქ), კორინთელი (2ქ, 8მ), ბარამიძე (2ქ, 5მ), ალავერდაშვილი (6მ).

**აკადემია:** ბერულავა (5ქ), გუგუშვილი (4ქ), ჯაყელი (11ქ), ცქიტიშვილი (12ქ, 13მ), ქობალავა (2ქ, 6მ), ქართველიშვილი, გაბრიჩიძე (4ქ, 5მ), ჭიხვარია, ხუციშვილი, ლურწკაია (18ქ, 5მ), ლომთაძე, ფაცია (7ქ, 5მ).

**16 თებერვალი**

**ნაკრები 97–შსს აკადემია 93:86**

13:23, 25:14, 20:24, 35:25

**ნაკრები 97:** ალიევი (1ქ), გოგალაძე (4ქ, 6მ, 7პ), ქვარაია (4ქ), ტურძელაძე (3ქ, 5მ), ისიანი (14ქ, 22მ), სხირტლაძე, ლომიძე (39ქ), სანაია (2ქ), გოგობერიშვილი (18ქ), აფხაზავა (8ქ), ნადარაია.

**შსს აკადემია:** ბობილევი (10ქ, 10მ), კიკნაველიძე (5ქ), გორდულაძე (23ქ, 10პ), კენჭიაშვილი (17ქ, 8მ), პულუზაშვილი (13ქ, 13მ), მაჭავარიანი (4ქ, 6მ), გუგეშაშვილი (14ქ, 10მ, 7პ).

**18 თებერვალი**

**ჰიუნდაი–ნაკრები 97 88:80**

25:12, 23:21, 22:21, 18:26

**ჰიუნდაი:** სანაძე (21ქ, 6მ, 5პ), ტომარაძე (6ქ, 8მ, 5პ), ლომიძე (10ქ, 11მ), ზაქრაძე (31ქ, 5მ), ბულიავა (5ქ,11მ), ბოლქვაძე (13ქ, 8მ), მამფორია (2ქ).

**ნაკრები 97:** გოგალაძე (17ქ, 5მ), ქვარაია (6ქ), ფალავა, ტურძელაძე, ისიანი (21ქ, 15მ, 5პ), სხირტლაძე (2ქ, 7მ), ლომიძე (12ქ, 6მ, 4პ), თვალაბეიშვილი (2ქ), სანაია (2ქ), გოგობერიშვილი (14ქ), აფხაზავა (2ქ), ნადარაია (2ქ).

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 14 | 12 | 2 | 1310/853 | 26 |
| 2. დინამო | 14 | 12 | 2 | 1037/801 | 26 |
| 3. რუსთავი | 13 | 13 | 0 | 1125/818 | 26 |
| 4. აკადემია | 14 | 11 | 3 | 1137/766 | 25 |
| 5. ნაკრები 97 | 14 | 10 | 4 | 1094/841 | 24 |
| 6. ჰიუნდაი | 14 | 10 | 4 | 1146/907 | 24 |
| 7. ქუთაისი | 13 | 9 | 4 | 1014/856 | 22 |
| 8. რუსთავი 2 | 13 | 8 | 5 | 959/797 | 21 |
| 9. მართვე 2 | 13 | 7 | 6 | 881/870 | 20 |
| 10. წიკე | 14 | 6 | 8 | 973/1082 | 20 |
| 11. აკადემია 2 | 14 | 6 | 8 | 898/799 | 20 |
| 12. მარნეული | 13 | 7 | 6 | 966/863 | 20 |
| 13. თელავი | 14 | 5 | 9 | 847/814 | 19 |
| 14. მაქაბი | 14 | 2 | 12 | 860/1063 | 16 |
| 15. ჰიუნდაი 2 | 14 | 2 | 12 | 812/1133 | 16 |
| 16. მართვე | 13 | 2 | 11 | 755/1045 | 15 |
| 17. თსსუ | 14 | 1 | 13 | 744/1137 | 15 |
| 18. მართვე 3 | 14 | 0 | 14 | 427/1540 | 14 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# ოცწლიანი ჰეგემონია უნდა გაგრძელდეს

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის მესამე ტურის შეხვედრას 23 თებერვალს, სოჭში რუსეთის ეროვნულ გუნდთან გამართავს. „ბორჯღალოსნები“ ტრადიციულად „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ შეიკრიბნენ და დღეს, 10 საათზე ღია ვარჯიშს გამართავენ.**

## ბორჯღალოსნები

ჩვენი ეროვნული გუნდის ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** თავდაპირველად 25 მორაგბეს უხმო. თუმცა, მოგვიანებით, გუნდს მესამეხაზელი **ვიქტორ კოლელიშვილი** დაემატა, რომელმაც წინა ტურის მატჩი პორტუგალიის ნაკრებთან ტრავმის გამო გამოტოვა. მას ყვრიმალი ჰქონდა გატეხილი და წესით, სამი კვირის განმავლობაში უნდა ემკურნალა. საბოლოოდ ხვალ გაირკვევა, შეძლებს თუ არა „ვიტო“ თამაშს.

ამასთან ერთად, წინასწარ გაცხადებულ გაფართოებულ შემადგენლობაში ერთი ცვლილებაა. ჰეიგმა პირველხაზელი **დავით ხინჩაგიშვილის** („ბრივი“) ნაცვლად, ახალგაზრდა **ზურაბ ჟვანია** მიიწვია. გაფართოებულ შემადგენლობში ვერ მოხვდნენ: შერკინების კვაჭი **რეზო ბელქანია** („ლელო“), ბურჯი **ირაკლი მირცხულავა** („ტარბი“), მეორეხაზელი **ვახტანგ მაისურაძე** („ალბი“) და გარემარბი **ალექსანდრე თოდუა** („ალბი“).

„ბორჯღალოსანთა“ რიგებში ისევ არ არიან მეორეხაზელები **ლევან დათუნაშვილი** („ორიაკი“) და **გიორგი ნემსაძე** („ტარბი“), მგეზავი **ლაშა მალაღურაძე** („ბაგნერე“). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ჰეიგს საქართველოს ნაკრების გაახალგაზრდავებისკენ აქვს გეზი აღებული.

გაფართოებულ შემადგენლობაში გამოძახებული შვიდი პირველხაზელიდან ოთხი ახალგაზრდა, თუმცა უკვე საკმაოდ გამოცდილი მოთამაშეა. ამათგან **ვასილ კაკოვინს** მსოფლიოს თასზე თამაშის გამოცდილებაც აქვს. ეროვნულ გუნდში არასდროს უთამაშია და, შესაბამისად, შედარებით ნაკლები პრაქტიკა აქვს ზურაბ ჟვანიას.

სრულიად ახალგაზრდულია მეორე ხაზი. აქ გამოცდილი **გიორგი ჩხაიძის** გვერდით ყველაზე მაღალი ქართველი მორაგბე, 22 წლის **კონსტანტინე მიქაუტაძე** ითამაშებს, რომლის სიმაღლეც ზუსტად ორი მეტრია. სათადარიგოთა შორის კი დებიუტანტი **ლაშა ლომიძე** იქნება, რომელმაც შარშან, „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე“ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშა. ის 20 წლისაა, მისი სიმაღლე კი 197 სანტიმეტრია.

ყველაზე სტაბილური მდგომარეობა მესამე ხაზშია. აქ ყველა მრავალნაცადი მოთამაშეა, თუ არ ჩავთვლით 21 წლის **ბექა ბინაძეს**, რომელსაც უკვე მოუწია ეროვნული ნაკრების კვართის რამდენჯერმე მორგებამ.

ბოლო წლებში, ცხრა ნომრის პოზიციაზე, ძირითადად, **ირაკლი აბუსერიძე** და **ბიძინა სამხარაძე** ირჯებოდნენ. შარშანდელი სეზონიდან სამხარაძე **გიორგი ბეგაძემ** ჩაანაცვლა. რუსთავის „ხარებისა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ცხრა ნომერი **ვაჟა ხუციშვილი** ეროვნულ გუნდში წლეულს გამოჩნდა, თუმცა ჯერ არ უთამაშია.

ჰეიგმა საქართველოს ნაკრებში დააწინაურა 19 წლის შუამარბი **თამაზ მჭედლიძე**, თუმცა ახალზელანდიელი სპეციალისტი მას გარემარბად მოიაზრებს და სწორედ ამ პოზიციაზე ათამაშებს. ასევე 19 წლისაა შუამარბი **მერაბ შარიქაძე**, რომელსაც ახალგაზრდებიდან ჰეიგი ყველაზე მეტად ენდობა და წელიწადზე მეტია ნაკრების ძირითადი შემადგენლობის წევრია.

პრობლემური რჩება ფულბეკის პოზიცია. აქ ჰეიგს ორი კანდიდატი ჰყავს შერჩეული: 28 წლის **ირაკლი ყიასაშვილი** და მასზე ოთხი წლით უმცროსი **ბექა ნიკლაური**. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ პორტუგალიის ნაკრებთან თამაშმა არც ერთს არ მოუწია. ლუზიტანელებთან ფულბეკი იყო მგეზავი **მერაბ კვირიკაშვილი**, რომელსაც ზურგს მსოფლიოს თასის სამ გათამაშებაში ასპარეზობის გამოცდილება უმაგრებს.

## რუსი დათვები

სოჭში საქართველოს ნაკრებს ტრადიციულ მეტოქესთან - რუსეთთან საკმაოდ მძიმე დაპირისპირება ელის. აქამდე, „ბორჯღალოსნები“ რუსთა გუნდს თექვსმეტჯერ ეთამაშნენ, აქედან 14 მატჩი მოიგეს, ერთიც წააგეს და ამდენივე ფრედ დასრულდა. რუსებს ჩვენი გუნდისთვის 1993 წლის შემდეგ არ მოუგიათ და, ცხადია, ამ 20-წლიანი კოშმარის დასრულების დიდი სურვილი აქვთ.

თანაც, ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს შარშანდელი წყენაც კარგად ახსოვთ, როცა თბილისში „ბორჯღალოსნებთან“ გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდნენ - 0:46. ყოველივე ამისთვის და სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთის ნაკრები ყველაფერს ილონებს სოჭში წარმატების მისაღწევად.

შეგახსენებთ, რომ ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა, რუსეთის ეროვნულმა გუნდმა ორი მატჩი გამართა. აქედან პირველში შინ სძლია ესპანეთის ნაკრებს - 13:9, მერე კი სტუმრად, დამარცხდა რუმინეთთან - 14:29. ჩვენს ნაკრებთან მარცხის შემთხვევაში, რუსების მდგომარეობა უკიდურესად გართულდება. მით უფრო, რომ მომდევნო ტურში სტუმრად მოუწევთ თამაში პორტუგალიის ნაკრებთან და, სავარაუდოდ, მათ არც ბოლო ტურში ექნებათ იოლი გასერნება შინ ერთა თასის დებიუტანტ ბელგიის ეროვნულ გუნდთან.

ჩვენი მეტოქის მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ შერკინების პირველხაზელებმა - ძმებმა **გრიგორი** და **ვალერი ცნობილაძეებმა** საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშზე უარი თქვეს. ისინი კი თავიანთ პოზიციებზე რუსეთში საუკეთესოები არიან.

საქართველოს ნაკრებთან მატჩისთვის რუსები 17 თებერვლიდან ემზადებიან. მათ რიგებში ორი ლეგიონერია გარემარბი **ვასილი არტემევი** და მეორეხაზელი **კირილ კულემინი**. ტრავმა მოიშუშა და გუნდს დაუბრუნდა მგეზავი **კირილ კუშნარიოვი**. ტრავმის გამო წინა ორი შეხვედრა გამოტოვა და ვერც „ბორჯღალოსნების“ წინააღმდეგ ითამაშებს უკანახაზელი **დენის სიმპლიკევიჩი**.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების დაპირისპირება 23 თებერვალს, სოჭში თბილისის დროით 15 საათზე დაიწყება.





### საქართველო

**პირველი ხაზი**: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), ირაკლი ნატრიაშვილი (ბრივი), ვასილ კაკოვინი (ტულუზი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე)

**მეორე ხაზი**: გიორგი ჩხაიძე (ტარბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე).

**მესამე ხაზი**: მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბინაძე (არმია), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).

**№9**: გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10**: ლაშა ხმალაძე (ლელო), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი).

**№12-13**: მერაბ შარიქაძე (ჰართპური), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№11-14**: ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი).

**№15**: ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).

### რუსეთი

ვასილი არტემევი (ნორსჰემპთონი), მიხაილ ბაბაევი, ალექსანდრ ვოიტოვი, ალექსეი ვოლკოვი, იგორ კლუჩნიკოვი, სერგეი ტრიშინი, ალექსანდრ იანუშკინი (ყველავვა), პაველ ბუტენკო, დიმიტრი გერასიმოვი, ინოკენტი ზიკოვი, იგორ კურაშოვი, ევგენი პრონენკო, ანდრეი ტემნოვი, ალექსეი შერბანი (ყველა-ენისეი), ანდრეი გარბუზოვი, ვიქტორ გრესევი, მაქსიმ კისილიოვი, ალექსეი მაკოვეცკი, ანდრეი ოტროკოვი, ანტონ რიაბოვი, მაქსიმ სტურზა, მაქსიმ ტიმოშუკი (ყველა-კრასნი იარი), ანდრეი იგრეცოვი (ფილი), პაველ კვერნაძე (სპარტაკი), კირილ კულემინი (ლონდონ ველში), იური კუშნარიოვი (ყუბანი), ანდრეი პოლოვალოვი, არტიომ ფატახოვი, სერგეი იანუშკინი (სამივე-აგროუნივერსიტეტი), სერგეი სუგრობოვი (სლავა).

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +21 | 8 |
| 2. საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | +17 | 8 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | -11 | 4 |
| 4. ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | -4 | 3 |
| 5. ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | -4 | 3 |
| 6. პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | -19 | 1 |

**III ტური. 23 თებერვალი**

რუსეთი-საქართველო
ესპანეთი-რუმინეთი
პორტუგალია-ბელგია

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ექვსი ერი


ჯონი ვილკინსონი

# ვილკინსონი: დამივიწყეთ! ფარელი ახალ ისტორიას წერს

ექვსი ერის გათამაშებაში მესამე ტურის ცენტრალური მატჩი ლონდონში, „თვიქენემზე“ გაიმართება, სადაც ლიდერი ინგლისის ნაკრები აუტსაიდერ საფრანგეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს და შეეცდება დიდი სლემისკენ გზა განაგრძოს.

„პომების“ თავკაცმა **სტიუარტ ლანკასტერმა** გუნდში სამი ახალი მორაგბე მიიწვია. **ელიოტ დელი** საჭიროების შემთხვევაში შეუძლოდ მყოფ **ბენ ფოდენს** შეცვლის. **უილი ფრეზერი** კი **ბენ მორგანს** დააზღვევს, ტრავმირებული **ჯონათან ჯოზეფის** ადგილს, სავარაუდოდ, **ჯოელ ტომკინსი** დაიკავებს.

მწყობრშია და „ლე ბლოსთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის ემზადება ინგლისური რაგბის ახალი იმედი, 21 წლის მგეზავი **ოუენ ფარელი**. ახლახან „პომების“ ყოფილი მგეზავის **ჯონი ვილკინსონის** ბლოგზე „დეილი მეილის“ ჟურნალისტის **იან სტეფორდის** სტატია გაჩნდა, სადაც ლეგენდარული ინგლისელი მოუწოდებს ყველას - „ვილკო“ დაივიწყონ, რადგან ამჟამინდელი მგეზავი ოუენ ფარელი, თავის, სრულიად დამოუკიდებელ ისტორიას წერს.

გთავაზობთ ამონარიდს ამ სტატიიდან: *„დიდი ხნის განმავლობაში, ინგლისის ნაკრებში ჯონი ვილკინსონის ყოფნა მოთამაშეებს იმედით ალავსებდა. „ვილკო“ თავის თავში ჩაკეტილი, უცნაური ადამიანი იყო, რომელმაც უდიდესი ნიჭისა და შრომის წყალობით ფენომენალური შედეგი აჩვენა. მან ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში რეკორდული რაოდენობის ქულები დააგროვა - 1179. ამასთან, სწორედ მისი ბრწყინვალე გარჯის წყალობით, „პომებმა“ 2003 წელს მსოფლიოს თასი მოიგეს.*

*მას შემდეგ ათი წელი გავიდა. ვილკინსონი საფრანგეთში, ლაჟვარდოვან სანაპიროსთან ირუჯება, მაშინ როცა ახალგაზრდა ოუენ ფარელი იმავე გავლენას ახდენს ინგლისელთა საბრძოლო რაზმზე, რასაც, თავის დროზე, „ვილკო“ ახერხებდა“.*

*„ინგლისის ნაკრების გასახდელში აღარ შევდივარ. ახლა იქ ჩემი ადგილი ოუენ ფარელს უკავია. ბიჭები ისეთივე იმედის თვალებით შეჰყურებენ ოუენს, როგორც ოდესღაც მე მიმზერდნენ. ისინი თავს დაცულად გრძნობენ. ალბათ, გულში ამბობენ კიდეც - მადლობა ღმერთს, რომ ის ჩვენთან არის.*

*მოუთმენლად ველი ოუენ ფარელის კარიერის გაგრძელებას. ის ნამდვილი ლიდერი და უდიდესი მორაგბეა. ვიცი, რომ ხალხი ხშირად გვადარებს. მაგრამ, გთხოვთ, დამივიწყეთ. ოუენი ახალ, საკუთარ ისტორიას წერს და ამას შესანიშნავად აკეთებს. - თქვა ჯონი ვილკინსონმა“*

### ინგლისი

კრის ეშტონი, ბრედ ბარიტი, მორის ბოთა, მაიკ ბრაუნი, დენ კერი, დენ კოლი, ალექს კორბიშეერო, ელიოტ დელი, ლი დიქსონი, ოუენ ფარელი, ტობი ფლუდი, ბენ ფოდენი, ვილი ფრეზერი, ალექს გუდი, დილან ჰართლი, ჯეიმზ ჰესკელი, მეთ კვესიჩი, ჯო ლანჩბერი, კორტნი ლოუ, ჯო მარლერი, ბენ მორგანი, ჯეფ პარლინგი, კრის რობშოუ, დევიდ სტრიტლი, ჰენრი ტომასი, ჯოელ ტომკინსი, მანუ ტუილაგი, ბილი თველვეტრისი, ბილი ვუნიპოლა, მაკო ვუნიპოლა, ტომას ვალდრომი, დევიდ ვილსონი, ტომ ვუდი, ბენ იანგზი, ტომ იანგზი.

საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა

# სამი პლეიოფელი ცნობილია

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მეორე ჯგუფურ ეტაპზე გამსვლელი ოთხი გუნდიდან სამის ვინაობა უკვე ცნობილია. პლეი ოფის ერთადერთი მონაწილე აღმოსავლეთ ზონაში დარჩა გასარკვევი. აქ პირველობას არავის უთმობს თბილისის „თიბისი“, მეორე ადგილისთვის კი ერთბაშად სამი გუნდი იბრძვის: პატარძეულის „ვეფხვები“, თბილისის „ხულიგანა“ და „ივერია“. დასავლეთი ზონიდან პლეი ოფის მონაწილეები კი ქუთაისის „ბაგრატი“ და ფოთის „რაინდები“ არიან.

### აღმოსავლეთი

**XV ტური**

ტორნადო-ხულიგანა 0:16, დინამო-დევები 28:19, უნივერსიტეტი-მგლები 40:3, ივერია-თიბისი 20:20.

**სატურნირო მდგომარეობა**: 1. თიბისი - 59 ქულა, 2. ვეფხვები - 44, 3. ხულიგანა - 42, 4. ივერია - 38, 5. დინამო - 34, 6. მგლები - 23, 7. დევები - 20, 8. ტორნადო - 15, 9. უნივერსიტეტი - 11.

**XVI ტური**. დინამო-მგლები, დევები-ივერია, თიბისი-ტორნადო, ხულიგანა-ვეფხვები.

### დასავლეთი

**VIII ტური**

რაინდები-ჯრუჭი 33:16, მარტვილი-არწივები 7:20, ბაგრატი-დელფინები 64:0.

**სატურნირო მდგომარეობა**: 1. ბაგრატი - 39 ქულა, 2. რაინდები - 31, 3. არწივები - 18, 4. დელფინები - 17, 5. ჯრუჭი - 8, 6. მარტვილი - 1.

**IX ტური**. რაინდები-არწივები, ბაგრატი-ჯრუჭი, დელფინები-მარტვილი.

## უცხოური სპორტი

ტრაგედიის ექო



ოსკარ პისტორიუსი

# ოსკარმა აღიარა

პარალიმპიური თამაშების ექვსგზის ჩემპიონმა, სამხრეთაფრიკელმა ამპუტანტმა მორბენალმა **ოსკარ პისტორიუსმა** გუშინ, სასამართლოზე აღიარა თავისი შეყვარებულის **რივა სტინკამპის** მკვლელობა. მძლეოსანმა განაცხადა, რომ მან სტინკამპს შეცდომით ესროლა, რადგან ის მძარცველად მიიჩნია. სპორტსმენის ჩვენება სასამართლოზე მისმა ადვოკატმა წაიკითხა.

პისტორიუსის მონათხრობის მოკლე შინაარსი ასეთია: მორბენალის თქმით, მან ღამით გაიღვიძა და ხმაური გაიგონა სააბაზანო ოთახში. ოსკარმა გადაწყვიტა, რომ მის სახლში მძარცველი შეიჭრა და რადგან, პროთეზები არ ეცვა, თავი დაუცველად იგრძნო.

ხმაურის შემდეგ, სპორტსმენმა პისტოლეტი სააბაზანოს კარს დაუმიზნა და ოთხჯერ გაისროლა. როგორც პისტორიუსი ამბობს, ადრე მას მოკვლით ემუქრებოდნენ და ამიტომაც ინახავდა ბალიშის ქვეშ პისტოლეტს.

სროლის შემდეგ, მორბენალმა აღმოაჩინა, რომ სტენკამპი საწოლში არ იყო. *„საშინელმა ეჭვმა შემიპყრო“*, - განაცხადა პისტორიუსმა. ამის შემდეგ, სპორტსმენმა პროთეზები გაიკეთა და კრიკეტის ჯოხით აბაზანის კარი შეამტვრია. სააბაზანოში მან შეყვარებული აღმოაჩინა, რომელიც მორბენლის ხელებში გარდაიცვალა. პისტორიუსმა განაცხადა, რომ არ აპირებდა გოგონას მოკვლას.

პროკურორმა **ჯერი ნელმა** სასამართლოზე განაცხადა, რომ პისტორიუსი განგებ ჩადენილი მკვლელობისთვის უნდა გასამართლდეს. პროკურორის თქმით, სპორტსმენს ჰქონდა სტინკამპის მოკვლის მიზეზი, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა მიზეზზეა ლაპარაკი. ნელმა თქვა, რომ რივა სპორტსმენთან ჩხუბის შემდეგ შეშინდა და სააბაზანო ოთახში ჩაიკეტა.

გუშინვე გაირკვა, რომ ოსკარ პისტორიუსის ორმა მთავარმა სპონსორმა შეწყვიტა სპორტსმენთან ურთიერთობა. ორივე კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არა მხოლოდ წყვეტენ სამხრეთაფრიკელთან კონტრაქტებს, არამედ არასოდეს მიიწვევენ მას სარეკლამო აქციებში მონაწილეობის მისაღებად.

კრივი



მენი პაკიაო

# მენის ისევ მისდგნენ

ოთხ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, **ხორხე არსეს** ეჭვი ეპარება იმაში, რომ ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** პატიოსანი გზით მოიპოვა თავისი გამარჯვებები და საჩემპიონო ტიტულები.

არსე, რომელმაც ამას წინათ, **ნონიტო დონერთან** წაგების შემდეგ დაასრულა კარიერა, დარწმუნებით ამბობს, რომ მენი პაკიაო მთელი თავისი კარიერის განმავლობაში იყენებდა აკრძალულ პრეპარატებს. მექსიკელი მოკრივის აზრით, „პაკმენმა“ მხოლოდ აკრძალული პრეპარატებით გაიარა ტრიუმფალური გზა უმჩატესი წონიდან ნახევრადსაშუალო წონით კატეგორიამდე.

*“პაკიაო რალაც პრეპარატს იღებს – ამაში დარწმუნებული ვარ. დიახ, ის ფაქტზე არასოდეს დაუჭერიათ, მის დოპინგ-ტესტს დადებითი შედეგი არ უჩვენებია, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ის ოსტატურად ინიღბებოდა. მე მახსოვს, როცა ლაპარაკი იყო პაკიაოსა და მეივეზერს შორის ბრძოლის ორგანიზებაზე, ამერიკელმა ფილიპინელს სერიოზული დოპინგ-ტესტის ორგანიზება მოსთხოვა, მაგრამ პაკიაომ უარი განაცხადა”*, - ამტკიცებს არსე.

*“მენიმ მოახერხა უმჩატესი წონიდან ნახევრადსაშუალო წონამდე მისვლა, და მე საკუთარი თვალით ვნახე, როგორ “კლავდა” ის ფიზიკურად მასზე გაცილებით ძლიერ მეტოქეებს. ეს მთლად ნორმალური არ არის და მე დარწმუნებული ვარ, რომ პაკიაო რომელიმე აკრძალულ პრეპარატს იყენებდა”*, - დაამატა მსოფლიოს ექსჩემპიონმა.

ჩოგბურთი

# აზარენკამ დუბაის უარი უთხრა

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ**, რომელიც მეორე ნომრად იყო განთესილი დუბაის ტურნირზე, ამ კვირას უარი თქვა კორტზე გასვლაზე. აზარენკამ დუბაის ტურნირიდან განაცხადი ფეხის ტრავმის გამო გამოიტანა. ბელარუსმა ეს დაზიანება გასულ კვირას, დოჰას ტურნირზე მიიღო, სადაც მან მთავარი პრიზი მოიპოვა.

*“სხეული მკარნახობს, რომ დუბაიში თამაში საჭირო არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ყველაფერი ცუდად დასრულდეს. სისულელე იქნებოდა ამ შინაგანი ხმისთვის ყური არ დამეგდო”*, - განაცხადა აზარენკამ.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად გამოაცხადა “ნიუ იორკ აილენდერსის” ფორვარდი **ჯონ ტავარესი**, რომელმაც სამ მატჩში შვიდი ქულა დააგროვა. ის ლიგის ლიდერი იყო ხუთი გატანილი გოლით. ტავარესმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი “ნიუ ჯერსისთან” მატჩში, როცა კარიერაში მეოთხე ჰეთ-თრიკი შეასრულა. 14 მატჩში 20 ქულით, ჯონი “აილენდერსის” საუკეთესო ბომბარდირია.

“ანაჰაიმის” შვედი მეკარე **ვიქტორ ფასტი** აგრძელებს ბრწყინვალე სადებიუტო სეზონს. გასულ კვირას, მან თავის გუნდს სამიდან სამი მატჩი მოაგებინა და მეორე ვარსკვლავის სტატუსი დაიმსახურა. ფასტი საშუალოდ 1.89 შაიბას უშვებდა და დარტყმების 93.5 პროცენტს იგერიებდა. შვედს სეზონის სტარტზე რვიდან რვა მოგება აქვს. ის მესამე მეკარეა ისტორიაში, ვინც რეგულარულის სტარტზე ზედიზედ რვა ან მეტი გამარჯვება გაიფორმა. პირველი იყო ფილადელფიელი **ბობ ფროზი** (1983, 8-0-0) და მეორე - ოტაველი **რეი ემერი** (2003-05, 9-0-0). ფასტი 2012 წლის მაისში შეუერთდა “ანაჰაიმს” თავისუფალი აგენტის სტატუსით. მანამდე ის ორჯერ გახდა შვედეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე.

კვირის მესამე ვარსკვლავია “კაროლინას” მეკარე **ირჟი ტლუსტი,** რომელმაც სამ შეხვედრაში ექვსი ქულა (4+2) დააგროვა.

**აილენდერსი-ფილადელფია 0:7**

0:1, 0:3, 0:3

**გოლები:** 0:1 ჟირუ-4 (რიდი-5, ვორაჩეკი-9), 0:2 რიდი-7 (ჟირუ-8, ვორაჩეკი-10), 0:3 ბ. შენი-4 (ვორაჩეკი-11, ბრიერი-3), 0:4 ჟირუ-5 (რიდი-6, ვორაჩეკი-12), 0:5 რინალდო-1 (ზოლნიერჩიკი-1, ლ. შენი-3), 0:6 ბრიერი-4 (კუტურიე-4, გუსტაფსონი-1), 0:7 ბრიერი-5 (ბ. შენი-9, სიმონდსი-5).

**ნიუ ჯერსი-ოტავა 1:2 (ბ)**

1:0, 0:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ს. ჯონტა-2 (ბერნიე-1), 1:1 ალფრედსონი-4 (სილფვერბერგი-2, ტარისი-8).

**ბულიტები გაიტანეს:** სილფვერბერგი (ოტავა).

**მონრეალი-კაროლინა 3:0**

0:0, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 პრუსტი-2 (გალჩენიუკი-8, ელერი-5), 2:0 პლეკანეცი-8 (პასიორეტი-9, ემელინი-3), 3:0 პასიორეტი-1 (დეშარნე-3, დიასი-11).

**ფინიქსი-კალგარი 4:0**

1:0, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 იენდლი-2 (მოსი-5, ტორესი-2), 2:0 ბოდკერი-3 (ეკმან-ლარსონი-6, ვერმეტი-4), 3:0 ვერმეტი-4 (დოუნი-4, ეკმან-ლარსონი-7), 4:0 ტორესი-2 (მოსი-6, გორდონი-5).

**ანაჰაიმი-კოლამბუსი 3:2**

2:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 პროსპალი-5 (ლეტესტუ-3, დორსეტი-4), 1:1 ჰოლანდი-1 (რაიანი-8, ლავჯოი-3), 2:1 გეტცლაფი-5 (ბელესკი-2), 3:1 პერი-3 (გეტცლაფი-9, სურეი-4), 3:2 ბრასარი-3 (ვიშნიევსკი-4, უმბერგერი-3).

**კოლორადო-ნეშვილი 6:5**

2:1, 4:3, 0:1

**გოლები:** 1:0 პალუშაი-2 (დ. ჯონსი-2, ჰეიდა-3), 2:0 ბარი-1 (დუშენი-10, პარენტო-5), 2:1 ს. კოსტიცინი-2 (კ. სმიტი-2, კ. უილსონი-7), 3:1 დუშენი-6 (პარენტო-6), 3:2 ფიშერი-3 (შ. უებერი-3, ს. კოსტიცინი-4), 4:2 კობესიუ-1 (პ. შჩასტნი-5, პალუშაი-1), 4:3 კ. უილსონი-5 (ერატი-7, ბლუმი-4), 5:3 პ. შჩასტნი-4 (დ. ჯონსი-3, პალუშაი-2), 6:3 მაკგინი-3 (დუშენი-11), 6:4 ბლუმი-1, 6:5 შ. უებერი-2 (ფიშერი-3, ჰორნკვისტი-4).

**ფლორიდა-ტორონტო 0:3**

0:1, 0:2, 0:9

**გოლები:** 0:1 კესელი-3 (ვან რიმსდიკი-3), 0:2 კადრი-5 (ფანოფი-5, მაკარტური-2), 0:3 მაკარტური-3 (კადრი-9, ფრანსონი-8).



ჯონ ტავარესი

# ჰოკეი ჩემთვის ჰობი გახდა

**ტეემუ სელიანე**

42 წლის. „ანაჰაიმის“ ფორვარდი.

ლიგაში ჩაატარა 1355 მატჩი და დააგროვა 1421 ქულა (667+754).

თამაშობდა “ვინიპეგში”, “სან ხოსეში”, “კოლორადოში” და “ანაჰაიმში”.

მოიგო "კოლდერ ტროფი" (1993), “მორის რიშარ ტროფი” (1999), სტენლის თასი (2007).

რეკორდის მფლობელია სადებიუტო სეზონში გოლებისა (76) და ქულების (132) რაოდენობით. აგრეთვე ევროპელებს შორის რეკორდსმენი ერთ სეზონში გატანილი გოლებით (76). ოლიმპიადების ისტორიაში ლიდერია ქულების რაოდენობით (37).

**„ანაჰაიმის“ ლეგენდარული ფინელი ფორვარდი ტეემუ სელიანე ლაპარაკობს თავის მიღწევებზე, ასაკზე, კერპებზე, ჰოკეის შემდეგ ცხოვრებასა და 2014 წლის ზამთრის თამაშებში სავარაუდო მონაწილეობაზე...**

**- უკვე ძალიან ბევრი რეკორდისა და მიღწევის ავტორი ხართ. კიდევ რას ისურვებდით კარიერაში?**

- არ მიმაჩნია, რომ რაღაც განსაკუთრებულს მივაღწიე. ეს უფრო თამაშისგან მიღებული სიამოვნებისა და აზარტის სფეროა. ეს ის არის, რის გამოც ჯერ კიდევ ლიგაში ვარ. ლოკაუტის დასრულების შემდეგ, თამაშისგან უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. ასეთი რამ ახალგაზრდობაში, კარიერის საუკეთესო წლებში არ მქონია. ჰოკეისგან მიღებული სიამოვნება ბოლო რვა წლის განმავლობაში ძალიან მაღალ დონეზეა. საერთოდ, 2007 წელს სტენლის თასის მოგების შემდეგ, ჰოკეი ჩემთვის ჰობი გახდა.

**- მაგრამ, დღეს უკვე აღარ ხართ ფორმის პიკზე?**

- ვფიქრობ, ჯერ ისევ შემიძლია კარგი თამაში და გუნდისთვის სარგებლობის მოტანა. რა თქმა უნდა, თუ სტატისტიკას გადავხედავთ, აგრეთვე დატვირთვებზე ჩემი ორგანიზმის რეაქციას გავითვალისწინებთ, კარიერის პიკი გავლილია. მაგრამ მე მაინც მოხარული და ამაყი ვარ იმის გამო, რომ ჩემს ასაკში ვაგრძელებ თამაშს და სიამოვნებასაც ვიღებ.

**- თქვენი კოლეგებიდან ვისი დაკვირვებაა ყველაზე საინტერესო?**

- როცა ახალგაზრდა ვიყავი, იარი კურისა და უეინ გრეტცკის ვადევნებდი თვალს. ისინი ჩემი კერპები იყვნენ. თუმცა ბევრი ჰოკეისტის დასახელება შეიძლება, ვისგანაც ბევრი რამ ვისწავლე.

**- არსებობს ისეთი რამ, რაც NHL-ში კარიერამდე არ იცოდით და ახლა ნანობთ, რომ საკმარისი ცოდნა არ გქონდათ?**

- როცა ახალგაზრდა ხარ, საკმარის ყურადღებას არ აქცევ საკუთარ ორგანიზმს. მხედველობაში მაქვს დროული ძილი ან სწორი კვება. ეს ყველაფერი სწორად აღდგენის საშუალებას გაძლევს, თუმცა ამას ახალგაზრდობაში ნაკლები ყურადღება ექცევა. რა თქმა უნდა, ასაკთან ერთად, უფრო გონიერი ხდები.



ტეემუ სელიანე

**- აქვს თუ არა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მომავალი ჩხუბებს?**

- ჩვენ ვხედავთ, რომ ლიგაში იკლებს ჩხუბებისა და ჩხუბისთავების რაოდენობა. პირადად მე მიმაჩნია, რომ ასეთი მოთამაშეები საჭირონი არიან, რადგან მნიშვნელოვანია გვერდით გყავდეს ისეთი ჰოკეისტი, რომელიც რთულ სიტუაციაში დაგიცავს. თუმცა ჩვეულებრივი ჩხუბები სპორტის შემადგენელ ნაწილად რჩება და ეს ნორმალურია. ეს არის ინტენსიური და კონტაქტური თამაშის ნაწილი. საერთოდ, სახალისოა, ჰოკეიში ჩხუბი რომ არის შესაძლებელი. საინტერესოა, როგორი იქნებოდა ფეხბურთი ან კალათბურთი, იქაც რომ იყოს დაშვებული ჩხუბი. ასე რომ, ჩვენ სპორტის განსაკუთრებული სახეობა გვაქვს.

**- კარიერის დასრულების შემდეგ სპორტში ისევ გიხილავთ? თუ ჰოკეის სამუდამოდ შეეშვებით?**

- ამაზე ჯერ არ მიფიქრია, მაგრამ მგონია, რომ შემიძლია ამ სპორტისთვის სასარგებლო ვიყო, გავხდე რაიმე პროექტის ნაწილი. სავარაუდოდ, ეს კარიერის დასრულების შემდეგ სწრაფად არ მოხდება, რადგან მინდა დავისვენო და სიამოვნება მივილო თავისუფალი დროით, მაგრამ ჰოკეიში დავრჩები.

**- გუნდის გასვლით ტურნეებში ყველაზე მეტად რომელი ქალაქი მოგწონთ?**

- ჩიკაგო და ვანკუვერი. იქ კარგი გარეუბნებია, ბევრი ადგილია გასართობად, კარგ რესტორანში შესვლა შეიძლება. მოკლედ, აქტიური ცხოვრებაა.

**- რას იტყვით 2014 წლის ოლიმპიადაზე? მიიღებთ იქ მონაწილეობას?**

- ამაზე ჯერ არ მიფიქრია. ცხადია, რომ თუ მომავალ სეზონშიც ვითამაშებ NHL-ში, ეს საკითხი მართლაც დადგება დღის წესრიგში, მაგრამ ჯერ ნაადრევია ამ თემაზე ლაპარაკი.

**- ჰოკეიში რაიმეს შეცვლა რომ შეგეძლოთ, რას გააკეთებდით?**

- რთული საკითხია. ვფიქრობ, ყველა ლოკაუტს ოქტომბერში დავასრულებდი.

**- დაასრულეთ წინადადება: მე ერთადერთი მოთამაშე ვარ NHL-ში, ვინც...**

- შეიძლებოდა გვეთქვა უნიკალური, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ეს სწორი განმარტებაა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# დოქტორი ბასი გარდაიცვალა




"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მფლობელი **ჯერი ბასი**, რომელიც კიბოს დიაგნოზით საავადმყოფოში მოათავსეს, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა.

კალიფორნიული კლუბის ერთ-ერთმა მწვრთნელმა **ბობ შტაინერმა** განაცხადა, რომ სიკვდილის მიზეზი გახდა თირკმლის უკმარისობა. სიკვდილამდე ჯერი ბასი საავადმყოფოში მოინახულეს "ლეიკერსის" დღევანდელმა მოთამაშეებმა და ლეგენდებმა, მათ შორის **კობი ბრაიანტმა, მეჯიქ ჯონსონმა, შაკილ ო'ნილმა** და **ქარიმ აბდულ-ჯაბარმა.**

სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში ქიმიაში დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ, ბასი უძრავი ქონების ვაჭრობით გამდიდრდა. "ლეიკერსი" მან 1979 წელს შეიძინა. ბასმა თავიდანვე აირჩია სპორტის, ბიზნესისა და შოუს შერწყმის მიმართულება. სწორედ მისი მმართველობის პერიოდში გახდა ჰოლივუდის ვარსკვლავებისთვის კარგი ტონი "ლეიკერსის" მატჩებზე დასწრება.

დოქტორ ბასის (ასე ეძახდნენ მას კალათბურთელები) ხელმძღვანელობით "ლეიკერსმა" NBA-ს ცხრა ტიტული მოიგო. ორჯერ გახდა ჩემპიონი WNBA-ს გუნდი "ლოს ანჯელეს სპარკსი", რომელიც ბასის იმპერიაში შედიოდა. 2010 წელს, ბასი NBA-ს დიდების დარბაზში შეიყვანეს.

ბოლო პერიოდში, ავადმყოფობის გამო, ბასმა კლუბის საქმეები შვილებს გადააბარა. სპორტული საკითხებით დაკავებულია მისი ვაჟი **ჯიმი,** კომერციული საქმეები კი ქალიშვილ **ჯინის** აქვს ჩაბარებული.

# ჯორდანი ბავშვებს უგებს

მიუხედავად იმისა, რომ ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელმა **მაიკლ ჯორდანმა** დიდი ხნის წინ დაასრულა კარიერა, ის კვლავაც შესანიშნავ ფორმაშია. საინტერესო რამ მოუყვა "შარლოტ ბობკეტსის" დებიუტანტმა **მაიკლ კიდ-გილკრისტმა** ჟურნალისტებს "ყველა ვარსკვლავის უქმეების" დროს, სადაც ამ კალათბურთელმა ახალბედებისა და მეორეწლიანების ტრადიციულ მატჩში მიიღო მონაწილეობა. სხვათა შორის, კიდ-გილკრისტი ერთადერთი იყო მოედანზე, ვისაც Air Jordan-ის მოდელის სპორტული ფეხსაცმელი ეცვა.

*"ერთხელ ერთი ერთზე ვითამაშეთ და ძალიან გამიჭირდა. მე წავაგე. დავმარცხდი 50 წლის მამაკაცთან. რა თქმა უნდა, ის ჩემი ბოსია... მაგრამ საუკეთესო მოთამაშეა, ვინც მე ოდესმე მინახავს"*, - განაცხადა "შარლოტის" ახალბედამ.

კითხვაზე – შეგნებულად ხომ არ დაუთმო მატჩი ჯორდანს – კიდ-გილკრისტმა ასე უპასუხა: *"არა. მთელი ძალით ვთამაშობდი. თქვენ ფიქრობთ, დავმარცხდი იმის გამო, რომ ის ჩემი ბოსია? სასაცილოა".*

საინტერესოა, რომ კიდ-გილკრისტი მხოლოდ 19 წლისაა. გამოდის, რომ როცა მაიკლ ჯორდანი კარიერის მწვერვალზე




იმყოფებოდა, კიდ-გილკრისტი პატარა ბავშვი იყო და ცოცხლად ლეგენდის არც ერთი მატჩი არ ახსოვს.

ამბები

## სმიტი პირსში იცვლება?

დღეს, ამერიკულ პრესაში აქტიურად წერენ იმის შესახებ, რომ "ატლანტა ჰოქსი" მონდომებით ცდილობს რომელიმე კლუბში გაცვალოს თავისი ერთ-ერთი ლიდერი **ჯოშ სმიტი**. გარიგება 21 თებერვლამდე უნდა შედგეს, როცა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დედლაინი დადგება.

როგორც Yahoo! Sports-ის მიმომხილველი **ედრიან ვოინაროვსკი** ამტკიცებს, "ატლანტა" "ბოსტონ სელტიქსთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს. ამ ორ გუნდს შორის გაცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს "კელტების" ვეტერანი ლიდერი **პოლ პირსი**. ამასთან, იმასაც ამბობენ, რომ "სელტიქსი" არ დათმობს პირსს, მაგრამ შესაძლებელია გაცვლაში მესამე გუნდის ჩართვა.

შეგახსენებთ, რომ სმიტის გადაბირებით ასოციაციის კიდევ რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ შორის, "მილუოკი", "სან ანტონიო", "ფილადელფია" და "ბრუკლინი".

## ოლიმპიადა და NBA ისევ მეგობრობენ

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** გამოაცხადა, რომ ის არ აუკრძალავს NBA-ს მოთამაშეებს ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას, მაგრამ სურვილს გამოთქვამს შემცირდეს ოლიმპიადაზე საკალათბურთო ტურნირის ხანგრძლივობა.

*"ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ დღევანდელი სიტუაცია არ შეიცვლება, - ამბობს სტერნი. - ჩვენ ვუთხარით FIBA-სა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რომ კარგი იქნებოდა საკალათბურთო ტურნირის ვადებში შემცირება. ის ყველაზე გრძელი შეჯიბრება თამაშებზე. გამოდის, რომ აშშ-ის ნაკრები ოლიმპიადაზე პირველი დღიდან ბოლომდე რჩება. რაც შეეხება, შემადგენლობებს, ამ მხრივ არანაირ ცვლილებაზე ლაპარაკი არ არის".*

## როუზი უკვე სრულფასოვანია

"ჩიკაგო ბულზის" მცველმა **დერიკ როუზმა** მიმდინარე სეზონში პირველად ჩაატარა სრულფასოვანი ვარჯიში – შარშანწინდელი სეზონის MVP გუშინ საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიშობდა, - იტყობინება ESPN.

"ბულზის" ლიდერმა, რომელსაც გასული წლის აპრილის შემდეგ არ უთამაშია, ვარჯიშის ბოლოს "ხუთი ხუთზე" თამაშშიც მიიღო მონაწილეობა. "ჩიკაგოს" მთავარი მწვრთნელის **ტომ ტიბოდოს** თქმით, როუზმა ჩვეულებრივი სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარა და ახლა, ექიმები დაადგენენ, როგორ რეაგირებს მისი მუხლი ტრადიციულ დატვირთვებზე.

## დერონი გამოჯანმრთელდა

"ბრუკლინ ნეტსის" ერთ-ერთმა ლიდერმა **დერონ უილიამსმა** ტრავმა მოირჩინა და მზად არის რეგულარული ჩემპიონატის უახლოეს მატჩში სათამაშოდ. ამ შეხვედრაში "ნეტსის" მეტოქე "მილუოკი" იქნება.

გამთამაშებელმა "ბრუკლინის" ორი შეხვედრა გამოტოვა ფეხის ტრავმის გამო. დერონი ერთი კვირის განმავლობაში მკურნალობდა დაზიანებას, "ყველა ვარსკვლავის უქმეების" პერიოდში კი მაიამიში ისვენებდა. გუშინ კალათბურთელმა გუნდთან ერთად სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

TV პროგრამა

### 20 თებერვალი. ოთხშაბათი

**I არხი**

**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. გალათასარაი-შალკე (LIVE).

**რუსთავი 2**

**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. მილანი-ბარსელონა (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. პორტუ-მალაგა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXII ტური. ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი. ლივერპული-სუონსი.
**16:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. კორინთიანსი-პალმეირასი.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
**19:00** არგენტინის ჩემპიონატი. II ტური. ტიგრე-ბოკა ხუნიორსი.
**21:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. VIII ტურის მიმოხილვა.
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXII ტური. დორტმუნდი-აინტრახტი.
**00:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. სან პაულუ-იტუანუ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ბორუსია (მ)-ლაციო.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ბოსტონი.
**15:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. სან პაულუ-იტუანუ.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. კასტრი-ნორსჰემპტონი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. VII ტური. ეფესი-რეალი.
**22:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჩიკაგო ბულზი. 1990-91 წელი. I ნაწილი.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ბოსტონი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
**12:50** სპორტ-NEWS.
**13:20** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**14:00** კალათბურთი. ევროლიგა. ეფესი-პანათინაიკოსი.
**16:00** სპორტ-NEWS.
**16:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-იტალია.
**18:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ოკლაჰომა.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
**00:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კრივბასი-ბრონდბიუ | 1:2 |
| ტომი-ურალი | 1:3 |
| შახტარი-რანდერსი | 4:1 |
| ლუდოგორეცი-სპარტაკი | 2:1 |
| კრისტიანსუნდი-მიოლდე | 5:0 |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-ვულვზი | 2:1 |
| ბირმინგემი-უენსდი | 0:0 |
| ბარნლი-მიდლსბრო | 0:0 |
| კარდიფი-ბრაიტონი | 0:2 |
| დერბი-ბოლტონი | 1:1 |
| ჰალი-ბლექბერნი | 2:0 |
| იფსვიჩი-უოტფორდი | 0:2 |
| ლესტერი-ჩარლტონი | 1:2 |
| მილუოლი-პიტერბრო | 1:5 |
| ნოტინგემი-ჰადერსფილდი | 6:1 |
| კრ. პალასი-ბრისტოლი | 2:1 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| სტევენეიჯი-ოლდჰემი | 1:2 |
| ტრანმერი-სუიდონი | 1:3 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| უიმბლდონი-ნორთჰემპტონი | 1:1 |
| ალდერშოტი-ტორკი | 1:0 |
| როვერსი-როტერჰემი | 1:2 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბაროუ-უოკინგი | 2:0 |
| ბრენტრი-გრიმსბი | 2:0 |
| ებსფლიტი-ჰერეფორდი | 1:0 |
| ფორესტ გრინი-კიდერმინსტერი | 0:1 |
| გეიტშიდი-რექსჰემი | 0:1 |
| ჰაიდი-მენსფილდი | 0:1 |
| მაკლსფილდი-ლუტონი | 1:1 |
| ნანიტონი-ალფრეტონი | 1:0 |
| სტოკპორტი-ტამუორტი | 0:1 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა დას**

| | |
|---|---|
| ვიდენბრუკი-შალკე II | 0:1 |
| დუისბურგი II-ბერგიში | 2:0 |
| ვიქტორია-ჰულსი | 3:1 |

**საფრანგეთი**

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ბურჟი-ლე პუარი | 0:2 |
| კრეტეი-ორლეანი | 1:2 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| მოზერველი-დანდი იუნ | 0:1 |
| სტ. ჯონსტონი-სელტიკი | 1:1 |

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფალკირიკ-ლივინგსტონი | 2:0 |
| პარტიკი-ჰემილტონი | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალბიონი-სტენჰაუზმური | გადაიდო |
| ბრეჩინი-ეირი | 2:1 |
| სტრანრარი-არბროა | 2:0 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ისტ სტირლინგი-კლაიდი | 3:0 |
| სტირლიგი-ანენი | 2:1 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ჰონკა-მარიეჰამნი | 4:3 |

### კალათბურთი

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ბილბაო-ვეფ რიგა | 76:65 |
| ვალენსია-ნიმბურკი | 104:55 |
| გალათასარაი-ცრვენა ზვეზდა | 85:84 |
| ულმი-უნიქსი | 77:79 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| კრ. კრილია-ხიმიკი | 76:68 |
| კატაია-გაზ მეთანი | 79:75 |
| პინარი-ვენტსპილსი | 84:75 |
| თოფასი-ნორჩეპინგი | 76:70 |
| პარიზი-გრაველენი | 86:87 (ო) |
| ოლდენბურგი-ტელეკომი | 88:92 |
| აალსტი-მინსკი | 100:76 |

### ჰოკეი

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ალბა-ინსბრუკი | 6:5 |
| ვილახი-ლინცი | 2:4 |
| გრაცი-ვენა | 2:3 |
| ზალცბურგი-ოლიმპია | 3:1 |
| ზნოიმო-დორნბირნი | 6:2 |
| კლაგენფიურტი-ზაგრები | 2:1 (ბ) |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბერენი-ნიურნბერგი | 6:2 |
| აუგსბურგი-ჰამბურგი | 5:2 |
| ჰანოვერი-კიოლნი | 1:2 |
| დიუსელდორფი-მანჰაიმი | 6:1 |
| ინგოლშტადტი-ვოლფსბურგი | 2:3 |
| კრეფელდი-შტრაუბინგი | 2:3 (ბ) |
| მიუნხენი-იზერლონი | 4:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოდენსე-ესბერგი | 2:3 |
| ფრედრიკშავნი-სონდერიისკი | 2:3 |
| ჰერნინგი-ჰერლევი | 6:1 |
| ოლბორგი-როდოვრე | 10:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-მარტინი | 1:2 |
| ნიტრა-სკალიცა | 4:2 |
| ტრენჩინი-ზვოლენი | 1:4 |
| ბისტრიცა-კოშიცე | 5:6 |
| პიესტანი-პოპრადი | 3:4 (ბ) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ესეტი | 1:3 |
| ლუკო-ტაპარა | 5:6 (ბ) |
| ჰიფკ-პელიკანსი | 1:6 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პარდუბიცე-ტრშინეცი | 5:3 |
| სლავია-ლიბერეცი | 3:2 (ბ) |
| სპარტა-ვიტკოვიცე | 4:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ციურიხი-კლოტენი | 4:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| შელეფტეო-აიკ | 5:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. მარსელი**

| | |
|---|---|
| **პერი**-დევარმანი | 6:7, 7:6, 4:6 |
| სტახოვსკი-**დავიდენკო** | 2:6, 6:4, 2:6 |
| **ლოდრა**-გოფენი | 6:2, 6:4 |
| **გულბისი**-ნიემინენი | 6:3, 6:2 |
| **მიულერი**-გასკე | 2:6, 6:4, 7:6 |

**ATP. მემფისი**

| | |
|---|---|
| მელცერი-**სისლინგი** | 4:6, 6:7 |
| ბოგომოლოვი-**რასელი** | 2:6, 4:6 |
| ფ. მაიერი-ბლეიკი | 6:4, 3:6, 2:6 |

**ATP. ბუენოს აირესი**

| | |
|---|---|
| **მონტანიესი**-ანდუხარი | 5:7, 6:2, 6:4 |
| ალუნდი-**რაისტერი** | 5:7, 1:6 |
| **რობრედო**-ელიასი | 6:3, 6:0 |
| **ხიმენო ტრავერო**-ლაიოვიჩი | 6:4, 7:5 |
| ბოლელი-**ლ. მაიერი** | 7:5, 2:6, 3:6 |

**WTA. დუბაი**

| | |
|---|---|
| ციბულკოვა-**პეტროვა** | 7:5, 3:6, 2:6 |
| გორგესი-**ერანი** | 3:6, 6:4, 4:6 |
| **კვიტოვა**-ჰანტუხოვა | 6:2, 6:1 |
| უ. რადვანსკა-**ჟენგი** | 2:6, 6:2, 5:7 |
| **ვინჩი**-კუზნეცოვა | 6:3, 6:2 |
| **ვოზნიაცკი**-საფაროვა | 6:2, 6:2 |
| მაკაროვა-**სტოსური** | 3:6, 1:6 |

**WTA. მემფისი**

| | |
|---|---|
| **ლისიცკი**-კეისი | 7:5, 6:3 |
| ოუდინი-**ჰლავაჩკოვა** | 4:6, 6:3, 3:6 |
| დევისი-**რიბარიკოვა** | 6:7, 2:6 |

**WTA. ბოგოტა**

| | |
|---|---|
| **დომინგეს ლინო**-კასტანიო | 3:6, 6:2, 6:1 |
| რუსი-**ტორო ფლორი** | 4:6, 3:6 |
| კადანტუ-**კოლერი** | 0:6, 3:6 |
| **მრდესა**-პარმენტიე | 7:6, 6:4 |
| ფიშმანი-**სკიავონე** | 6:4, 4:6, 4:6 |
| პანოვა-**პენეტა** | 6:4, 3:6, 3:6 |

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0 | 7 | (მზე) |
| ქუთაისი | 3 | 14 | (მზე) |
| ბათუმი | 4 | 15 | (მზე) |
| ფოთი | 2 | 14 | (მზე) |
| ზუგდიდი | -1 | 15 | (მზე) |
| გორი | -4 | 9 | (მზე) |
| თელავი | 0 | 6 | (მზე) |
| სიღნაღი | -1 | 5 | (მზე) |
| გუდაური | -13 | -1 | (მზე) |
| ბაკურიანი | -10 | 3 | (მზე) |
| ბორჯომი | -4 | 7 | (მზე) |
| მესტია | -10 | 6 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2052 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6541 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5629 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4903 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# პირველი დღე როსბერგისა



ნიკო როსბერგი

გუშინ, ბარსელონას ავტოდრომზე ზამთრის ტესტების მეორე სერია დაიწყო. მანამდე ბრიტანულმა საჯინიბო „უილიამსმა“ თავისი ახალი მანქანა წარადგინა, ასე რომ, ამჯერად, ყველა გუნდი ახალი ბოლიდით მუშაობდა.

წელს, პირველად მიიღო ტესტებში მონაწილეობა **ფერნანდო ალონსომ**, ასე რომ, ტრიბუნებზე უფრო მეტი მაყურებელი იყო, ვიდრე ხერესში. თუმცა ტესტებზე დასასწრებად სხვა პილოტების გულშემატკივრებიც შეიკრიბნენ, მათ შორის, **პედრო დე ლა როსას** ქომაგები და **რობერტ კუბიცას** ფანკლუბის წევრები.

დილით, „ფერარის“ ბოქსების წინ გაიმართა მოკლე ფოტოსესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფერნანდო ალონსომ, რის შემდეგაც ესპანელი ტრასაზე გავიდა. თუმცა ფოტოგრაფები სხვა მანქანებითაც ინტერესდებოდნენ. ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი შეიკრიბა „რედ ბულის“ ბოქსებთან, გარდა ამისა, დიდი კამათი ატყდა „უილიამსის“ მანქანზე ახალი გამონაბოლქვის სისტემის ლეგალურობაზე. ამ სიახლის სანახავად მივიდა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური დელეგატი **ჩარლი უაიტინგი**, რომელმაც განაცხადა, რომ სისტემის კონფიგურაცია არ შეესაბამება რეგლამენტს. საბოლოოდ, ეს დავა მაინც „უილიამსის“ სასარგებლოდ გადაწყდა.

ხერესში გუნდები და საბურავების მწარმოებელი კომპანია „პირელი“ უკმაყოფილონი დარჩნენ ასფალტის საფრით, ბარსელონას ტრასა კი უფრო მოხერხებულია ტესტებისთვის, ამიტომაც, „პირელიმ“ 2013 წლის სეზონისთვის განკუთვნილი ოთხივე ტიპის „სლიკი“ ჩაიტანა ბარსელონაში. თუმცა აქაც საბურავების ცვეთის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა. ყველაზე ხისტი საბურავიც კი კარგავდა ეფექტურობას გრძელ დისტანციაზე.

დილით, მანქანები ბევრი დასაფიქსირებული მოწყობილობით გადიოდნენ ტრასაზე - ინჟინრები აგროვებდნენ ინფორმაციას ცალკეულ ტექნიკურ გადაწყვეტილებებზე. ამისთვის, პილოტები მოკლე წრეების სერიას გადიოდნენ: ბოქსებიდან გასვლა, მოკლე წრე ფიქსირებული სიჩქარით და პიტლეინზე დაბრუნება მახასიათებლების კორექციისთვის.

სესიის დაწყებიდან ორ საათში ტრასაზე წითელი დროშები გამოფინეს - **ესტებან გუტიერესმა** გააჩერა მანქანა მეშვიდე მოსახვევში, რადგან ავზში საწვავი გათავდა - „ზაუბერში“ საწვავის სისტემას ტესტავდნენ. მეორეჯერ წითელი დროშები მაშინ გამოიფინა, როცა გადაცემათა კოლოფთან დაკავშირებით ტექნიკური პრობლემები შეექმნა **შარლ პიკის** „კატერჰემს“.

სირთულეები თავიდან ვერ აიცილა „მერსედესმა“. როგორც გახსოვთ, ამ გუნდმა ხერესში ტესტების პირველი ორი დღე ტექნიკური პრობლემების გამო დაკარგა. გუშინაც, **ნიკო როსბერგმა** დიდი დრო გაატარა ბოქსებში გადაცემათა კოლოფში არსებული ხარვეზების გამო. სირთულეები შეექმნა „ლოტუსსაც“ - **კიმი რაიკონენმა** მხოლოდ 44 წრე გაიარა.

ოქმს სათავეში ჩაუდგა ნიკო როსბერგი - სესიის ბოლოს გერმანელმა წრე წუთსა და 22.616 წამში გაიარა. ყველაზე დიდი მანძილი ფერნანდო ალონსომ დაფარა - 110 წრე.

ცნობისთვის, გასულ წელს, ბარსელონაში საუკეთესო წრე **ლუის ჰემილტონმა** გაიარა - ესპანეთის გრანპრის კვალიფიკაციაზე წუთი და 21.707 წამი დააფიქსირა. შარშანდელ ზამთრის ტასტებზე კი ყველაზე უკეთესი დრო ჰქონდა კიმი რაიკონენს - წუთი და 22.030 წამი.

| I დღე | |
|---|---|
| 1. როსბერგი (Mercedes) | 1:22.616 (54 წრე) |
| 2. რაიკონენი (Lotus) | +0,007 (44) |
| 3. ალონსო (Ferrari) | +0.336 (110) |
| 4. ფეტელი (Red Bull) | +0,349 (66) |
| 5. მალდონადო (Williams) | +1,117 (86) |
| 6. რიკარდო (Toro Rosso) | +1,268 (73) |
| 7. პერესი (McLaren) | +1,508 (77) |
| 8. დი რესტა (Force India) | +1,528 (82) |
| 9. გუტიერესი (Sauber) | +2,508 (68) |
| 10. ჩილტონი (Marussia) | +4,131 (65) |
| 11. პიკი (Caterham) | +4,918 (49) |

# ახალი უილიამსის ვნახეთ

გუშინდელი ტესტების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, „უილიამსმა“ თავისი ახალი ბოლიდის - FW35-ის პრეზენტაცია ჩაატარა. სწორედ ეს ბრიტანული საჯინიბო იყო ერთადერთი, რომელსაც 2013 წლისთვის ახალი მანქანა არ ჰყავდა წარმოდგენილი.

ახალმა ბოლიდმა, რომელიც ტრადიციულ ფერებშია გადაწყვეტილი, მოიშორა „ცხვირზე“ საფეხური და არაერთი სხვა ცვლილება განიცადა. „უილიამსის“ ინჟინრებმა შეიმუშავეს ახალი გადაცემათა კოლოფი, შეცვალეს დაკიდება, გამოსაბოლქვი სისტემა. თან შესამჩნევად იკლო მანქანის წონამ.



ამ ყველაფრის მიუხედავად, გუნდი ახალ ბოლიდს საკმაოდ წარმატებული FW34-ის ევოლუციას უწოდებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა გუნდმა გადაწყვიტა ძალების დაზოგვა 2013 წლის მანქანის მოსამზადებლად და 2014 წლის ახალ რეგლამენტზე გადაერთო.

სეზონის პირველ გრანპრიმდე „უილიამსს“ რვა სატესტო დღე ექნება ახალი მანქანის შესამოწმებლად და საჭირო ცვლილებების შესატანად. ბარსელონას ტესტებზე გუნდის ორივე პილოტი იმუშავებს - ვენესუელელი **პასტორ მალდონადო** და ფინელი **ვალტერი ბოტასი**.

**ფრენკ უილიამსი**, გუნდის ხელმძღვანელი: „*Williams Renault FW35 ძალიან ნიჭიერი სპეციალისტების მუშაობის შედეგია. დასკვნების გამოტანა ავსტრალიამდე უნდა გადავდოთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ შარშანდელ მანქანასთან შედარებით, წინ გადავდგით ნაბიჯი. ამიტომაც, ეს ბოლიდი კონკურენტუნარიანი იქნება*“.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**






დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608